91(-0)(C41)

პროფ. მ. პოლიევქტოვი და პროფ. გ. ნათაძე

ქველი ტფილისი

თარგმანი რუსულიდან:

ი. აღლაძის და ვ. გოგრგაძის

К 50521
19



სახელგამი 1930 ტფილისი

მე-6 სტამბა,
პოლიგრაფტრესტ.
მთავლიტი 1498
შეკ. 187 ტირ. 3000

ტფილისის მხარეთმცოდნეობისთვის

საქართველოს და ამიერ-კავკასიის, კერძოდ ტფილისის, შესასწავლად მხარეთმცოდნეობის თვალსაზრისით დღემდე არაფერი გაკეთებულა. ან თითქმის არაფერი გაკეთებულა. აიხსნება ეს იმით, რომ საქართველოს და ამიერ-კავკასიის სპეციალისტი ისტორიკოსები ჯერ კიდევ საკმაოდ არ გაჰსჭვალულან მხარეთმცოდნეობის თვალსაზრისით და თავიანთ შრომებში არ მისდევენ გარკვეულ სისტემას, არ სცილდებიან ფაქტების უბრალო დაგროვებას, ამიტომაც ამ სფეროში ჩვენ ვერ გავცდით ცარიელ ემპირიას. რაც შეეხება ქალაქ ტფილისის შესწავლას, ამ მხრივ მეტის თქმაც შეიძლება: აქ ჩვენ არ მოგვეპოება წყაროების საკმაო რაოდენობაც კი, რომ გავითვალისწინოთ ქალაქ ტფილისის, როგორც საქართველოს და ამიერ-კავკასიის ცენტრის, ეკონომიური და პოლიტიკური ზრდისა და მისი მნიშვნელობის მიზეზები. ჩვენი ისტორიკოსები, როგორც არა მხარეთმცოდნეობის სპეციალისტები, კმაყოფილდებიან ისტორიული დოკუმენტალური მასალის ძებნით და არ ფიქრობენ იმაზე, რომ ქალაქის ტერიტორიის შესწავლა, შესწავლა მისი თანდათანი ზრდისა, რასაც ჯერ კიდევ ასახავენ ქალაქის ძველი ციხეების ნაშთები, შესწავლა იმ ძაფებისა, რომლებიც ტფილისს საქართველოს და ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხესთან აკავშირებენ, მოსახლეობის შემადგენლობის შესწავლა ეროვნული და კლასობრივი ნიშნების მიხედვით, —სინათლის ისეთ შუქს მოჰფენს ქალაქის წარსულს, რომ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ამ წარ-

სულის ამხატველი, ბევრად იმაზე მეტს გვეტყვის, რის თქმაც მას შეუძლიან დამოუკიდებლად, თავის თავად, სხვა მოვლენებთან დაუკავშირებლად.

იმ მასალაში, რომელიც ასე თუ ისე ნათელს ჰფენს ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის დედა-ქალაქის წარსულს, ზღაპრულ გადმოცემებთან ერთად, ტფილისზე გვხვდება აქა-იქ გაფანტული ძვირფასი ცნობებიც, მაგრამ ეს ცნობები იმდენად გათქვეფილია ბალასტის საეროო ძასაში, რომ იმ მკითხველისთვის, რომელიც მიჩვეული არ არის ბალასტიდან მარგალიტების ამოკრებას, ეს მარგალიტები შეუმჩნეველი რჩება. ამიტომ დიდი ხანია მომწიფდა ისეთი წიგნის გამოცემის საჭიროება, რომელიც შეიცავდეს გადარჩეულ მასალას ტფილისის ისტორიისთვის.

ჩვენ დავიწყეთ ეს საქმე, მაგრამ სრულიადაც არ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ დაგროვილი მასალა ყოვლად სრულია: ჩვენი მიზანია მივსცეთ დაინტერესებულ მკითხველს ძირითადი მტკიცე დოკუმენტალური ბაზისი ტფილისის შესასწავლად. ჩვენ არ ვფიქრობთ იმის თქმას, რომ ჩვენ მიერ შეგროვილ მასალაში ასახულია ტფილისის მთელი წარსული და ამით ამ ქალაქის შესწავლა მხარეთმცოდნეობის თვალსაზრისით უზრუნველყოფილიაო,—ამას ვერც მოვთხოვთ დოკუმენტალური მასალის კრებულს, რომელიც მხოლოდ ისტორიას აშუქებს.

საქმე იმაშია, რომ ჩვენს მხარეთმცოდნეობის ლიტერატურაში სამხარეთმცოდნეო ნაშრომის სახით გამოდის ყველაფერი, რაც კი შეეხება ჩვენი კავშირის რომელიმე კუთხის ცხოვრებას. ეტნოგრაფიაც, ეკონომიკაც, ყოფა-ცხოვრებაც, რელიგიაც, არქეოლოგიაც და მრავალი სხვა რამეც ამ სათაურით საღდება ან, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება გასაღდეს. გამოდის, რომ ყოველი გამომკვლევი,

მიუხედავად იმისა—რას, სად და როგორ იკვლევს, მხარეთმცოდნეა. ნამდვილად კი ეს სულაც არ არის ერთი. რა თქმა უნდა, ერთის მხრით, ვერც ერთი მხარეთმცოდნე ვერ იქნება მკვლევარი ენციკლოპედისტი. სპეციალიზაცია საჭიროა აქ, როგორც ყველა სხვა საქმეში, მაგრამ, მეორეს მხრით, იმ გამოკვლევას, რომელიც არ გულისხმობს და არ ითვალისწინებს თავის ცნობების კავშირს მხარეთმცოდნეობის დარგის სხვა ნაშრომების ცნობებთან, არ შეიძლება ეწოდოს სამხარეთმცოდნეო გამოკვლევა. გამოკვლევა მხარეთმცოდნეობის სფეროში მოითხოვს ცხადად გარკვეულ ეკონომიურ, კლასობრივ და დიალექტიკურ მიდგომას, რაც ბოლოს და ბოლოს ითვალისწინებს კვლევის საგნად გამხდარი მხარის ან კუთხის საწარმოო ამოცანებს, რამდენადაც ეს ამოცანები შეეთანაბრებიან მთელი სახელმწიფოს ასეთსავე ამოცანებს.

ისტორიული საგამომკვლეო მუშაობა წარმოადგენს ერთ-ერთ რგოლს მხარეთმცოდნეობის იმ სამუშაოთა ჯაჭვში, რომლებიც ბოლოს და ბოლოს მწყობრ მთლიანობად, ერთ მწყობრ კონცეპტიად უნდა ჩამოყალიბდნენ. ასეთ რგოლს ტფილისის საკითხში უნდა შეადგენდეს ჩვენი ნაშრომიც.

მაგრამ ჩვენ გვესმის, რომ ამ შეზღუდულ ჩარჩოებშიაც ჩვენი მიზანი მთლიანად არ არის მიღწეული. ეკონომიური, კლასობრივი და დიალექტიკური მიდგომის მტკიცედ დაცვა ჩვენ შეგვეძლო იმდენად, რამდენადაც ხელთ გვექნებოდა ამისთვის საკმაო მასალა. ხოლო ამ მხრივ ჩვენი შესაძლებლობა შეზღუდული იყო მასალის სიმცირით.

მიუხედავად ამისა, ჩვენთვის სავსებით ნათელია და, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც ნათელი უნდა გახდეს, რომ ამ მცირე მასალის გარკვევა მხოლოდ და მხოლოდ

ასეთი მიდგომით არის შესაძლებელი. ყოველი სხვა მიდგომის დროს იგი უნაყოფოდ მდებარე სიმდიდრეა, უსარგებლო ბალასტი, რომელიც უკეთეს შემთხვევაში იმისთვის თუ გამოდგება, რომ დავიქადნოთ—სკივრები ოქროთი გვაქვს გამოჭედილიო.

თუ ჩვენ ქრესტომატიაში თავმოყრილ მასალას დავუმატებთ სამატიანო მასალას და თანადროულობის შესწავლას და მთელ ამ სამხარეთმცოდნეო სამუშაოს ცალკე ნაწილებს გადავაბამთ მთლიანი ჯაჭვით, ცხადათ დავინახავთ იმ ხაზს, რომელსაც ჩვენ დავადექით მასალის გადარჩევის დროს: 1) ტფილისის ტერიტორია და მისი ბუნებრივი გეოგრაფიული პირობები; 2) ეკონომიკა და ტეხნიკა; 3) მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა; 4) ტფილისის პოლიტიკური როლი საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფარგლებში და მისი საგარეო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა; 5) ეკონომიკისა და ტეხნიკის მიერ შეტანილი ცვლილებანი ტფილისის როლსა და მნიშვნელობაში, როგორც გამოაშკარავება მოსახლეობის უნარისა—გამოიყენოს ტერიტორიის და გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობანი.

რადგან საკითხთა მთელი ამ ციკლის გაშუქება შეიძლება მხოლოდ ტფილისის ყოველმხრივი შესწავლის დროს და საქართველოს—უკეთ ამიერ-კავკასიის—ისტორიასთან დაკავშირებით, ამიტომ აშკარა ხდება, რომ ჩვენი წიგნი დამხმარე მასალად გამოადგება ყველა იმას, ვინც, საერთოდ, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ისტორიის შესწავლაზე მუშაობს.

ამიტომვე ეს წიგნი ყველაზე მეტად შეიძლება გამოადგეთ მეორე საფეხურის სკოლებს, ტეხნიკუმებს და თვით უმაღლეს სკოლებსაც კი, როგორც საზოგადოებათმეც-

ნიერებისა და ისტორიის სახელმძღვანელოების დამატება; გამოადგებათ იგი საექსკურსიო მუშაობასთან და ლაბორატორიის გზით ჩვენი თანამედროვეობის შესწავლასთან დაკავშირებით. ჩვენი წიგნი დახმარებას გაუწევს აგრეთვე სკოლის გარეშე განათლების ხელმძღვანელებს, როგორც დამატება საქართველოს ისტორიის შესწავლის და საექსკურსიო მუშაობის დროს. არა ნაკლები სამსახურის გაწევა შეუძლია მას იმ ექსკურსანტებისთვისაც, რომელნიც ჩვენსა მოდიან და რომელთაც სურთ მოკლე ხნის განმავლობაში ტფილისისა და მისი ისტორიის გაცნობა; ესენი ხშირად უნაყოფოდ დაეძებენ შესაფერ მასალას, ისეთ მასალას, რომელიც მათ ბაზისად გამოადგებათ ქალაქის დათვალიერების დროს. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ჩვენი წიგნი არ წარმოადგენს პირველი წყაროების მეცნიერულ გამოცემას და მას არცა აქვს ამგვარი მნიშვნელობის პრეტენზია.

თავის თავად იგულისხმება, რომ წიგნში შეიძლება გაუთვალისწინებელი დეფექტებიც აღმოჩნდეს. ამას გამოარკვევს წიგნის გამოყენების პრაქტიკა და კრიტიკა. ყოველ შემთხვევაში, არა გვგონია, რომ იგი სრულიად გამოუსადეგარი და ზედმეტი გამოდგეს.

რასაკვირველია, სასურველი იყო წიგნი მე-19 საუკუნის დამლევამდე მიგვეყვანა, მეტიც—შეგვეტანა შიგ მე-20 საუკუნის განვლილი ნაწილი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მაინც. მაგრამ ამას იმდენი დრო და შრომა დასჭირდებოდა, რომ კაოგახნით დააგვიანებდა წიგნის გამოსვლას, რადგან ის მასალა, რომელიც მე-19 და მე 20 საუკუნეებს შეეხება, მეტად დიდი და მრავალფეროვანია. ამიტომ გადავწყვიტეთ, აღარ გადავდოთ და ახლავე გამოვცეთ ის მასალა, რომელიც შეეხება ტფილისს მე-19 საუკუნის ნახევრამდე.

საუკუნეთა ცვლა ძველი ტფილისის აღწერებში

პროფ. მ. პოლიევქტოვისა

ტფილისი ძალიან ძველი ქალაქია. ადამიანთა დასახლების დასაწყისს იმ ადგილას, სადაც ეხლანდელი ტფილისი მდებარეობს, მეცნიერნი მიაკუთვნებენ ქრისტიანობის წინადროის უკანასკნელ საუკუნეებს: ქრისტიანობის ხანის მე-VI საუკუნის მწერალნი მას უკვე „ივერიის დედა-ქალაქად“ იხსენიებენ. ტფილისს მდიდარი წარსული აქვს: იგი სცხოვრობდა რთული ისტორიული ცხოვრებით. მისი ისტორია მჭიდროთ არის გადახლართული მთელი საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის ისტორიასთან, ხოლო ნაწილობრივ—მთელი კავკასიის ისტორიასთანაც. ბევრი რამ მისი თანამედროვე ცხოვრების ვითარებაში, მის ეკონომიურს, სოციალურსა და პოლიტიკურს მნიშვნელობაში აიხსნება მისი ისტორიული წარსულით, ხოლო, მეორეს მხრით, ბევრი რამ საქართველოს ისტორიაში გაუგებარი დარჩება, თუ ანგარიში არ გაეწია ტფილისის ისტორიულ ბედს. ტფილისის წარსული წარმოადგენს დიდს, როგორც ადგილობრივ—სამხარეთმცოდნეო, ისე ზოგად-ისტორიულ ინტერესს. სახარბიელოა აღდგენა ტფილისის ცხოვრების გარეგანი სახის და შინაგანი წყობისა მისი ისტორიული არსებობის სხვადასხვა ეპოქაში. ძველი დროის ძეგლები, ძველი შენობები, ციხის კედლები, ხიდები და სხვა ამისთანები, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელია ძველი ტფილისის სურათის მთლიანად აღდგენა, ცოტაა დაცული, ყოველ შემთხვევაში ბევრად უფრო ცოტა, ვიდრე

სხვა, ასეთივე გრძელი წარსულის მქონე ქალაქებში. ცხოვრების ქარიშხალი, მტერთა შემოსევა—ხოლო ტფილისის უკანასკნელი ასეთი შემოსევისა და აკლების შემდეგ ხომ 150 წელსაც არ გაუვლია—ხშირად ქვას-ქვაზე აღარ სტოვებდა. ახალი ეკონომიური და პოლიტიკური პირობები სცვლიდენ მის სახეს; ახალი ცხოვრება ჩრდილავდა ძველს, აქუცმაცებდა მას ნაწილ-ნაწილად. მაგრამ იმასაც, რაც დარჩა ძველი ტფილისიდან, რასაც დღეს ვხედავთ, ბევრი რამის გადმოცემა შეუძლიან მისი წარსულიდან, თუ მასთან ერთად მოვიშველიებთ სხვა ისტორიულ მოწმობებსაც—მემატიანეთა ნაამბობს, სხვადასხვა სიგელებს, მეურნეობრივი ხასიათის საბუთებს, ძველი კანონმდებლობის ძეგლებს და, დასასრულ, ქალაქის იმ მრავალ აღწერას, რომლებიც სხვადასხვა ეპოქიდან დაგვიტოვეს თანამედროვეებმა, მეტ წილად ტფილისში ნამყოფებმა და მხოლოდ ზოგჯერ სხვის ნალაპარაკევის ჩამწერებმა. ყველა ეს ისტორიული მოწმობა და, განსაკუთრებით, თანამედროვეთა ასეთი აღწერა ხელს გვიწყობს თავი მოვუყაროთ ცოცხალ მონუმენტალურ სიძველეთა გაფანტულ და დაქსაქსულ ნაშთებს და ვაქციოთ ისინი ტფილისის ძველი ცხოვრების მთლიან სურათად.

ტფილისის სწორედ ასეთ აღწერილობებს, რომლებიც თანამედროვეებმა დაგვიტოვეს, შეიცავს, უმთავრესად, ჩვენი კრებული. მასში მოთავსებულ ოცი №-დან თექვსმეტი წარმოადგენს თვითონ ქალაქის, მისი გარეგანი სახის და მისი ცხოვრების შინაგანი წყობის აღწერას, სამი—ოფიციალური ხასიათის დოკუმენტს და, დასასრულ, ერთი—გადმოცემას არა თვით ქალაქზე, არამედ იმ ამბებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მის ფარგლებში. მაგრამ ოფიციალური დოკუმენტები მჭიდროდ არიან და-

კავშირებულნი ტფილისის ცხოვრების შინაურ განწესრიგებასთან, ხოლო თხრობითი ნაამბობის შინაარს შეადგენს ტფილისის ისტორიის ერთი, ყველაზე უფრო დრამატიული ეპიზოდი. ყველაფერი ეს ამართლებს ჩვენი კრებულის სახელწოდებას — „ძველი ტფილისი თანამედროვეთა გადმოცემით“.

ტფილისის ისტორიული როლი თვალსაჩინოდ განსაზღვრა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ: იგი იმყოფება იმ დიდი გზების ჯვარედინზე, რომელთაგან ერთი მოდის სამხრეთიდან, სპარსეთ-ოსმალეთიდან, მოსდევს მტკვარს, შემდეგ ასდევს არაგვს და კავკასიონის მთავარი ქედით და თერგით გადადის ჩრდილოეთში, ხოლო მეორე მოდის დასავლეთიდან, შავი ზღვიდან, მოსდევს რიონს, სურამით ან ბორჯომის ხეობით გადმოდის აღმოსავლეთ საქართველოში და მტკვრით მიიმართება აღმოსავლეთისაკენ, კასპიის ზღვისკენ. ამიერ-კავკასიით მიმავალი, კერძოდ, საქართველოზე გამვლელი იშვიათად ასცდებოდა ტფილისს, თუ მას, რასაკვირველია, არ გადაეღობებოდა რაიმე განსაკუთრებული დაბრკოლება, ისეთი, როგორიც არის, მაგალითად, ომი ან პოლიტიკური გართულება. თავისი მრავალსაუკუნიანი ცხოვრების მანძილზე ტფილისს ბევრი სხვადასხვა ჯურის ხალხი სწვევია და არა ერთხელ თვითონ იგი გადაქცეულა მეცნიერულ გეოგრაფიული აღწერის საგნად. ამ მომსვლელთა ცვლაში, იმათ ცვლაში, ვინც მრავალი საუკუნის მანძილზე ტფილისში ყოფილა ან ვისაც მხოლოდ აუწერია იგი, ასახულია იმ ისტორიული ეპოქების ცვლა, რომლებიც ტფილისმა განიცადა, აშკარავდება თავისებური ისტორიული დიალექტიკა.

მე-VII საუკუნის დამლევამდე საქართველო წარმოადგენდა კულტურული მსოფლიოს განაპირა კუთხეს. მის ხელში ჩასაგდებად იბრძოდა ჯერ რომი, ხოლო შემდეგ ბიზანტია და სპარსეთი. ამ ხნის განმავლობაში საქართველომ მიაღწია ეკონომიური, პოლიტიკური და ეროვნული განვითარების ერთგვარ სიმაღლეს, მაგრამ იგი კვლავ რჩებოდა შორეულ და ნაკლებად ცნობილ ქვეყნად. ტფილისის დაწვრილებითი აღწერას ამ დროდან ჩვენამდე არ მოუღწევია. მას პირველად იხსენიებენ მე-VI საუკუნის მწერლები, როდესაც ტფილისი ივერიის დედაქალაქად გახდა[1], მაგრამ მე-VII საუკუნის დასაწყისში იგი უკვე დიდ სავაჭრო ქალაქად ითვლებოდა. მე-VII საუკუნის დამლევიდან საქართველოს და მის მეზობელ ქვეყნებს თავს ესხმიან არაბები. ამან უარყოფითი გავლენა იქონია მის პოლიტიკურ განვითარებაზე, მაგრამ, მეორეს მხრით, ამანვე ჩააბა იგი უფრო ფართო საქონელთ-ბრუნვაში. მცირე აზიაში არაბთა ბატონობის განმტკიცების შემდეგ ის ცალკეული სავაჭრო გზები, რომლებიც ერთებდენ ევროპასა და აზიას, დასავლეთსა და აღმოსავლეთს, არაბთა ხელში მოექცენ. და ამ გზებმა მანამდე არ ნახულ სიგრძესა და განჰტოებას მიაღწიეს. არაბთა ვაჭრობამ ამ დროს საერთაშორისო საქონელთ-ბრუნვის ფარგლებში მოაქცია უზარმაზარი მანძილები და შორებული ქვეყნები და ამ მხრით მან გააერთიანა სკანდინავია და რუსეთი აფრიკასთან, ხოლო ესპანია შუა აზიასთან. შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ტრაპიზონი წარმოადგენდა ბიზანტიასთან არაბთა ვაჭრობის მთავარ

---

[1] ტფილისი იხსენიება უფრო ადრე მომხდარ ამბებთან დაკავშირებითაც, მაგრამ იხსენიებენ მას შემდგომი დროის მწერლები.

პუნქტს, რის გამოც უნდა გაცხოველებულიყო ის სავაჭრო გზაც, რომელიც ამიერ-კავკასიით კასპიის ზღვისკენ მიდიოდა. ტფილისის პირველი აღწერებიც სწორედ არაბმა ვაჭარ-გეოგრაფოსებმა დაგვიტოვეს, როგორც, მაგალითად, მე-X საუკუნის მწერალმა ხაუკალმა, რომლის შრომასაც საფუძვლად უდევს არაბთა უფრო ადრეული გეოგრაფიული ტრაქტატები.

მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობის ახალი გართულება წილად ხვდა მე-XIII საუკუნეს, როდესაც ეგრედწოდებულმა ჯვაროსნულმა ომებმა აღმოსავლეთის კარი გაუღეს ევროპის კაპიტალს და მის წარმომადგენლებს— იტალიის სავაჭრო რესპუბლიკებს გენუას და ვენეციას. საქართველოს ამ დროსთვის უკვე განვლილი ჰქონდა თავისი უმაღლესი, საშუალო საუკუნეებში შესაძლებელი, კულტურული განვითარებისა და უდიდესი პოლიტიკური სიძლიერის (თამარ მეფის საუკუნე) ეპოქა, და იგი მონღოლთა დაცემად გადაიქცა. ევროპიელებმა ამ დროს თვითონ იწყეს გზის გაკვლევა შუა აზიისკენ, მონღოლებისკენ; მათ გამონახეს შორეული გზები ვაჭრობისთვის, მათვე გამოჰქონდათ იქიდან მდიდარი ცნობები, რაც არაჩვეულებრივად აფართოვებდა მათ თანამედროვეთა გონებრივ ჰორიზონტს და ნიადაგს უმზადებდა მე XV საუკუნის ისეთ თამამ და გაბედულ მგზავრებს, როგორიც იყვნენ კოლუმბი, ვასკო დე გამა და სხვები. მე-XIII საუკუნეში ამ მხრივ ყველას გადააჭარბა ვენეციელმა მარკო პოლომ, რომელმაც თავისი მოგზაურობის დროს, დღევანდელი წარმოდგენითაც კი, უდიდესი მანძილი განვლო. მისი გზა ტფილისზე არ მიდიოდა, იგი ტფილისის შესახებ გადმოგვცემს მხოლოდ გაგონილს, რაც სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს: ისეთი დაკვირვებული და ლიტერატურუ-

ლი ნიჭით აღჭურვილი ადამიანი, როგორიც მარკო პოლო იყო, ბევრ საინტერესო რამეს გვიამბობდა ამ ქალაქზე, მას რომ პირადად ენახა იგი. მოკლედ აქვს აწერილი ტფილისი მეორე ვენეციელსაც, მე-XV საუკუნის დიპლომატს კონტარინის.

როდესაც კონტ არინი ტფილისში იყო, ახალი ხანა დგებოდა. ოსმალების დამკვიდრებამ მცირე აზიასა და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მე-XV საუკუნეში და მათ მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ მოშალა ევროპიელთა აღმოსავლეთის ვაჭრობა მცირე აზიით. ევროპის სავაჭრო კაპიტალი შეუდგა ახალი გზების ძებნას ეგზოტიურ ქვეყნებისკენ. შეზღუდული და შევიწროვებული ხმელთაშუა ზღვაში, იგი გაეშურა გაშლილი ოკეანესაკენ. ამერიკის აღმოჩენამ ევროპის კოლონიალური მეურნეობა დასავლეთისკენ მიმართა. აღმოსავლეთთანაც გამოსძებნეს ევროპიელებმა ახალი, საზღვაო გზები—სამხრეთით, აფრიკის ირგვლივ, მას შემდეგ, რაც მე-XV საუკუნის დამლევს, პორტუგალელმა ვასკო დე გამამ ამ გზით ინდოეთს მიაღწია, და ჩრდილოეთით, როდესაც ინგლისელები, მე-XVI საუკუნის ნახევარში, გაჩნდენ თეთრ ზღვაში, არხანგელსკში, და გააბეს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა; ამასთან დაკავშირებით, მსოფლიო საქონელთბრუნვაში შევიდა რუსეთის ვაჭრობაც სპარსეთთან—ვოლგით და კასპიის ზღვით. სავაჭრო გზების გადანაცვლებამ საერთაშორისო ასპარეზზე გამოიყვანა ახალი პოლიტიკური ძალები. ჩაეშვა ხმელთაშუა ზღვაში შემწყვდეული გენუის და ვენეციის ძლიერების ვარსკვლავი—ეს რესპუბლიკები დაჩრდილეს საოკეანო სახელმწიფოებმა: ესპანიამ, ჰოლანდიამ, უმთავრესად კი საფრანგეთმა და ინგლისმა.

ყველაფერმა ამან გავლენა იქონია საქართველოზედაც, კერძოდ, ტფილისზე. იგი ამ დროს დიდ გზაზე აღარ მდებარეობდა, ამ გზას ამცდარიყო. ჩაკვდა ის გზა, რომელიც ამიერ-კავკასიით მიდიოდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ, ყოველ შემთხვევაში მას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობაღა შერჩა. რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო გზა მიდიოდა შემახით და მხოლოდ გაკვრით ხვდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს. ოსმალეთის მიერ ევროპას მოწყვეტილი საქართველო მე-XVI-XVIII საუკუნეებში დაცემის ხანგრძლივ პერიოდს განიცდის, იგი დამოკიდებული ხდება ხან ოსმალებისაგან, ხან კიდევ სპარსელებისაგან, ტფილისიც ხან ერთს ჟვარდება ხელში, ხან მეორეს. იმ დროის ტფილისი (XVII საუკუნე და მე-XVIII საუკუნის დასაწყისი) ცოცხლად აქვს აწერილი ორ ფრანგ მოგზაურს აღმოსავლეთ ქვეყნებში—კომერსანტს შარდენს, შემდეგში ინგლის-ინდოეთის კომპანიის აგენტს ჰოლანდიაში, და სწავლულ ბოტანიკოსს ტურნეფორს. ტფილისში იმ ხანებში ბევრი სხვა ევროპიელიც იყო, და მათი ^აღწერებიდან დაგროვდა ის მასალა, რომელმაც მეორე და მესამე პირების გადანაცემით, თანდათან გაიკვლია გზა ზოგად გეოგრაფიული ცნობარების გვერდებისაკენ, რასაც ადასტურებს ჩვენ კრებულში ქვემოდ მოთავსებული და „ისტორიული და გეოგრაფიული ცნობები“-დან ამოღებული ნაწყვეტი: იწყება დაინტერესება კავკასიით და, კერძოდ, საქართველოთი რაც შეიძლება მეტი ექსპლოტაციის მიზნით.

და მარტო დასავლეთის ევროპიელნი არ დაინტერესდენ კავკასიით: ამ დროს ჩრდილოეთიდან კავკასიას თანდათან უახლოვდებოდა ახალი ძალა. მე-XVI საუკუნეში კაპიტალისტური განვითარების გზას რუსეთიც დაადგა.

ვოლგის რაიონის დაპყრობამ ასტრახანამდე რუსეთს ხელში ჩაუგდო მთელი ის სავაჭრო გზა, რომელიც მდინარე ვოლგას მისდევდა, რამაც გზა გაუხსნა რუსეთის კოლონიზაციას კავკასიის მიმართულებით. ჯერ კიდევ მე-XV საუკუნეში დაწყებული ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის მე-XVI საუკუნის დამლევისთვის საგრძნობლად გაცხოველდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის პოლიტიკის პირველ ნაბიჯებს კავკასიაში დიდი სიფრთხილე და თავდაჭერილობა ახასიათებდა. მე-XVII საუკუნეში, შარდენზე ორმოცი წლით ადრე, ტფილის ესტუმრა რუსი ვაჭარი ვასილი გაგარა, რომელიც თუმცა პალესტინას მიდიოდა სალოცავად, მაგრამ გზადაგზა სავაჭრო საქმეებსაც არ ივიწყებდა. მისმა ყოფნამ ტფილისში შეუმჩნევლად ჩაიარა. იგი არ მიუღიათ მეფის კარზე, როგორც მიიღეს სახელოვანი ფრანგი კომერსანტ მოგზაური, იგი არ დასწრებია ქორწილს სასახლეში. გაგარა აქ, ალბად ჩამოხდა რომელსამე, არც თუ მაგდენად პირველ ხარისხოვან, სასტუმროში. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის გულდასმით და საქმის დიდი ცოდნით დაეთვალიერებინა ტფილისის სიმაგრენი და საიდუმლო კუნჭულები, გაეცნო შესანიშნავი ადგილები, გოგირდის ბანოები და ექსკურსიაც კი მოეხდინა მცხეთაში. როგორც იმდროინდელ რუსეთს სჩვეოდათ, გაგარა თავის აღწერაში გულუხვობას არ იჩენს, მაგრამ შინ დაბრუნებისას მან თავისი მგზავრობის შესახებ საფუძვლიანი მოხსენება მაინც გაუკეთა თავის მთავრობას. როგორც ეტყობა, ამ მოხსენებით კმაყოფილნი დარჩენილან.

გაგარა, შემდეგ—მე-XVII საუკუნეში საქართველოში ჩამოსული რუსეთის დესპანი, რომელმაც დაგვიტოვა საუცხოო აღწერა კახეთის, იმერეთისა და სამეგრელოსი,

პირველი მზვერავნი იყვნენ რუსეთის სავაჭრო კაპიტალისა, მზვერავნი, რომელნიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ გზას იკვლევდნენ და ნიადაგს ამზადებდნენ ხსენებული კაპიტალისთვის. რუსეთის სავაჭრო კაპიტალი უფრო გაბედული იერიშის მიტანას კავკასიაზე შეუდგა მხოლოდ მე-XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, როდესაც რუსეთი დაეუფლა მთელი შავი ზღვის ნაპირს დნესტრიდან ყუბანამდე, როდესაც მან ხელთ იგდო ყირიმი, მიიღო თავისი სავაჭრო გემებისთვის ბოსფორზე გავლის უფლება, როდესაც მან ფეხი შესდგა ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ოლქში და ხელშეკრულება დასდო საქართველოს მეფესთან, ერეკლე მეორესთან. შეიარაღებულ შეტევას ამ ხანადაც წინ უძღოდა წინასწარი კვლევა-დაზვერვა. მაგრამ მეცნიერებათა საუკუნეში, როგორსაც მე-XVIII საუკუნე წარმოადგენდა, საკმაო აღარ იყო ისეთი გულუბრყვილო, თუმცა გულდასმით შედგენილი აღწერა, როგორიც ვასილი გაგარამ დაგვიტოვა. კავკასიაში უკვე იგზავნებიან, თვით რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მონაწილეობით, სამეცნიერო ექსპედიციები გმელინის, გიულდენშტედტის და სხვების მეთაურობით. ამათგან ზოგმა, როგორც, მაგალითად, გიულდენშტედტის ექსპედიციამ, დასავლეთ-ევროპიელი მეცნიერის ტურნეფორის მსგავსად, ტფილისის საუცხოო აღწერა დაგვიტოვა.

თითქოს ევროპიული მეცნიერების ამ შემოტევის პასუხად, თვით საქართველოში მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებში, მისი პოლიტიკური დაცემის ეპოქაში, იწყება ახალი კულტურული აღტყინება და დამოუკიდებელი ქართული მეცნიერების შთასახვა. ამ მოვლენას, როგორც ცნობილია, უკავშირებენ ვახტანგ მეექვსე მეფის და მისი შვილის ვახუშტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო

მოღვაწეობას. ბატონიშვილის ვახუშტის ერთ-ერთ სამეცნიერო შრომაში „საქართველოს გეოგრაფია“-ში, კვლავ გვხვდება ტფილისის აღწერა რომლის დაპირისპირებაც მისი თითქმის თანამედროვე მეცნიერთა ტურნეფორდის და გიულდენშტედტის, აღწერასთან დიდად საინტერესოა.

მე-XIX საუკუნეში საქართველომ დაჰკარგა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ამის წინ კი მან განიცადა თავისი დედა-ქალაქის უკანასკნელი და ყველაზე უსაშინელესი აკლება, რაზედაც ასე პათეტიურად მოგვითხრობს ბატონიშვილი თეიმურაზ. საქართველო შევიდა რუსეთის იმპერიაში და გადაიქცა მის „განაპირა კუთხედ“—ორ გუბერნიად, ტფილისის და ქუთაისის გუბერნიად. ამავე დროს საქართველო რუსეთის მეშვეობით, ისევ და უფრო ღრმად ებმება ზოგად-ევროპიულ საქონელთბრუნვაში, თანაც იწყებს ახალი საზოგადოებრივი და კულტურული ფორმების ათვისებას. მთელი ეს პროცესი—ძველი ყოფა-ცხოვრების ფორმების დაშლა და ახალი წყობის ჩასახვა გაუეგანი, ხუროთმოძღვრული ფორმების გადაქმნა, ცხოვრებაში შეჭრა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ახალი, უცხო ელემენტის-რუსი ჩინოვნიკობისა, ხელახალი მისწრაფება ევროპიული ეკონომიკისა და კულტურისაკენ,—ყველაფერი ეს გარკვევით არის ასახული ტფილისის აღწერებში, რომლებიც მე XIX საუკუნის პირველმა ნახევარმა დაგვიტოვა. მათ ავტორებს, თავიანთი გემოვნებისა და სულიერი განწყობილების მიხედვით, სუბიექტიური თავისებურებანი შეაქვთ აღწერებში და ამით ხსენებული პროცესის სხვადასხვა მხარეს გვიხატავენ. ზოგი მათგანის გულისყური რომანტიულად მიპყრობილია ძველისაკენ, წარსულისაკენ, ზოგჯერ ძალიან შორეული წარსულისაკენაც. ნ. მურავიოვს ტფილისი აგო-

ნებს ქრისტიანობის პირველ საუკუნეებს და იგი აგვიწერს ტფილისის ტაძრებს და საეკლესიო ძეგლებს. პლატონ იოსელიანი თანამედროვეთა გადმონაცემისა და ისტორიული წყაროების შემწეობით სცდილობს სიძველეთა ნამსხვრევების აღაპარაკებას და წარსული დროის ტფილისის სურათის აღდგენას. ომში მიმავალი და მცირე ხნით ტფილისში შეჩერებული პუშკინი კალმის ოსტატური მოსმით თვალწინ გვიყენებს მე-20 წლების ტფილისს და მის ეგზოტიურ სიჭრელეს, ესოდენ უცხოს რუსის თვალისთვის. პუშკინის აღწერასთან შედარებით, პროზის ბეჭედი აზის არა მარტო ზუბოვის ბაზრის სუნით გაჟღენთილ და შეკოწიწებულ „წერილს“, არამედ იმ საფუძვლიან და, თუ გნებავთ, მეტად საინტერესო აღწერასაც, რომელიც მოხელე-დიპლომატის ნეგრის კალამს ეკუთვნის. სხვებს აინტერესებთ არა იმდენად ძველი დროის ძეგლები და ეგზოტიკა, რამდენადაც ცხოვრების ახლად ჩასახული ფორმები, ახალი ყოფა და ეკონომიკა. ამ მხრივ ძვირფას ცნობებს გვაწვდის საფრანგეთის კონსული გამბა, რომელიც თვით თავისი სამსახურებრივი თანამდებობით მოვალე იყო მიეწოდებია დაინტერესებული წრეებისთვის დაწვრილებითი ცნობები ეკონომიურ კონიუნქტურათა შესახებ. უკანასკნელად ძველი ტფილისის სურათს გვიშლის ენაწყლიანი მეფელეტე დუნკელ-ველინგი. მაგრამ ეს უკვე „ძველი“ ტფილისია, წარსულში მიმავალი. თვით აღწერის ავტორს სურს გვიჩვენოს, თუ „წლითი-წლობით როგორ ღებულობს ტფილისი ევროპიულ სახეს“, და მეტად ოსტატურადაც ახერხებს ამას. რუსული წარმოების ქაშანაური ჭურჭელი შუაბაზრის დუქნებში, მთავარი შტაბის ბუმბერაზული შენობა, გოლოვინის პროსპექტი, ვორონცოვის

ხიდი,—ყველაფერი ეს, კარგად ნაცნობი თანამედროვე ტფილისისთვის, ახალი იყო მაშინ. ძველის შესაცვლელად მოდიოდა ახალი, ბურჟუაზიული ტფილისი. ეხლა ეს ბურჟუაზიული ტფილისიც, რომელმაც უკვე დააგროვა საკუთარი ისტორია, თავის მხრივ ადგილს უთმობს ყოფა-ცხოვრების ახალ ფორმებს—წარმტაცი თემაა ყოველივე ეს, რომელსაც, ვიმედოვნებთ, კვლავ დავუბრუნდებით.

ასე აისახა საუკუნეთა ცვლა ძველი ტფილისის აღწერებში.

ლიტერატურა ძველ ტფილისზე

პლ. იოსელიანი. Описание древностей города Тифлиса. ტფ. 1866 წ.

დ. ბაქრაძე და ნ. ბერძენიშვილი. Тифлис в историческом и этнографическом отношениях. პეტ. 1870 წ.

ა. ერიცოვი. Краткий исторический очерк Тифлиса (მოთავსებულია) „Сборник сведений о Кавказе", ტ. VI, თ. XII, ტფ. 1880).

ი. პროცენკო. Археологический путеводитель по Тифлису ტფ. 1881 წ.

მ. ჯანაშვილი. საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი. ჭუთ. 1889 წ.

დ. დონდუა. საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი. ტფ. 1923 წ.

Тифлис и его окрестности, გზის მაჩვენებელი, შედგენილი ექ. ი. ასლანიშვილის რედაქციით, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ტურისტული განყოფილების მიერ. ტფ. 1925 წ.

ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. ტფ. 1927 წ.

ტფილისი მე-X საუკუნის არაბ-მეთვრაფოსის აღწერით

(ხაუკალი).

ტფილისი ბაბ-ელ-აბვაბზე [1] უფრო პატარა ქალაქია. ქალაქს გარს არტყია თიხის ორი კედელი, მათში სამი კარია. ტფილისი ნაყოფიერი ქალაქია, გამაგრებული, მდიდარი იაფ-ფასიანი სანოვაგით; თავისი კეთილდღეობით იგი სხვა მდიდარ სახელმწიფოებს აღემატება. ერთმა კაცმა, რომელსაც იქ ერთხელ თაფლი ეყიდნა მითხრა ერთი დირგემით 20 რიტლზე [2] მეტი ვიყიდეო. ეს ქალაქი წარმოადგენს თვალსაჩინო მოსაზღვრე ოლქს, რომელსაც მტერი ყოველი მხრიდან ბლომად არტყია, იქ არის აბანოები, იმის მსგავსი, როგორიც ტივერიადშია [3] ამ აბანოების წყალი უცეცხლოდ დუღს. ქალაქი მდინარე მტკვარზე მდებარეობს. ამ მდინარეზე მცურავ წისქვილებში პურს ფქვავენ, ისევე, როგორც მოსულის წისქვილებში.

ამ ჟამად ტფილისი ქურიჯების [4] ხელშია. მათ ქალაქი ჩაიგდეს 500 წლის 10 ახირში [5] და ქურიჯთა მე-

---

[1] ეხლანდელი დარუბანდი (დერბენტი).

[2] დირგემი—არაბული ფულია, დაახლოვებით უდრის ჩვენებურ 20 კაპიკს; რიტლი—წონის ერთეულია.

[3] ტივერიადა—ქალაქია გალილეაში, გალილეას ტბის სამხრეთ დასავლეთ ნაპირზე; რომის ბატონობის დროს იგი გალილეას მმართველთა რეზიდენციას წარმოადგენდა. ქალაქის მახლობლად სამკურნალო წყარო იყო.

[4] ქურიჯები გურჯები—ქართველები.

[5] ე. ი. არაბული წელთთვრიცხველობით 1122 წელს ქ. შ.

ფე თავისი კიაფირებით [1] ზრუნავს მცხოვრებთათვის და იცავს განაპირა ადგილებს ყოველგვარ უსიამოვნებისაგან. ძველებურად დაცულია ის ადგილები, სადაც მაჰმადიანები რელიგიურ წესებს ასრულებენ; საკრებული მეჩეთებს იცავენ რაიმე წაბილწვისაგან, მეფე ამკობს მათ ცვილის სანთლებით, კანდელებით და ყველა იმით, რაც საჭიროა მათთვის; აზანს [2] ყოველ მათ მეჩეთში ხმამაღლა წარმოსთქვამენ, და არავინ არავითარ ვნებას არ აყენებს მათ. ეხლა ერთმანეთში აირიენენ მაჰმადიანები და ქრისტიანები, და ამ უკანასკნელთა შორისაც არიან მაჰმადიანები.

ტფილისის მოსახლეობის შორის უცხოელთათვის გაბატონებულია უშიშროება და გულგრილობა; ისინი მეგობრულად ეპყრობიან ყველას, მათთან შემთხვევით მისულს, ვისაც აქვს ცოტაოდენი მაინც მიხვედრილობა ან დამოკიდებულება განათლების საგნებთან. ისინი სუნის [3] მომხრეთა აზრისანი არიან, ძველი მოძღვრების თანახმად ისინი ბევრ დროს ანდომებენ მეცნიერებას ძველ გადმოცემათა შესახებ და პატივს სცემენ იმათ, ვინც ამ მეცნიერებას მისდევს. შემხვედრია ბევრი, მათ შორის სრულიად სანდო ადამიანები, იმათგანი, ვინც ამ ქალაქში მათთან ყოფილა და დარჩენილა იქ ერთ წელიწადს ან მეტხანს; ესენი ერთხმად ამტკიცებენ, რომ არც ერთ მათგანს ღვინე სახლში არ გაუჭარებია და არც შეეძლო ასე მოქცეულიყო...

---

[1] სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ღვთის უარისმყოფელს, წარმართს. მაჰმადიანები ამ სახელს კიაფირს ანუ გიაურს—ყველა არა მაჰმადიანს უწოდებენ.

[2] მოწოდება ლოცვისადმი მეჩეთის მინარეთიდან.

[3] იმ ჯადმოცემათა კრებული, რომლებიც მაჰმადის ცხოვრებას შეეხებიან. სუნიტები არიან ის მაჰმადიანები, რომელნიც სუნას კურანის თანასწორად აღიარებენ, შიიტები –რომელნიც უარჰყოფენ მას.

არანში [1] არ არის სხვა ქალაქი, რომელიც სიდიდით ბერდაჰას [2] ბაბს [3] და ტფილისს სჯარბობდეს.

[იბნ-ხაუკალი. „გზათა წიგნი "აბულკასიმ იბ-ხაუკალი იყო არაბი სოვდაგარი და გეოგრაფოსი, რომელსაც ბევრი უმოგზაურნია და რომელიც მოგზაურობის დროს სოვდაგრობდა კიდეც. დაახლოებით 977 წელს მან გადაამუშავა თავისი თანამედროვის ისტახრიას შრომა „გზათა და ოლქთა წიგნი", ამისთვის მან გამოიყენა მგზავრობის დროს შეძენილი თავისი მდიდარი გამოცდილება და შთაბეჭდილებანი თავის მხრივ ისტახრიას წიგნიც წარმოადგენს არაბთა უფრო ძველი გეოგრაფოსის ბალხიას შრომის: „დედამიწის სარტყელთა ასახულობა"-ს გადამუშავებას. ამ უკანასკნელ შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია. ისტახრია და ხაუკალი თავიანთ შრომებს სწერდენ მაშინ, როდესაც წიგნის ბეჭდვა ჯერ არ იყო გამოგონილი. დაცულ იქნა მათი ხელთნაწერები, რომელნიც თანამედროვეებს მრავალჯერ გადაუწეროიათ. გადამწერთ ზოგჯერ შეჰკონდათ ახალი ადგილები, მინაწერები და შენიშვნები. ასე, მაგალითად, ხაუკალის შრომის აქ მოყვანილ ნაწყვეტში ყველა ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ქართველების მიერ ტფილისის აღებაზე, აშკარაა შემდგომი დროის მინაწერია, რადგან იქ მოხსენებულია ის ამბავი, რომელიც მოხდა მას შემდეგ, როცა ხაუკალს თავისი შრომა უკვე დაწერილი ჰქონდა. მე-XIX საუკუნეში მეცნიერმა დე-გუემ (de-Geeje) ისტახრიას და ხაუკალის თხზულებანი დაბეჭდა და გამოსცა ჰოლანდიაში, სადაც,

---

[1] არანად არაბთა მწერლებს მიაჩნდათ ის ოლქი, რომელიც დღევანდელ აღმოსავლეთ ამერ-კავკასიას უდრიდა.

[2] ბერდაჰა—სოფელია იქ, სადაც ტერტერი (მარჯვენა ტოტი მტკვრისა) მტკვარს ერთვის. მის მახლობლად დღესაც გვხვდება ოდესღაც ძალიან დიდი ქალაქის ნაშთები.

[3] ბაბ—იგივე, რაც ბაბ-ულ-აბვაბ.

საზოგადოდ, არაბთა ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმე დიდ სიმაღლეზე სდგას. რუსმა მეცნიერმა ნ. კარაულოვმა ამ, აგრეთვე არაბთა სხვა გეოგრაფების თხზულებებიდან გადმოსთარგმნა ის ადგილები, რომლებიც კავკასიას შეეხებიან: „Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане" (მოთავსებულია „Сборн. материалов для описания местностей и племен Кавказа"-ში, ტ. ტ. 29 და 38, ტფილისი. 1901—1908 წლ.).]

საქართველო და ტფილისი მარკო პოლოს აღწერით
(მე-XIII საუკ.).

დიდი არმენიის ჩრდილოეთით მდებარეობს ცორცანია [1]; იქ საზღვარზე, არის დიდი ჭა ზეთით, რომლითაც მრავალი აქლემის დატვირთვა შეიძლება. ეს ზეთი საჭმელში არ იხმარება, მას ხმარობენ მალამოს ნაცვლად ადამიანის და პირუტყვის კანის სენის მოსარჩენად, აგრეთვე სხვა დაავადებათა განსაკურნებლად; შეიძლება მისი წარმატებით გამოყენება გასანათებლადაც. [2] ცორცანიაში მეფეს ჩვეულებრივ ეწოდება დავით მელიქი, რაც ნიშნავს მეფე დავითს. ამ ქვეყნის ერთი ნაწილი ექვემდებარება თათრებს, ხოლო მეორე, მაგარი ციხეების გამო, საკუთარი ბუნებრივი ხელმწიფის ხელშია. ცორცანია მდებარეობს ორ ზღვას შუა, რომელთაგან ერთს, ჩრდილოეთ-დასავლეთით, ეწოდება დიდი ზღვა (ევქსინის) [3], ხოლო მეორეს, აღმოსავლეთით—აბაკუს ზღვა (კასპიის). ეს უკანასკნელი ირგვლივ 2.800 მილი იქნება და ჰგავს ტბას, იმიტომ რომ არ უერთდება არც ერთ სხვა ზღვას. იქ სხვადასხვა კუნძულებია მშვენიერი ქალაქებით და ციხე-კოშკებით. ზოგი მათგანი დასახლებულია იმ ხალხით, რომელიც თათართა დიდ ხანს გაპოეკცა და რომელმაც ამ უკანასკნელებს ან ველურ მთებს შეაფარა თავი, რად-

[1] დამახინჯებული „გეორგიანა“-ა, ე. ი. საქართველო.

[2] ლაპარაკია ნავთზე.

[3] შავი ზღვა.

გან ხანმა მათი ქვეყანა აიკლო; სხვა კუნძულები კი დაუსახლებელია. მდინარეების შესართავებთან ზღვა სავსეა თევზით, განსაკუთრებით ზუთხით და ორაგულით. ამ ქვეყანაში ყველა ტყე სავსეა წიფლის ხეებით. გადმომცეს, რომ ამ ქვეყანაში ძველად ყველა მეფე იბადებოდა არწივის ნიშნით მარჯვენა მხარზე. იქაური მცხოვრებნი წარმოსადეგნი არიან, მამაცი მეზღვაურნი, საუცხოო მსროლელნი და გამბედავი მეომარნი ბრძოლაში. ისინი ქრისტიანები არიან და მისდევენ ბერძნული ეკლესიის წესებს, ატარებენ მოკლე თმას, როგორც დასავლეთის სამღვდელოება [1]. ამ ქვეყანაში ბევრი ქალაქი და ციხეა, სიუხვეა ყველაფრისა, რაც ცხოვრებისათვის საჭიროა, ბევრი მოდის აბრეშუმი, რისაგანაც ამზადებენ ოქრომკედით ნაკერ ქსოვილებს, აქ შეხვდება კაცი მეტად დიდ ძერას (შევარდენი) მცხოვრებნი, საზოგადოდ, თავს ინახავენ ვაჭრობით და ხელსაქმით. მთავორიანმა მდებარეობამ სადაც ბევრი ვიწრო და გაუვალი ადგილია, ხელი შეუშალა თათრებს მთლად დაეპყრობა ეს ქვეყანა. ზემოდ დასახელებულ, მთებით შემორტყმულ აბაკუს ტბას [2] ერთვის დიდი მდინარეები: გერდილი [3], გიგონი [4] მტკვარი და არაქსი. დიდი ხანი არ არის, რაც მასზე ცურაობა დაიწყეს გენუელმა ვაჭრებმა, რომელთაც იქიდან მოაქვთ აბრეშუმის მსგავსი ქსოვილი, გელად [4] წოდებული. ამ

---

[1] ე. ი. კათოლიკეთა სამღვდელოება.

[2] ვოლგა.

ამუ-დარია, რომელიც ამ ჟამად არალის ზღვას ერთვის. ძველად ეს მდინარეც კასპის ზღვას ერთვოდა, მაგრამ შემდეგ მან მიმართულება შეიცვალა.

[4] ე. ი. გილანი სპარსეთის პროვინცია, რომელიც განთქმულია საუკეთესო აბრეშუმით.

ქვეყანაში არის საუცხოო ქალაქი, სახელად ტფილისი, მას გარს არტყია გარეუბნები და მრავალი ციხე-სიმაგრე. მცხოვრებნი—სომხები და ქართველები—ქრისტიანები არიან, არის აგრეთვე რამდენიმე მაჰმადიანი და ებრაელი, მაგრამ ამ უკანასკნელთა რიცხვი მცირეა. იქ ამზადებენ აბრეშუმს და მრავალ სხვა ქსოვილს. მცხოვრებნი ემორჩილებიან თათართა დიდ ხანს.

[მარკო პოლო „მოგზაურობა სათათრეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. მარკო პოლო, ვენეციელი, დაბადებული დაახლოებით 1254 წელს, გარდაცვლილი დაახლოვ. 1324 წელს, გამოჩენილი მოგზაური, პირველი ევროპიელი იყო, რომელმაც აღწერა შუა და აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები. პოლო სოვდაგართა გვარს ეკუთვნოდა, იგი ახალგაზრდობაში ახლდა თავის მამასა და ბიძას, რომელნიც სავაჭრო მიზნით გაემგზავრენ მონღოლთა დიდი ხანის ყუბლაის კარზე. ყუბლაი მაშინ ჩრდილოეთ ჩინეთში იყო. პოლოს მოგზაურობა დაიწყო სირიიდან, მათი გზა მიდიოდა არზრუმზე, ბაღდადზე, ორმუზზე, ყაშგარზე და ხოტანზე. ახალგაზრდა პოლო ძალიან მოეწონა ხანს, რომელმაც იგი თავის სამსახურში მიიღო. ხანის კარზე მარკო პოლომ და მისმა მამა-ბიძამ 17 წელიწადს დაჰყვეს და ამ ხნის განმავლობაში მარკოს, სამსახურებრივ დავალებათა გამო, საშუალება ჰქონდა ენახა და მოევლო ისეთი ქვეყნები, სადაც ევროპიელს ფეხი არ შეუდგამს: სათათრეთი, ჩინეთი, ინდოჩინეთი და სხვ. უკან პოლო ზღვით დაბრუნდა, ძან განვლო ზონდის არქიპელაგი, ინდოეთის ოკეანე და სპარსეთის უბე. სპარსეთიდან ისინი, ტრაპიზონით და კონსტანტინეპოლით, 1225 წელს თავიანთ სამშობლოში დაბრუნდენ. მგზავრობიდან მარკო პოლომ უთვალავი სიმდიდრე მოიტანა და დაბრუნებისას აღწერა თავისი მოგზაურობა. თანამედროვენი ეჭვით უყურებდენ მარკო პოლოს აღწერას, მაგრამ

შემდგომმა მოგზაურებებმა და გამოკვლევებმა დაადასტურეს ბევრი რამ მის მიერ გადმოცემული. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ თვით მარკო პოლო საქართველოში არ ყოფილა და მისი აღწერის დროს სარგებლობდა სხვისი ნალაპარაკევით. მარკო პოლოს მოგზაურობა მრავალჯერ გამოცემულა სხვადასხვა ენაზე; რუსულად — სამჯერ: 1861 წელს „Чтениях в Обществе Истории и Древностей"-ში ხოლო 1873 წელს და 1902 წელს „в Записки И. Русского Географического общества"-ში გეოგრაფიის განყოფილებაში, ტ. XXVI.]

მე-XV საუკუნის ვენეციელი დიპლომატი ტფილისის შესახებ

(კონტარინი).

1475 წლის 12 ივლისს მივაღწიეთ აღნიშნული მეფის [1] ოლქს—ტფილისს. იგი მდებარეობს მომცრო გორაკზე და აქვს საკმაო კარგი ციხე მეორე, უფრო მაღალ გორაზე. იქ მოვძებნეთ ერთი სომეხი-კათოლიკე და ჩამოვხდით მის სახლში, სახლამდე კი გადავედით მდინარეს, რომელიც ქალაქს ჩაუდის. მისი სახელი ტიგრისია [2] ეს ოლქი წინად განთქმული იყო თაკისი სიდიდით თუმცა ის ადგილები, რომლებიც განადგურებას გადაურჩნენ, ეხლაც საკმაოდ დასახლებულია. იქ ჯერ კიდევ ბევრი კათოლიკე სცხოვრობს.

[ამბროჯიო კონტარინი. „გამგზავრება სპარსეთის დიდ ბატონთან მეფე უსუნ-კასანთან". კონტარინი ეკუთვნოდა ვენეციის წარჩინებულ გვარს, რომელმაც ვენეციას ბევრი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე შესძენა. ზოგი მათგანი დოჟადაც იყო. 1494 წელს ვენეციის რესპუბლიკამ, რომელიც იმ დროს დამოუკიდებელი სახელმწიფო

[1] იგულისხმება საქართველოს მეფე კონსტანტინე მეორე. (1469—1505).

[2] ტიგრისი, აშკარაა, მდინარე მტკვარია. კონტარინი ტფილისს მოვიდა დასავლეთ საქართველოდან (სამეგრელოდან), საიდანაც გზა მტკვრის მარცხენა ნაპირს მოსდევდა.

იყო, კონტარინი აღმოსავლეთს გაგზავნა, რათა მას პოლო
ნეთი, სპარსეთი და რუსეთი დაეყოლიებინა ვენეციასთა
შეთანხმებაზე ოსმალეთის წინააღმდეგ. სპარსეთში მიმა
ვალმა კონტარინიმ გაიარა გერმანია, პოლონეთი და ლიტ
ვა, ყირიმი, სამეგრელო და საქართველო. ისპაჰანში მან გა
იცნო მოსკოვის დიდი მთავრის ივან მესამის ელჩი, რო
მელიც იმ დროს იქ იყო, და მასთან ერთად მოსკოვს წა
ვიდა. ვენეციაში დაბრუნებისას, 1477 წელს, მან აღწე
რა თავისი მოგზაურობა, რომელიც გამოიცა ვენეციაში
1483 წელს. შემდეგში ეს მოგზაურობა რამდენჯერმე კი
დევ გამოსცეს. კონტარინის თხზულება მეტად თვალსა
ჩინო წყაროდ ითვლება იმ ქვეყნების ისტორიისთვის, რომ
ლებიც მან აღწერა. რადგან ეს თხზულება შეიცავს დი
დად საინტერესო ცნობებს, სხვათა შორის, რუსეთის ის
ტორიისთვისაც, იგი დიდი ხანია გადაითარგმნა რუსულ
ენაზედაც. ეს თარგმანი მოთავსებულია „Библиотека ино
странных писателей о России“-ს 1-ლ ტომში, პეტერბ
1836 წ.]

მე-XVII საუკუნის რუსი მოგზაური ტფილისის შესახებ

(ვასილი გაგარა)

გავემგზავრე იერუსალიმს. გავიარე ქართველთა ქვეყანაზე, ქალაქ ტფილისზე. ტფილისი იმყოფება სპაოსეთის შაჰის აბასის სამფლობელოში. ტფილისში 4 ციხე-სიმაგრეა, ორ-ორი ყოველ ნაპირზე, ხოლო შუაში მდინარე ჩაუდის. ამ მდინარეს გზა გაკვლეული აქვს კლდიან გორაში, იგი არასოდეს არ იყინება, ზამთრობითაც კი. სიმაგრეები ზედ ნაპირზეა, მათში ფარული გზით გაყვანილია წყალი, ხოლო მდინარეზე გადებულია ოსტატურად ნაგები ხიდი. ამ სიმაგრეებიდან, რომლებიც მდინარე მტკვრის მეორე მხარეზეა [1], ერთი ამართულია მეტად მაღალ კლდიან გორაზე; საზოგადოდ, ამ სიმაგრეების აღება ნაღმით შეუძლებელია. სიმაგრეს, რომელიც გორაზეა, გარს არტყია ბუნებრივი თხრილი; კლდე ამ ადგილას გაპობილია. ამ თხრილის სიღრმე 7 საჟენი იქნება, წყალი იქ ცხელი წყაროებიდან მოდის. ასეთი ცხელი წყარო, თვით უფალი ღმერთის ჩიერ გაჩენილი აქ 60-ზე მეტია. ამ წყაროებზე გამართულია მშვენიერი შენობები, და წყაროებში ბანაობენ, როგორც აბანოში, ერთად ბანაობენ ქრისტიანები და მაჰმადიანები, ამასთან ხმარობენ მარმაშს, ხოლო საძელეს აქ სულ არ იცნობენ.

---

[1] ე. ი. სამხრეთ მხარეზე. გაგარა ტფილისში ჩრდილოეთიდან მოვიდა.

იქვე, ამ ციხე-სიმაგრეების მახლობლად, მდინარე მტკვრის მხრიდან, არის სიმაგრე მიწის ქვეშ, ეს სიმაგრე აუგია ტფილისის მეფის სვიმონის შვილს. ზემოთ, იქითკენ, სადანაც მტკვარი მოდის, ტფილისიდან 12—15 ვერსზე [1], არსებობს მონასტერი, სადაც სცხოვრობენ მიტროპოლიტი და მთავარეპისკოპოსი. ამ მონასტერში არის დიდი, საუცხოო ტაძარი, აგებული სხვადასხვა ფერის ასპიდის ქვისაგან. მე არასოდეს არ მინახავს ასეთი თვალწარმტაცი საეკლესიო შენობა. ამ მონასტრის პირდაპირ, მდინარე მტკვრის მეორე ნაპირზე, გორაა, ხოლო მის თავზე—ტაძარი, რომელიც მეფეებს ძველად აუგიათ, მაგრამ მისი აგების შესახებ ცნობები არ მოიპოება. [2]

[ვასილი გაგარა. „Хождение в Иерусалим и Египет". ყაზანელმა სოვდაგარმა ვასილი გაგარამ, რომლის ცხოვრების შესახებაც ცოტა რამ ვიცით, 1634—1637 წლებში იმოგზაურა იერუსალიმსა და ეგვიპტეს. მისი მოგზაურობის მთავარ მიზანს შეადგენდა წმინდა ადგილების მოლოცვა; მაგრამ იმავე დროს გაგარამ, როგორც ეტყობა, ისარგებლა ამ მგზავრობით და თავისი სავაჭრო საქმეებიც მოაწყო. მას წინადაც ჰქონდა ვაჭრული ურთიერთობა სპარსეთთან; მან თან წაიყვანა თავისი ნოქარი, რომელსაც მანამდე საქონლისათვის აღმოსავლეთში ჰგზავნიდა სწორედ სპაოსეთთან ამ ვაჭრული ურთიერთობით აიხსნება ის გზა, რომელიც გაგარამ სამგზაუროთ აირჩია—წასვლა კავკასიით და საქართველოთი, რაც ძალიან

[1] ვერსი მე-XVII საუკუნეში უდრიდა დღევანდელ 656 საჟენს; იყო, ამას გარდა, სხვა ეგრეთწოდებული, „Мерная" ვერსი, რომელიც 1 000 საჟენს უდრიდა.


[2] აშკარაა, აქ ლაპარაკია მცხეთასა და ჯვარის საყდარზე, ამასთან გაგარას ერთმანეთი არეული აქვს მტკვარი და არაგვი.

იშვიათი იყო პალესტინაში მიმავალ რუსს მოგზაურთათვის, რომელნიც ჩვეულებრივ რჩეობდენ მგზავრობას ბალკანეთის ნახევარ-კუნძულით. გაგარას მოგზაურობას პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა: მოსკოვში დაბრუნებისას მან მთავრობას გადასცა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ცნობა აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ, რისთვისაც მან მიიღო „სტუმრის“ წოდება, ე. ი. უმაღლესი ხარისხი სოფდაგრისთვის. გაგარას „მგზავრობა“-მ ჩვენამდე მოაღწია ორი რედაქციით, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ჩემდგომად დამუშავებულს, შეიძლება თვით გაგარას მიერ. „მგზავრობა“ რამდენჯერმე გამოიცა. საუკეთესო გამოცემა არის ის, რომელიც მოთავსებულია „Православный Палестинский сборник“-ში, მე-33 წიგნი (პეტერბურგი 1891 წ.)]

ტფილისი XVII საუკუნის მეორე ნახევარში
(შარდენი)

ტფილისი სპარსეთის ერთი ულამაზესი ქალაქია, თუმცა არც მაგდენად დიდი. იგი მდებარეობს ერთი გორის ძირში, რომელსაც აღმოსავლეთით მდინარე მტკვარი ჩაუდის. ეს არის მდინარე კირი ან ერთ-ერთი მისი ტოტი. ეს მდინარე იწყება საქართველოს მთებში, ქალაქ შემახიასთან ერთვის არაქსს და მასთან ერთად, პაიანარდის სახელწოდებით, ზღვაში ჩადის. სახლების უმრავლესობა აგებულია მტკვრის ნაპირზე, პირდაპირ კლდეზე. ქალაქს არტყია მშვენიერი და ლამაზი კედლები, გარდა იმ მხრისა, საიდანაც მდინარე ჩაუდის. იგი გაჭიმულია სამხრეთიდან ჩრდ. ლოეთისკენ და სამხრეთის მხრიდან აქვს მაგარი ციხე, რომელშიაც სცხოვრობენ მხოლოდ ბუნებრივი სპარსელები – მეციხოვნენი და ხელოსანნი. სამხედრო ასპარეზი, რომელიც ციხის წინ მდებარეობს, იმავე დროს არის საზოგადო მოედანი და ბაზარი. ეს ციხე წარმოადგენს თავის შესაფარებელს: ყველა დამნაშავეს და იმას, ვინც ვალით არის დატვირთული, იქ შიში არ მოელის. ქართველთ მთავარმა [1], ყოველთვის, როდესაც მან მეფისაგან წერილი ან საჩუქარი უნდა მიიღოს, რაც ჩვეულებისამებრ ქალაქის ალაყაფის კარებს გარედ ხდება, ცი-

[1] ე. ი. მეფემ; შარდენი, ისევე, როგორც ტურნეფორი და „Исторические и географические записки“-ს ავტორი (იხ. ქვემოდ), საქართველოს მეფეს მთავრის სახელით იხსენიებს, რადგან იგი ვასილი იყო სხვა მეფლობელის—სპარსეთის მეფის.



ტფილისი XVII საუკუნეში. (შარდენის მიხედვით)

ხეზე უნდა გაიაროს, რადგან სპარსეთიდან ტფილისში მომავალი გზა ასე მოდის და თუ არ ციხით, სხვა გზით ქალაქში შესვლა არ შეიძლება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მთავარს ციხეზე გავლის დროს მუდამ დაპატიმრების შიში მოელის ციხის უფროსისაგან, რომელსაც შეიძლება საიდუმლო მოწერილობა ჰქონდეს მიღებული ამის შესახებ. სპარსელებმა ძალიან გონივრულად დააწესეს ერთი ჩვეულება, რომლის ძალითაც საქართველოს მმართველმა და სხვა პროვინციების უფროსებმა მეფის საჩუქრები უნდა მიიღონ ქალაქის ალაყაფის კარებს გარედ, რადგან ასეთი ხერხის წყალობით ყოველთვის ადვილად და უხიფათოდ შეიძლება მათი დაპატიმრება.

ტფილისში ბევრი ეკლესიაა. მათი რიცხვი თოთხმეტს აღწევს. ეს რიცხვი დიდად უნდა ჩაითვალოს ისეთი ქვეყნისთვის, სადაც რელიგიური გრძნობა სუსტად არის განვითარებული. ამ ეკლესიებიდან ექვსი ქართველებს ეკუთვნით, დანარჩენი—სომხებს. სობოროო, რომელსაც სიონი ეწოდება, მდებარეობს მდინარის პირად, და მთლად აგებულია კლდის ქვისაგან. იგი ძველი, მეტად მთლიანი ნაგებობაა. აგებული ჩვეულებრივ ბერძნულ სტილზე, როგორც ყველა ძველი ეკლესია აღმოსავლეთში, შესდგება ოთხი ნავისაგან, შუაზე ადგია ოთხ მთლიან სვეტზე დაყრდნობილი, დიდი გუმბათი, რომელსაც კონუსის მსგავსი სახურავი აქვს. საკურთხეველი მოთავსებულია ნავის შუაში და მიმართულია აღმოსავლეთისკენ. შიგნით ეკლესია დაფარულია, ამას წინად ბერძნულის მსგავსად შესრულებული მხატვრობით, მაგრამ შეუსრულებია იგი ისეთ უხეირო მხატვარს, რომ ძნელი გასარჩევია, რის ასახვა უნდოდა. სობოროს შემდეგ ქართველთა მთავარი ეკლე-

სიებია თეთრაშენი, რაც ნიშნავს თეთრ შენობას, აგებული მთავრის მეუღლის მარიამის მიერ, და ანგესკატი,[1] რაც ნიშნავს ავგარის ხატს. ქართველები ავგარს ანგეს უწოდებენ; მათ მიაჩნიათ, რომ იესო ქრისტეს სასწაულთმომქმედი გამოსახულობა, გადმოცემით, ავგარის მიერ მიღებული, დიდხანს იყო ამ ეკლესიაში. ამ ტაძარს კატალიკოსის ეკლესიასაც უწოდებენ, რადგან კათალიკოსის სასახლე ამ ეკლესიას აკრავს, და კათალიკოსი სხვა ეკლესიებში არ ღოცულობს და ღვთისმსახურებას არ ასრულებს. ანგესკატი აგებულია მდინარის პირად, ერთ ხაზზე ეპისკოპოსის სასახლესთან. ქართველებს ერთი სხვა მშვენიერი ეკლესიაც ჰქონდათ ქალაქის სამხრეთ ნაწილის ბოლოში, მაგრამ რამდენიმე წლის წინად მთავარმა იგი თოფის წამლის საწყობად გადააქცია. ეს ეკლესია მართლაც ძალიან ვარგოდა ღვთისმსახურებისთვის, რადგან კარგა ხნის წინად მისი ნაწილი მეხმა დაანგრია. მთავარმა უბრძანა მისი გადაკეთება, და ეს შენობა ამ ჟამადაც ეკლესიის ძველ სახელწოდებას ატარებს – მეტეხს, რაც ნიშნავს განხეთქილებას. ასეთი სახელი დაარქვეს მას იმიტომ, რომ ააგო იგი საქართველოს ერთმა მეფემ სინანულის ნიშნად, რადგან მან სრულიად უმიზეზოდ დაარღვია ზავი ერთ მეზობელ თავადთან.

სომეხთა უმთავრესი ეკლესიებია – ფაშა-ვანქ, რაც ნიშნავს ფაშის მონასტერს. ამ ეკლესიაში სცხოვრობს სომეხთა ეპისკოპოსი. ხსენებულ მონასტერს ასეთი სახელი ეწოდა იმიტომ, რომ, როგორც სომხები გადმოგვცემენ, იგი ააგო ოსმალეთიდან გამოქცეულმა ფაშამ, რომელმაც ამ ქალაქში ქრისტიანობა მიიღო შემდეგ – სურფ-ნიშანი,

[1] ანჩისხატი.

რაც სიტყვა-სიტყვით გამოხატავს წითელ ნიშანს, ხოლო სხვა აზრით—წითელ ჯვარს, ბეტკემი [1] ან ბითლემი, ნორაშენი, ესე იგი ახალი ნაშენი, და მოგნაი [2]. მოგნაი ერთი სოფლის სახელია. ირივანის [3] მახლობლად, სადაც, გადმოცემით, დიდხანს ინახებოდა წმ. გიორგის თავის ქალა; რადგან თავის ქალის ნაწილი ამ ეკლესიაში გადმოიტანეს, დაარქვეს მას იმ ადგილის სახელი, საიდანაც ქალა წამოიღეს.

ტფილისში სულ არ არის მეჩეთები, თუმცა ეს ქალაქი მაჰმადიანთა სახელმწიფოს ეკუთვნის და მას და მთელ მის ოლქს მაჰმადიანი მთავარი განაგებს. სპარსელებმა ყოველ ღონეს მიმართეს, რომ მეჩეთი აეგოთ, მაგრამ ვერ მოახერხეს შენობის ბოლომდე მიყვანა, რადგან ხალხი მაშინვე იარაღით გამოდიოდა, ანგრევდა ნამუშევარს და მკაცრად უსწორდებოდა მუშებს. ქართველ მთავრებს გულში ახარებდა ასეთი მღელვარება, თუმცა გარეგნულად სხვას სჩადიოდენ: ისინი ხელს იღებდენ ქრისტიანობაზე, მხოლოდ მოსაჩვენებლად და თუმცა გულის ტკივილით, მაგრამ, მართვა-გამგებლობის შესანარჩუნებლად, მაინც ხელს უწყობდენ მაჰმადიანობას თავიანთ ქვეყანაში. ქართველები თავიანთი ხასიათით თვითნება და გატაცებული ხალხია და მათ გულში ჯერ კიდევ ღვივის თავისუფლების გრძნობა, ამასთან მათი ქვეყნიდან შორს არ არიან ოსმალებიც. სწორედ ამიტომ ვერ ბედავენ სპარსელები ამ შემთხვევაში მიმართონ უკიდურეს ზომებს და როგორც თვით ტფილისში, ისე მთელ ქვეყანაში აძლევენ მათ სრულ

[1] ფეთხაინი.

[2] მოღნინი.

[3] ერევანი.

თავისუფლებას ყოველგვარი რელიგიური წესის შესრულებაში. ყველა ეკლესიის სამრეკლოზე აღმართულია ჯვარი და ჰკიდია მრავალი ზარი, მათი ხმა ყველგან გაისმის. სხვა ხორცთან ერთად ყველგან აშკარად ჰყიდიან ღორის ხორცს, ხოლო ღვინო ყოველ ჯვარედინზე იყიდება. სპარსელები, ალბათ, უკმაყოფილონი არიან ამით, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათ წინააღმდეგობის გაწევა არ ძალუძთ. რამდენიმე წლის წინად მათ პატარა მეჩეთი ააგეს ციხეში, იმ კედელთან, რომელიც ციხეს ქალაქის დიდი მოედნისაგან ჰყოფს. სპარსელებმა ამ ადგილას ააგეს იგი იმისთვის, რომ ხალხის თვალი შესჩვეოდა მეჩეთს და მოლებს, რომელნიც მეჩეთის თავიდან სალოცავად მოუწოდებენ ხალხს. ქართველებმა ხელი ვერ შეუშალეს მეჩეთის აგებას, რადგან იარაღით ხელში ვერ ჰბედავდენ კარგად გამაგრებულ ციხეში შესვლას. მაგრამ რაწამს მოლა მეჩეთის თავზე გამოჩნდა ჩვეულებრივი მოწოდებისთვის, იმ წამსვე ხალხმა თავი მოიყარა მოედანზე და იწყო ქვების სროლა ისე უხვად, რომ მოლა ნება-უნებურად დაეშვა ძირს. ამ მღელვარების შემდეგ მოლებს აღარ აიძულებდენ მეჩეთზე ასვლას.

ტფილისში არის საუცხოო საზოგადო შენობები, ბაზრები, ესე იგი სავაჭრო ადგილები, ფართოა, აგებულია ქვისაგან და კარგად მოვლილი; ესევე შეიძლება ითქვას ქარვასლებზე, იმ სადგომებზე, სადაც უცხოელები ჩერდებიან. აბანო თვით ქალაქში ცოტაა, რადგან ყველა დადის ცხელ-წყლიან აბანოებში, რომლებიც ციხეშია/ ამ აბანოებში ძალიან ცხელი გოგირდის მინერალური წყალია. იმათი რიცხვი, ვინც ამ აბანოებით, როგორც სამკურნალო საშუალებებით, სარგებლობს დაავადებისა და ავადმყოფობის დროს, იმათზე ნაკლები არ არის, ვინც

იქ მარტო ტანის გასასუფთავებლად დადის. კარგად აგებულია და საუცხოოდ მოვლილი საზოგადოებრივი მაღაზიებიც (საწყობები). ისინი მდებარეობენ გორაკზე, მთავარი ციხის მახლობლად.

მთავრის სასახლეც ერთი საუკეთესო დამამშვენებელია ტფილისისა. მასში დიდი დარბაზებია, რომლებიც მტკვარს და სასახლის დიდ ბაღებს გადაჰყურებენ. არის სადგომები ფრინველთათვის, სადაც მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ჯიშის ფრინველი, დიდი სადგომი სანადირო ძაღლებისათვის და საუკეთესო, როგორის ნახვაც კი შეიძლება, საბაზიერო. სასახლის წინ არის ოთხკუთხი მოედანი, სადაც ათასამდე ცხენი დაეტევა; იგი შემორტყმულია დუქნებით და აკრავს იმ გრძელ ბაზარს, რომელიც სასახლის ალაყაფის კარებს წინ მდებარეობს. მაღლობიდან, სადაც ეს ბაზარია, საუცხოო გადასახედია მოედანზე და სასახლის წინა ნაწილზე. ყურადღების და დათვალიერების ღირსია კახეთის გამგებლის სასახლეც ქალაქის ბოლოში.

ტფილისის მიდამოებში მრავალი ვილა და საუცხოო ბაღია. მათში ყველაზე დიდი მთავრის ბაღია. ხე-ხილი იქ ნაკლებად არის, სამაგიეროდ ბევრი ხეა დარგული ბაღის დასამშვენებლად, რომელიც ჩრდილსა და სიგრილეს იძლევიან.

ტფილისში ცხოვრობენ მისიონერი-კაპუცინები.[1] აქ არის მისიების პროფექტი[2] რეზიდენცია, როგორც იმ მისიებისა, რომელნიც ამ ორდემა უკვე გაიჩინა საქარ-

[1] კათოლიკეთა სამონაზნო ორდენი, დაარსებული 1525 წელს. მის, ისევე, როგორც მეორე, ფრანცისკანთა, ორდენის მთავარ ცნებას შეადგენდა გლახაკობა.

[2] უფროსი.

თველოში, ისე იმათი, რომელთა მოწყობის იმედიც მასა აქვს, აგრეთვე სხვა ქვეყნების მისიებისა. მისიონერები თავიანთ თავს მკურნალებს უწოდებენ, ასეთებად მიაჩნიათ ისინი მცხოვრებთაც. მათ ყველგან, სადაც კი დამკვიდრებას მოისურვებენ, კარგად იღებენ, რადგან მედიცინას და ქიმიას[1] აღმოსავლეთში ნაკლებად იცნობენ, დიდად კი აფასებენ. პირველად ისინი დაემკვიდრენ ტფილისში, ხოლო შემდეგ—გორში. შახნავაზ-ხანმა[2] მათ ამ ქალაქებში მისცა თითო სახლი და მიანიჭა თავიანთი სარწმუნოების აღიარების თავისუფლება. ამ მისიონერებმა მთავარს მოუტანეს პაპის და de propaganda fide-ს[3] კონგრეგაციის წერილები და მიართვეს მშვენიერი საჩუქრები მთავარს, მთავრის მეუღლეს, კათალიკოსს და წარჩინებულ კარისკაცებს. ისინი ორ წელიწადში ერთხელ ეხლაც განაგრძობენ საჩუქრების მირთმევას.

ქალაქი ტფილისი მჭიდროდ არის დასახლებული. აქ უცხოელთა ისეთი სიჭრელეა, როგორსაც სხვაგან კაცი ვერსად შეხვდება. აქ დიდი ვაჭრობაა. მთავართა კარზე მრავალი დიდებული და წარჩინებული პირია; იგი იმდენად მრავალრიცხოვანი და საჩინოა, რომ სავსებით შეესაბამება ოლქის დედაქალაქს. რაც შეეხება ქალაქის სახელწოდებას—მისი ეტიმოლოგია ვერ გამოვარკვიე. ამბობენ, ეს სახელი მას სპარსელებმა უწოდესო მართლაც,

---

[1] აქ, ალბათ, იგულისხმება სამკურნალო პრეპარატების დამზადება, ე. ი. სააფთიაქო საქმე.

[2] საქართველოს მეფე ვახტანგ მე-V შახნავაზ (1658—1675).

[3] კათოლიკეთა ეკლესიის სამისიონერო დაწესებულება; დაარსდა 1622 წელს კათოლიკობის გასავრცელებლად და მწვალებლობასთან საბრძოლველად.

ქართველები არასოდეს არ ეძახიან მას ტფილისს, არამედ კალა-ს, რაც ნიშნავს „ქალაქს“ ან „ციხეს“. ამ სახელით აღნიშნავენ ისინი ყველა დიდ და კედელ—შემოვლებულ დასახლებულ ადგილს. მე ვფიქრობ, რაკი მათ ქვეყანაში არ მოიპოვება კედელ-შემოვლებული სხვა ქალაქი, ამიტომ საჭიროდ არ დაინახეს ტფილისისთვის, ქალაქს გარდა, სხვა სახელი დაერქვათ. ზოგიერთი გეოგრაფოსი მას ტბელე-კალა-ს უწოდებს, რაც ნიშნავს „ცხელ ქალაქს“, შეიძლება იმიტომ, რომ იქ არის აბანოები ბუნებრივი ცხელი წყლით, ან იქნებ იმიტომ, რომ ჰავა იქ ისე ცივი და სუსხიანი არ არის, როგორც დანარჩენ საქართველოში. სპარსელთა გამოანგარიშებით, ტფილისი მდებარეობს სიგრძელის მე-83°-ზე და განივის მე-43, 5°-ზე. მას უწოდებენ დარ ელ-მელექს, რაც ნიშნავს მეფის ქალაქს, რადგან იგი სახელმწიფოს დედა ქალაქია...

შახნავაზ-ხანმა, გაიგო თუ არა ვინა ვარ და ის, რომ განსვენებულ მეფეს[1] ევროპაში გაუგზავნივარ სხვადასხვა დავალებით, ბრძანა—მისი სახელით გადმოეცათ ჩემთვის სალამი და ეცნობებინათ, რომ იგი მოხარულია ჩემი მოსვლის გამო და რომ დიდად ვასიამოვნებ, თუ ვინახულებ რაც შეიძლება მალე... შუადღე იქნებოდა, როცა პრეფექტის და მამა რაფაილის თანხლებით სასახლეში წავედი. მიგველოდენ სუფრაზე. მთავარი დარბაზში იყო. დარბაზის სიგრძე 110 ფუტი იქნებოდა, ხოლო სიგანე—40. აგებულია იგი მდინარის პირად და ამ მხრიდან ღიაა.

---

[1] ე. ი. სპარსეთის შაჰს სოლეიმან III-ს, რომლის დროსაც შარდენი სპარსეთში იყო. ეს იყო მისი პირველი მოგზაურობა აღმოსავლეთს (იხ. ქვემოდ გვ. 24).

მოზაიკური ჭერი დანდობილი იყო მრავალ შეფერადებულ და ოქროთი მოვარაყებულ 35—40 ფუტის სიმაღლის სვეტზე. მთელი დარბაზი მოფენილი იყო საუცხოო ნოხებით. მთავარი და დიდებულნი ისხდნენ სამ პატარა ბუხართან, რომლებიც, მრავალ ჩირაღდანთან ერთად, ისე კარგად ათბობდნენ დარბაზს, რომ სიცივე სრულებით არ იყო საგრძნობი. შახნავაზ-ხანის მიერ დადგენილი ეტიკეტის მიხედვით, შესვლისას მას ისეთივე პატივი უნდა სცენ, როგორც სპარსეთის შაჰს: ორ ნაბიჯზე მთავრისაგან მისული უნდა დაეშვას მუხლებზე და იატაკამდე თავის დახრით სამჯერ ზედი-ზედ მიესალმოს. ევროპიელნი ყოველთვის წინააღმდეგნი იყვნენ ასეთი წესის. მართლაც, ამაზე დამამცირებელი რამ ძნელი წარმოსადგენია: ასე გართობა შეიძლება მხოლოდ ღმერთის წინაშე. ევროპიელებს ამგვარი მისალმებისაგან ზოგჯერ ანთავისუფლებენ იმ საბაბით, რომ ისინი, როგორც უცხოელნი, ადგილობრივ ეტიკეტს არ იცნობენ. მე მივესალმე მეფეს სამჯერ თავის დაკვრით, მაგრამ მუხლთ არ მომიყრია. ამის შემდეგ ორმა მოსამსახურე აზნაურმა წამიყვანა დასაჯდომ ადგილზე. მე არაფრის გულისათვის არ მინდოდა უფრო საპატიო ადგილი დამეჭირა, ვიდრე კაპუცინებს, თუმცა ხსენებული აზნაურები და დარბაზის შუაში მდგომი მეტრ-დ'ოტელი თავისზე იდგნენ. მე მინდოდა პატივი მეცა კაპუცინებისთვის, რათა სხვებიც პატივისცემით მოპყრობოდნენ. პროფექტი აღტაცებული იყო ამით, მას უნდოდა მის ამხანაგზე უფრო საპატიო ადგილი მაინც დამეჭირა...


16 თებერვალს მთავარმა მიგვიწვია თავისი ძმისწულის ქორწილში, რომელიც სასახლეში უნდა გადაეხადათ. საქორწილო ნადიმი გაიმართა სასახლის ერთ-ერთ ტე-

რასაზე, რომელიც შემოვლებული იყო ორი ფუტის სიმაღლის და ექვსი ფუტის სიგანის ფიცრულით. ტერასას ზევიდან გადაკრული ჰქონდა ხუთ სვეტზე დამაგრებული დიდი ფარდა; ყოველი სვეტის დიამეტრი უდრიდა ხუთ ფუტს, ხოლო სიმაღლე—22 ფუტს. ფარდას აკრული ჰქონდა ვერცხლის და ოქროს ფერი ფარჩა, ხავერდი და ზოლებიანი ტილო, ამასთან ყველაფერი ეს ისე ოსტატურად და გემოიანად იყო გაკეთებული, რომ ჩირაღდნების შუქზე გეგონებოდათ—ყვავილებისა და მავრიტანული სამკაულის ხვეულიაო. შუაზე დიდი ჯუზი იყო წყლით, მაგრამ იგი ჰაერს არ აგრილებდა, რადგან მრავალრიცხოვანი საზოგადოება და დიდი ჩირაღდნები ძალზე აცხუნებდნენ: როცა მე ნადიმიდან მივდიოდი, სიმხურვალე უკვე საგრძნობი იყო. იატაკზე დაგებული იყო საუცხოო ნოხები, ხოლო მთელი სადგომი განათებული იყო ორმოცი დიდი ჩირაღდნით; ოთხი ჩირაღდანი მეფის წინ იდგა და ოქროსი იყო, დანარჩენი—ვერცხლისა. ყოველი ასეთი ჩირაღდანი ჩვეულებრივ ორმოც გირვანქას იწონის; მისი დასაყრდენი დიამეტრში თხუთმეტ თითს უდრიდა, ხოლო სვეტის სიმაღლე—ფუტნახევარს; სვეტი თავდებოდა ორ პატრუქიანი პატარა ჭიქით; ჭიქა სავსე იყო წმინდა ქონით. ასეთი ჩირაღდანი დიდ სინათლეს იძლევა.

მაგრამ ყველაზე საუცხოო მაინც ბუფეტი იყო. იგი შეიცავდა დაახლოვებით ას-ოც ჭურჭელს სასმისისთვის—აზარფეშებს, ფიალებს და ყანწებს, სამოც სურას და ოც ფიალას. ფიალა თითქმის ყველა ვერცხლისა იყო, სურა—ოქროსი, სადა ან მინანქრიანი; თასები, აზარფეშები—ზოგი ოქროსი, სადა ან მინანქრიანი, ან ძვირფასი თვლებით მოჭედილი, ზოგიც—ვერცხლისა. ყანწებიც შემკული

იყო, როგორც ძვირფასი ფიალები. ეს ყანწები სხვადასხვა ზომისაა. უფრო სადა, ხუთი თითის სიგრძისა და ორი თითის სიგანისა, გაკეთებულია ხარის ან ცხვრის რქიდან, მთლად შავი და წმინდად გაკრიალებული, მაგრამ არის ყანწები მარტორქის და გარეული ცხოველის რქებიდან გაკეთებულიც. ყანწებით სმა და მათი შემკობა აღმოსავლეთის ხალხს მუდამ ჩვეულებად ჰქონდათ.

[შარდენი. „მოგზაურობა სპარსეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. ჟან შარდენი, ფრანგი პროტესტანტი, დაბად. 1643 წელს პარიზში, გარდაც. 1713 წელს ლონდონში, მე-XVIII საუკუნის გამოჩენილი მოგზაური იყო. აღმოსავლეთში, უმთავრესად კომერციული მიზნით, იგი ორჯერ იყო: 1665—1670 წლებში—სპარსეთს, ხოლო 1671—1677 წლებში—სპარსეთსა და ინდოეთს. ტფილისში იყო 1673 წელს. 1683—1711 წლებში შარდენი ინგლისის ელჩად იყო ჰოლანდიაში და იმავე დროს ინგლის-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის აგენტად. მან აღწერა თავისი მეორე მოგზაურობა, რომელიც ფრანგულ ენაზე პირველად გამოიცა 1686 წელს ლონდონში; შემდეგში იგი მრავალჯერ გამოსცეს. მოგზაურობის იმ ნაწილების რუსული გამოცემა (შეცდომებით), რომელიც კავკასიას ეხება, მოთავსებული იყო ჟურნალ „Кавказский Вестник“-ის დამატებაში 1900 და 1901 წლებში. შარდენის მოგზაურობა დღემდე ფართოდ არის ცნობილი და ითვლება საქართველოს მე-XVII საუკუნის ისტორიის ერთ-ერთ არსებით წყაროდ. მაინც არ შეიძლება საეჭვოდ დამყარება შარდენზე: მის გადმოცემასა და აღწერაში ბევრი არა სწორი ცნობაა. თავის „მოგზაურობის“ იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს შეეხება, შარდენი თვითონაც უმთავრესად, ემყარებოდა იმ დროს საქართველოში მყოფ კათოლიკთა მისიონერებს, ეს მისიონერები კი ნაკლებად განათლებულნი იყვნენ და გადასცემდენ შარდენს იმას,



სამეფო ნადიმი XVII საუკუნეში.

რაც იცოდენ, ამასთან ისე, როგორც უნდოდათ. ამას ადასტურებს ამ კრებულში მოთავსებული ნაწყვეტიც შარდენის აღწერიდან, თუნდაც ის ადგილი, სადაც განმარტებულია ტფილისის ეკლესიების, უპირველეს ყოვლისა კი ანჩისხატის, სახელწოდებანი. მაინც ტფილისის ის აღწერა, რომელიც მან დაგვიტოვა, წარმოადგენს ყველაზე უფრო სრულ აღწერას მე-XVII საუკუნეში, ამიტომ იგი დიდი ყურადღების ღირსია.]

ტფილისი მე-XVIII საუკუნის დასაწყისში

(ტურნეფორი)

ტფილისი საკმაოდ დიდი და მრავალრიცხოვანი ქალაქია. სახლები იქ დაბალია, ცუდად განათებული და ცუდი აგურისაგან აგებული. ამ ქვეყნის სხვა ადგილებში უფრო ცუდი სახლებია, და სრულებით არ შეეფერებიან იმ აღწერას, რომელსაც სტრაბონი იძლევა. „ივერიის დიდი ნაწილი,—ამბობს ეს მწერალი,—საუცხოოდ სცხოვრობს. იქ დიდი ციხე-კოშკებია, ხოლო სახლები კრამიტით არის გადახურული, მათი ხუროთმოძღვრება, ისევე, როგორც საზოგადო შენობებისა და მოედნების ხუროთმოძღვრება, ძალიან კარგია". ამ ჟამად ტფილისის კედლების სიმაღლე არ აღემატება იმ კედლების სიმაღლეს, რომლებიც ჩვენში ბაღებს არტყია, ხოლო ქუჩები უხეიროთ არის მოგებული. ციხეს მშვენიერი მდებარეობა აქვს ქალაქის თავზე, მაგრამ მისი კედელი დანგრეულია, ხოლო დასაცავი კოშკები ძალიან ცუდია. მთელი მისი გარნიზონი შესდგება რამდენიმე საცოდავი ხელოსან—მაჰმადიანისაგან, რომელთაც სამსახურისათვის ჯილდო ეძლევათ. ისინი აქ თავიანთი ოჯახებით სცხოვრობენ და თითქმის არ იციან იარაღის ხმარება. ციხე წარმოადგენს თავშესაფარს ბედმოძულებულთათვის, რომელნიც აქ ემალებიან ვალებს და სასჯელს ჩადენილი დანაშაულისთვის. ძალიან კარგი და განიერია მის წინ მდებარე სამხედრო მოედანი. იგი ამ ქვეყნის საუკეთესო სანოვაგის ბაზარსაც

წარმოადგენს. ისპაჰანიდან ტფილისში მომსვლელმა ციხეზე უნდა გაიაროს. ამრიგად, საქართველოს მმართველი, რომელმაც, სპარსული ჩვეულების მიხედვით, სპარსეთის მეფის საჩუქრები ქალაქის კედლებს გარედ უნდა მიიღოს, მოვალეა გაიაროს ციხეზე, სადაც ციხის უფროს ადვილად შეუძლიან დააპატიმროს, თუ კი ამგვარ ბრძანებას მიიღებს.

ქალაქი გაჭიმულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. ციხე შუაგულში მდებარეობს. შეიძლება მისი კარგად გამაგრება, რადგან მთის ფერდობი, სადაც იგი მდებარეობს, ძალზე დაქანებულია, ხოლო მდინარე მტკვარი, რომელიც ქალაქს სიგრძეზე სჭრის, გაუვალია უფონობის გამო. ქალაქის კედლები დაჰყურებენ ამ ფერდობს, წარმოადგენენ ოთხკუთხედის მსგავს და ეშვებიან ქვეით, ვაკეში, მაგრამ ამ კედლების ნახევარი ძალზე დანგრეულია და ისინი ვერ შეედრებიან იმ კედელს, რომელიც ვენსენის ტყეს[1] არტყია, როგორც ამას ბატონი შარდენი ამტკიცებს.

მთავრის სასახლე,[2] რომელიც ციხის ძირში მდებარეობს, მეტად ძველი დროისაა და ისეთი პატარა ქვეყნისთვის, ძალიან მოვლილი და დაცულია. სასახლის ბაღები, ფრინველის და ძაღლების სადგომები, საბაზიერო, მოედანი და ბაზარი სასახლის წინ ღირს იმად, რომ კაცმა დაათვალიეროს. ჩვენ შეგვიყვანეს დიდ დარბაზში, რომელიც თუმცა ხისაა, მაგრამ მაინც ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ფანჯრები ყველა მხრიდან აქვს, მინები ამ ფანჯრებში სხვადასხვა ფერისაა—ლურჯი, ყვი-

---

[1] პარიზის გარეუბანია.

[2] იხილე ზემოთ, შენიშვნა მე-14 გვერდზე.

თელი, მოწითანო-მრეში და სხვა ფერისა. არის რამდენიმე ვენეციური სარკეც, მაგრამ მომცრო, ამასთან სალამაზით ეს სარკეები ძალიან ჩამოუვარდებიან პარიზისას. ჰერი შემკულია ოქროს ვარაყიანი ტყავით. გვარწმუნებდნენ, რომ სასახლის მეორე ნახევარი, ქალთა სამყოფელი უფრო ლამაზად არის შემკული; მაგრამ გასაღები, არ ვიცი რატომღაც, ვერ იპოვეს, მიუხედავად, როგორც ჩანდა, გულწრფელი სურვილისა ეჩვენებიათ ჩვენთვის ეს ნახევარიც. მთავარი და მისი კარი ამ დროს სოფლად იყო.

სასახლის შემდეგ წავედით ახლო მდებარე აბანოების დასათვალიერებლად. ეს საუცხოო ცხელი წყაროებია, მაგრამ მათი ტემპერატურა მაინც ასატანია — დაახლოებით ისეთივეა, როგორიც არის ელიას წყლის ტემპერატურა არზრუმის მახლობლად. ტფილისის აბანოებში, გარდა ამისა, არის თბილი და ცივი წყალი. აბანოებს ძალიან კარგად ინახავენ. ისინი, შეიძლება ითქვას, ქალაქის მოსახლეობის ერთად-ერთ გასართობს წარმოად გენენ.

ტფილისის ვაჭრობის მთავარ საგანს შეადგენს ბეწვეული, რომელიც აქედან სპარსეთს ან, არზრუმით, კონსტანტინეპოლს მიდის. ადგილობრივი აბრეშუმი, აგრეთვე აბრეშუმი შემახიიდან და განჯიდან, ტფილისით არ მიდის იმ დიდი ბაჟის გამო, რომლის გადახდაც აქ არის საჭირო. სომხები ყიდულობენ აბრეშუმს ადგილობრივ და გზავნიან სმირნაში და სხვა ნავთსადგურებში ხმელთა შუა ზღვაზე, საიდანაც იგი საფრანგეთში მიდის. ყოველწლიურად ტფილისიდან და დანარჩენ საქართველოდან არზრუმში იგზავნება აქლემის ორი ათას ქარავანზე მე-

ტი მცენარის ძირი, რომელსაც Boia ეწოდება.[1] აზრუმიდან ეს ძირი მიდის დიარბექირს, სადაც მას ხმარობენ იმ ტილოს შესაღებად, რომელსაც იქ პოლონეთისთვის ამზადებენ. გარდა ამისა, საქართველო დიდძალ ძირს ასაღებს ინდოსტანში, სადაც ამზადებენ საუკეთესო შეღებილ ტილოს. ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და გავიარეთ ტფილისის ბაზარზედაც, რომელიც სავსეა ყოველგვარი ხილით; ბევრია განსაკუთრებით ქლიავი და საუცხოო მსხალი „de Bon Chzetien d'Ete". გავისეირნეთ აგრეთვე ქალაქ გარეთ მდებარე მთავრის სასახლისკენ. ეს სასახლე ქალაქის იმ გარე-უბანშია, რომელზედაც ოსმალეთში მიმავალი გზა მიდის. სასახლე შესანიშნავია იმით, რომ მის წინ მოწყობილია ადგილი წამებისთვის. სასახლის მახლობლად საუცხოო ბაღებია, რომლებსაც ბევრად უკეთესად უვლიან, ვიდრე ოსმალეთში. ამ ბაღებში აღტაცებაში მოგვიყვანა პირწმინდა მცენარემ („persicaire"), რომელსაც ისეთივე ფოთლები აქვს, როგორც თამბაქოს.

საუკეთესო შენობა ქალაქში დიდი ვეზირის სახლია. მისი აგება ჩვენი მოსვლის წინ დაამთავრეს. ოთახები ერთ ხაზზეა გამწკრივებული, მაგრამ დაბლებია, როგორც ამ ქვეყანაში სჩვევიათ. კედლების ზედა ნაწილი შემკულია ნახატი ყვავილებით და ისტორიული სურათებით; ყველაფერი ეს მეტად უშნო გემოვნებისაა, უხეიროდ დახატული, ცუდად შეღებილი და უფრო ცუდად შეხამებული. სპარსელები თუმცა მაჰმადიანები არიან, მაგრამ მხატვრობას არ ეწინააღმდეგებიან. ტფილისში ჩვეულებრივ ხატავენ al fresco, გაუმშრალ კირზე, რაც საკმაოდ

---

[1] Boiah (თათრულია)—ენდროა; იგი იძლევა ქსოვილების შესაღებ ნივთიერებას.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. კირი აქ ბლომად არის, ისევე, როგორც ტყე, თუმცა სახლებს ძროხის ნივით ათბობენ.

ტფილისში ირიცხება 20.000-მდე მცხოვრები—14.000 სომეხი, 3.000 მაჰმადიანი, 2.000 ქართველი და 500 რომის კათოლიკე. ეს უკანასკნელნი—მოქცეული სომხები—დაუძინებელი მტრები არიან თავიანთი დანარჩენი თანამემამულეებისა; იტალიელი კაპუცინები [1] ვერაფრით ვერ ახერხებენ მათ შერიგებას.

ჩვენ ჩამოვხდით ამ კეთილ მამებთან, რომელნიც ძალიან უყვართ საქართველოში: ისინი აქ მკურნალები არიან, მკურნალები სულისაც და სხეულისაც. საქმე მათ ბევრი აქვთ, რადგან სულ სამი კაცია—ორი ბერი და ერთი მორჩილი. propaganda fidei-ის [2] კონგრეგაცია ამ ჟამად მათ წლიურად თითო სულზე აძლევს 45 რომაულ ეკიუს, რაც 100 ფრანგულ ლივრს [3] უდრის. სამაგიეროდ მათ მკურნალობის ნებას აძლევენ, რადგან მედიცინაში დიდ მცოდნეებად ითვლებიან, თუმცა ნამდვილად მათი ცოდნა ამ მხრივ მეტად ზეზეურია.

ტფილისში ყველას უფლება აქვს დაამზადოს თოფის წამალი საკუთარი საჭიროებისთვის. გოგირდი განჯიდან მოაქვთ, ხოლო გვარჯილა მეზობელ მთებში მოიპოვება. ქვამარილი ბლომად არის ერევნისკენ მიმავალ გზაზე. ზეითუნი ზეთი ძალიან ძვირია; საშველში და გასანათებლად ხმარობენ სელის ზეთს. სელი აუარებელია მეზობელ

---

[1] იხ. ზემოთ, შენიშვნა 1 მე-21 გვერდზე.

[2] იხ. ზემოთ შენიშვნა 2—მე-21 გვერდზე.

[3] ლივრი—ძველებური ფრანგული ვერცხლის ფულია, ცოტა ნაკლები დღევანდელ ვერცხლის ფრანკზე.


სოფლებში, მაგრამ მას მარტო მარცვლისთვის სთესენ, ღეროებს კი დაუმუშავებლად ჰყრიან. ეს უდიდესი დანაკლისია, რადგან მისგან შეიძლებოდა დედამიწაზე საუკეთესო ტილოს მომზადება. თუმცა, ვინ იცის, იქნება ამას ძირი გამოეთხარა აბრეშუმის ვაჭრობისთვის.

ტფილისში არის 5 ეკლესია ბერძენთა რჯულისა— 4 ქალაქში და ერთიც გარე-უბანში, 7 სომხური ეკლესია, 2 მეჩეთი ციხეში (იყო მესამეც მაგრამ იგი თავმინებებულია). სომეხთა საკრებულო ტაძარს სიონი[1] ეწოდება; იგი მტკვრის იქითი მხარეს მდებარეობს, ძალუმი შენობაა, თლილი ქვით ნაგები, შემკული გუმბათით, რომელიც ქალაქს სახელს უკეთებს. ტფილელი, როგორც ტფილისის ეპისკოპოსი ეძახიან, ამ ეკლესიის მახლობლად სცხოვრობს. ქრისტიანთა ეკლესიებს აქვთ არა მარტო ზარები, არამედ ჯვრებით შემკული სამრეკლოებიც. აღმოსავლეთში ეს დიდ სასწაულად ჩაითვლება. პირიქით, მუეზდინი (მაჰმადიანთა მგალობელი) ვერასოდეს ვერ გაბედავს აქ ციხის მეჩეთის მინარეთიდან მოუწოდოს მორწმუნეთ სალოცავად: ხალხი მაშინვე ქვებით ჩაჰქოლავს. კაპუცინების ეკლესია დიდი არ არის, მაგრამ, ეტყობა, ლამაზი იქნება, როცა მისი აგება დამთავრდება.

[ტურნეფორი. „აღმოსავლეთში მგზავრობის ანგარიში“ ტურნეფორი, ჟოზეფ-პიტონი, დაბად. 1655 წ., გარდაცვ. 1708 წ., იყო გამოჩენილი ფრანგი ბოტანიკოსი, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი. 1700 წელს, საფრანგეთის მეფის ლუი მე-XIV-ის დავალებით, გაემგზავრა აღმოსავლეთს—საბერძნეთში, ოსმალეთში და კავკასიაში.

[1] ასეა დედანში; აშკარაა შეცდომაა, ისევე, როგორც იქვე მოყვანილი მდებარეობა სიონისა.

ამ მოგზაურობის აღწერა ფრანგულ ენაზე დაწერილი გამოიცა პირველად 1717 წელს. იგი განირჩევა დიდი საფუძვლიანობით და სისწორით, თუმცა არ არის მოკლებული შეცდომებსაც, როგორც სჩანს, მაგალითად, იქიდან, რომ ტურნეფორი ტფილისის სიონს სომხის ეკლესიას უწოდებს. მეორეს მხრივ, ტურნეფორი სარგებლობდა თავის წინამორბედის შარდენის თხზულებითაც. შარდენს, რომლის თხზულების ნაწყვეტიც ზემოდ არის მოყვანილი, ტურნეფორი პირდაპირ იხსენიებს. მისი აღწერის ზოგიერთი ადგილი ტფილისის შესახებ, როგორც მკითხველიც შენიშნავდა, ძალიან ჰგავს შარდენის აღწერის სათანადო ადგილებს.]



განმარტება *

1) მეფის სასახლე
2) დედოფლის სასახლე
3) მეფის კარის საყდარი
4) მეფის მოედანი
5) უფლისწულის სასახლე
6) ანჩისხატის საყდარი
7) ამილახვრის სახლი
8) უფლის წულის სახლი
9) ლუარსაბის სახლი
10) მუხრან ბატონის სახლი
11) სიონი
12) თბილელის ჭარვასარა
13) მელიქის ჭარვასარა
14) მეფის საჯინიბო
15) ციხის ფოლორაცი
16) წმ. ნიკოლოზის საყდარი
17) ციხის საყდარი
18) მაღალი ციხე
19) სტამბოლის კოშკი
20) შაჰის ტახტი
21) კოერის კარი
22) დიღომის კარი
23) მოედნის კარი
24) ქვემო კარი
25) ვანქი
26) სომხის სასაფლაო
27) მოედნის კარი
28) საასპარეზო
29) ქაიბულას ბაღი
30) მეფის საბაზიერო
31) თათრის სასაფლაო
32) ციციშვილის სახლი
33) ქაშვეთი
34) კალოუბანი
35) არაგვის ერისთავის სასახლე
36) სომხის საყდარი
37) ბეჟანის ჭარვასარა
38) მამასახლისის ბაღი
39) მეფის ასულის ბაღი
40) მეფის დის ბაღი
41) ამარათი
42) თბილელის ბაღი
43) სალალაკის წყალი
44) იშიტუტრუჭი
45) მთა წმინდა
46) თბილი ხიდი კალიდან ისნს
47) თბილისის ბაღი (სეიდაბადისა)
48) სალადგარი
49) თაბორი
50) თათრის სასაფლაო
51) ციხის ბაღი
52) ოქუაშვილის ხიდი
53) წავკისის წყალი
54) კრწანისის ბაღი
55) მეტეხის ციხე
56) სომხის საყდარი
57) ბერძნის საყდარი
58) მელიქის საყდარი
59) ბებუთის ბაღი
60) სომხის საყდარი
61) ჩუღურეთი
62) კვირაცხოველი
63) ახალი სოფელი
64) ახალი მოედნის ბაღი
65) მამასახლისის საყდარი
66) სომხის საყდარი
67) ლათინთ საყდარი
68) ბეაცნის ბაღი
69) მოღნინი
70) კლდის უბნის საყდარი
71) ქვემო ციხე
72) ზემო ციხე
73) ავლაბრის ხიდი
74) ავლაბრის კარი
75) ლათინთ სასაფლაო
76) განჯის კარი
A კალა ანუ თბილისი
B თბილისი ანუ სეიდაბადი
C ისნი ანუ ავლაბარი
D გარეთუბანი

*ესიმ რუკის დედანი, რომლიდანაც არის გადმოღებული ეს (რუსული) რუკა, თბილისში არ მოიპოვება. იგი დაცულია ყაზანში და იმ დედნიდანა აქვს ერიცოვს გადმოღებული. ამიტომ ჩვენ იძულებული გავხდით ქართული გამოცემისათვის რუსულიდან გადმოგვეთარგმნა; ხოლო სახელწოდებების შეძლებისადაგვარად დაახლოვება თვით ვახუშტის ტექსტთან შევეცადეთ მის წიგნში ნახმარ სახელებს, როდესაც ეს შესაძლებელი იყო. სამწუხაროდ ვახუშტის გეოგრაფიის ტექსტი ყოველთვის არ იძლევა ამის შესაძლებლობას. ამიტომ უმეტესია, ამ გადმოჭართულებულ სახელებში შეცთომები იქნება.

გ. ნ.

ტფილისი მე-XVIII საუკუნის ქართველი მეომრის თვალით

(ვახუშტი).

ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოთ-აღმოსავლით, ტფილისს—ჩრდილოთ და ისნს—დასავლით და სამხრით. ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის-წყალი, რომელი გამოსდის წავკისისა და კოჯრის მთებსა, სამხრით და აღმოსავლით უდის კალას და დასავლით—ტფილისს. არამედ პირველ იყო დაბა. 27-ე მეფის ვარზაბაკურის ჟამსა შინა აღაშენა შურის-ციხე, მცხეთისათვის, ერისთავმან სპარსთამან. შემდგომად გორგასალ დადვა საფუძველი და დაჩიმ, 34-ე მეფემან, ქმნა ქალაქად და ტახტად მეფეთა, და მურვან ყრუს შემდგომად შემღსრეს ხაზართა და აღაშენა ამირ აგარიამან. შემდგომად შემცირებისა მცხეთისასა და აოხრებისა მისისასა უმეტეს ტახტი იქმნა ბაგრატოვანთა. ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანოხი ექვსნი, და დიდ-შენნი ავაზიანნი, მარადის მომდინარე ცხელი წყალი. აქ, თაბორს, ყოფილა ციხე, არამედ ან შემუსრვილი არს. აქ დასხნა შასეფიმ სეიდნი[1], მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს*. ყოფილან ეკლესიანი დიდ-შენნი, არამედ აწ შემუსრვილნი არიან.

---

[1] სეიდი არაბულად ნიშნავს ბატონს.

* სეიდის შენნი.—ვახუშტი.

კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა და ჩამოზღუდვილი სალალაკის-ხევი მტკვრამდე. სალალაკის-ხევის კარს უწოდებენ განჯის-კარად. მაღალს ციხეში არს ეკლესია გუნბათიანი წმიდის ნიკოლოზისა და სასახლე მეფისა—პალატნი დიდ-დიდნი და მშვენიერნი, არამედ დაუტევა 89-ე მეფემან როსტომ, ჩამოზღუდა კალა ციხიდამ ხიდის ყურამდე და მისცა სპარსთა; მიერითგან უჰყრავთ მათ; და თავისი თავისათვის სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე, მტკვრის გარდაკადებით, ყიზილბაშთა რიგისა. 94-ე მეფემან ვახტანგ[1] აღაშენა სახით მშვენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდ-მხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა. შემუსრეს ოსმალთა. არს კალას ეკლესია გუნბათიანი, დიდი, დიდად მშვენიერი, სიონი წოდებული, ღვთისმშობლისა, რომლისა საფუძველი დასდვა 39-ე მეფემან გურამ; შემდგომად შეასრულა ქვრივმან ვინმე დედოფალმან მოქალაქეთა და 41 მთავარმან ადარნასემ. ხოლო აწ დარღვევასა ზედა მიხდილი განაახლა და აღაშენა ძირიდამ გუნბათითურთ 94-ე მეფემან ვახტანგ. ზის ეპისკოპოზი მწყემსი ტფილისის სამხრით ქციისამდ.[2] არს კვალად ეკლესია ჯვარის, გუნბათიანი, მშვენიერი. განაახლა აწ იმერლისშვილმან. არს კვალად ანჩისხატი, დიდი, უგუნბათო, კათალიკოზისა; შემუსვრილი აღაშენა კათალიკოზმან დომენტიმ,[3] ძემან ქაიხოსროსამან. არს ნათლის-მცემლის, გუნბათი მოარღვია 89-ე მეფემან როსტომ, სხვი

---

[1] ე. ი. ვახტანგ VI-ე (გარდ. 1737 წ.), მამა თვით ბატონიშვილის ვახუშტისა.

[2] ქცია—მდინარე ხრამი.

[3] დომენტი კათალიკოსად იყო 1660-დან 1675 წლამდე.

განაახლა 94-ე მეფემან ვახტანგ. არს კვალად დაბალს ციხესა შინა ეკლესია გუნბათიანი და აწ ცარიელი, და სხვანი გუნბათიანნი არიან; 3 უპყრავთ სომეხთა. უგუნბათო აღაშენა კარის საყდრად 89-ე დედოფალმან მარიამ. კვალად აღაშენა 94-ე მეფემან ვახტანგ ორი უგუნბათო. 90-ე დედოფალმან როდამ აღაშენა ერთი უგუნბათო, კვალად უგუნბათო ოთხი, აწ უპყრავთ სომეხთა.

ხოლო ხიდის ყურს აღაშენა მეჩეთი შა ისმაილ; 89-ე მეფემან როსტომ აღაშენა ციხეს გარეთ ერთი, სასახლესა შინა თვისსა ერთი და განჯის კართან ერთი[1]. ურუმთ[2] ქორონიკონსა ჩღკზ[3] აღაშენეს სამი, არამედ შემუსრნა შა ნადირ.

ისნს არს, კიდესა ზედა მტკვრისასა, კლდესა, ციხესა შინა, ეკლესია მეტეხი*, ღვთის-მშობლისა, გუნბათიანი, დიდ-მშვენიერ ნაშენი, საარქიმანდრიტო. შემუსვრილი აღაშენა 63-ე მეფემან დიმიტრიმ. 92-ე მეფემან ერეკლემ მისცა სპარსთა, და არს უქმად. აქ განვალს ხიდი კალიდამ ისნს, ციხიდამ ციხესა. ხოლო ხიდის ყურის სამხრით არს საფლავი წმიდის აბოსი, რომელი იწამა სპარსთაგან ტფილისს. ხოლო ისნის ციხე ყოფილ არს დიდი, რომელსა განაახლებდენ ოსმალნი ქორონიკონსა ჩღკჰ[5], და დაშთათ უსრულნი. ისნს არს ეკლესია ერთი უგუნბათო, არამედ გუნბათიანი ორი. და უგუნბათო ერ-

---

[1] იგულისხმება მეჩეთები.

[2] ე. ი. ოსმალთ.

[3] 1727 წელს.

* იტყვიან ამის აღშენებას გორგასალისასა.—ვახუშტი.

[5] 1728 წელს.

თი უპყრავთ სომეხთა. ყოფილან ძველად მრავალნი ეკლესიანი ტფილისს, კალასა და ისნს, არამედ აწ შემუსრვილნი არიან.

კალა მოზღუდა მეორე შა აბაზ, პირველ შემუსრვილი. სამხრით მოავლო სალალაკის კლდეზედ. დასავლით ქმნეს ორი კარი, ჩრდილოთ—ორი კარი. ზღუდეს გარეთ უხმობენ აწ გარეთ-უბანს, სადაც არს ასპარეზი. აქა არს ეკლესია გუნბათიანი 2, უგუნბათო 2, და უპყრავთ სომეხთა, ხოლო უგუნბათო 2 უპყრავთ ქართველთა. კალას არს რომაელთა ეკლესია ერთი და მონაზონნი.

ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა ტფილისს და განყოფით: კალას -- ტფილისსა, ტფილისს -- სეიდაბადს და ისნს—აელაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილისისა. მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მაჰმადიანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფროს სომეხნი და მცირედ ქართველნი, ქცევა-ზნით ქართულითა. სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯით, ზოგთა სპარსთ რიგისა, ზოგთა ქართული. არამედ ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი ქვითკირისანი არიან. ჰავითა არს მშვენი და მხიარული, ერნი მშვენიერნი და მშვიდნი, ქალნი ფრიად კეკლუცნი. გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვავილითა საცხე, განა ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნი. ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი. გაზაფხულ-შემოდგომა მშვენი და სატრფო. სანადირონი მრავალნი ახლოს, ფრინველთა და ნადირთა.

ხოლო კვალად დასავლით, იშიტუტრუქის კლდესა შინა, არს მონასტერი მთა-წმიდისა, და აწ ცალიერი. ხოლო ტფილისის სამხრ-აღმოსავლით არს ნავთლუხი. მუნ დის ნავთი კიდესა მტკვრისასა, არამედ წყლის სიახლო-

ვით მრავალი არ იღების. აღმოსავლით ტფილისისა არს ღილო. არა არს მუნ ვენახნი და ხილნი მთობისაგან, და არს უმდინარო წყაროებითა, და ნაყოფიერებს მთურად. ტბანი არიან მცირენი და უთევზონი, მყვრითა სავსე. სხდების წერო და ბატი მრავალი. ტფილისის ჩრდილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის ტერფი. ტფილისიდამ მცხეთამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი. კვალად ტფილისის ჩრდილოთ არს ლურჯმონასტერი, ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუნბათო, დიდი, აწ ხუცის სამარ. ვერესა ზედა არს ხიდი დიდი ქვიტკირისა. განა ვერე წყნეთამდე წალკოტითა შემკული და მრავალნი. მის სამხრით არს ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ ვერედამ მოტანილი და აწ უმისოდ უნაყოფო არს. მას ზეით არს ტბა ლისისა და მის დასავლით—მთა სხალდიდისა, კეთილი აგარაკი და მშვენიერი ყოვლითა. ამის სამხრით—ხეობა* დიღმისა გამოსდის ამისი წყალი სხალდიდსა და სათოვლის მთას და დის აღმოსავლით, მიერთვის მტკვარს დასავლიდამ. არს წოდორეთამდე ვენახოვან ხილიანი, და მას ზეით—მთებრი. სამხრით არს ველი დიდი დიღმისა, უნაყოფო, არამედ ბალახოვანი, და ზამთარს იზრდების ცხვართა და ზროხათა სიმრავლენი.

[ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი. „საქართველოს გეოგრაფია“. ბატონიშვილი ვახუშტი, უკანონო შვილი საქართველოს მეფის ვახტანგ VI-სა, დაბადებული დაახლოებით 1696 წელს, ხოლო გარდაცვლილი 1772 წელს,

---

* აქიდამ ძეგვის-წყალამდე მუხრანისა არს, ხოლო აწ ესრეთ რიცხვენ.—ვ ა ხ უ შ ტ ი.

ერთი უდიდესი წარმომადგენელთაგანი იყო ქართველთა მეცნიერული და ლიტერატურული აღორძინებისა მე-XVII საუკუნის დამლევს და მე-XVIII საუკუნის დამდეგს. ვახუშტი მოსკოვს გაჰყვა თავის მამას, რომელიც 1724 წელს საქართველოდან გადასახლდა, და იქ დარჩა სიკვდილამდე, იქვე დასწერა თავისი მთავარი შრომა—საქართველოს ისტორია და გეოგრაფია რუკებით (დაამთავრა 1745 წ.). ეს შრომა თავის დროის დიდად შესანიშნავი ნაწარმოებია, რომელიც, თავისი მნიშვნელობით, სცილდება ქართული ლიტერატურის ფარგლებს. იგი მის შემდგენელს, ვახუშტის, გვიხატავს ისეთ კაცად, რომელიც იმ დროინდელი ევროპიული კულტურის სიმაღლეზე იდგა. მე-XIX საუკუნეში ეს შრომა ნაწილ-ნაწილად გამოსცეს აკადემიკოსმა მ. ბროსემ, პროფ. დ. ჩუბინაშვილმა და ისტორიკოსმა დ, ზ. ბაქრაძემ, ხოლო მთლიანად—მ. გ. ჯანაშვილმა. ამ უკანასკნელმავე გადათარგმნა რუსულად „საქართველოს გეოგრაფია“ და მოათავსა იგი „Записки Кавк. Отдела Императ. Русского Географесского Общества“-ში, წ. XXIV, გ. 5. (ტფილისი 1904 წ.)]

ტფილისი მე-XVIII საუკუნის რუსი აკადემიკოსის აღწერით

(გიულდენშტედტი)

ტფილისი თავისი წარმოშობით ნახევრად სპარსული ნახევრად ევროპიული ქალაქია; იგი რეზიდენციაა ქართველთა მეფეებისა. ქართველები მას ტფილისკალარს ეძახიან, ე. ი. თბილ ქალაქს, რადგან მახლობლად არის თბილი წყაროები, ხოლო ამ წყაროებთან—აბანოები.

ტფილისი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე; ეს ნაპირი, კავკასიონის სამხრეთის ქედის ფერდობი, აქ ოდნავ არის დაქანებული, ზემოდ და ქვემოდ კი უფრო ციცაბოა. ტფილისი, ჩემის დაკვირვებით, მდებარეობს ერთ მერიდიანზე მოზდოკთან, ამ უკანასკნელზე ორი გრადუსით სამხრეთით. უწინ ტფილისი იყო ქვემოთი ნაწილი, ის უბანი, რომელიც აბანოებთან მდებარეობს.

ეხლანდელი ქალაქი წარმოადგენს თითქმის ბლაგვ სამკუთხედს და მტკვარამდე შემოვლებულია აგურის კედლით. აღმოსავლეთ კუთხეში მცირე სიმაგრეა—ნარეკალა, დასავლეთ კუთხეში—შარდახთის ციხე. ქალაქის კედლის სიგრძე ამ ორ წერტილს შუა 600 საჟენს უდრის, ხოლო მთელი ქალაქი ირგვლივ იქნება დაახლოებით სამი რუსული ვერსი, ე. ი. 1.500 საჟენი. ამ პატარა მანძილზე სცხოვრობს 20.000 სული, ამიტომაც ქუჩების სიგანე აქ ერთ საჟენს არ აღემატება, ხოლო შესახვევები უფრო ვიწროც არის.

სახლები აგებულია აგურისა და ფიქალისაგან თიხნარი კირით, ერთსართულიანია, სიმაღლით 15 ფუტამდე, პრტყელი სახურავით, რომელიც დატკეპნილია თიხით. ოთახებში ბუხრებია; ფანჯრებში მინების ნაცვლად—განსანთლული ქაღალდი. შენობები ხელდახელ არის აგებული, არამკვიდრად, უხეიროდ და თვალს ვერ იზიდავს. ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მტკვარზე გადებულია ხიდი, საიდანაც გზა მიდის პატარა ციხეში—მეტეხში, რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ქალაქის ძირში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე თბილი წყაროებია, ხოლო ამ წყაროებთან—საზოგადო აბანოები ორივე სქესისთვის. აბანოების ქვემოდ მდებარეობს გარეთუბანი, უფრო სწორად—ძველი ტფილისი. ქალაქთან და გარეთუბანთან ვრცელი ვენახები და ხეხილის ბაღებია, რომლებიც 5 ვერსის მანძილზე მისდევენ მტკვარს ქვემოდ. ეს ვენახები და ბაღები, პატარა წისქვილებისა და არხების შემწეობით, მტკვრის წყლით ირწყვება. ბაღებთან და ქვემოდ, მდინარის გაყოლებაზე, პატარ-პატარა სახნავებია. ბაღები და სახნავები არის აგრეთვე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქალაქის პირდაპირ.

ასეთ პატარა სივრცეზე, სადაც ისეთადაც 20.000-მდე მოსახლეა თავმოყრილი, ბევრი ადგილი უჭირავს ეკლესიებსა და სასაფლაოებს. მოსახლეობის ასეთი სიმჭიდროვე, დაქანებული ადგილ-მდებარეობა ქალაქისა, თიხნარი ნიადაგი, რომელიც წვიმის დროს წყალს არ უშვებს და ტალახად იქცევა ხოლმე, ცუდი პოლიცია, რომელიც არ ეურჩება ქუჩების განაგვიანებას—ყოველივე ეს შიამავს ჰაერს; აქედან—მუდმივი დიზენტერია და ავი ციებ-ცხელება, ხშირი ეპიდემიები და ზოგჯერ შავი ჭირიც. 1770 წელს შავმა ჭირმა აქ 4.000 კაცამდე იმსხვერპლა. სი-

კვდილიანობა უფრო დიდიც იქნებოდა აქ, რომ მას ხელს არ უშლიდეს სახლების მსუბუქი აგებობა: უხეირო კარების, ქაღალდ-გაკრული ფანჯრების, ბუხრებისა და სხვათა შემწეობით აქაურ სახლში ჰაერის განუწყვეტელი მოძრაობაა. შავი ჭირის დროს, 1770 წელს, ავადმყოფნი მეტ წილად ქუჩაში გაჰქონდათ, და შემჩნეულ იქნა, რომ ქუჩაში გატანილთაგან უფრო მეტი იკურნებოდა, ვიდრე სახლში დარჩენილთაგან.

ქალაქის მცხოვრებთა ნახევარზე მეტს სომხები შეადგენენ; მეორე ნახევარი შესდგება ქართველებისა და თითქმის ამდენივე თათრებისაგან. სომხებიდან 400 მდე რომის-კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებს და მათ თავიანთი მღვდლები ჰყავთ.

ყველა რჯულის აღმსარებელს მრავალი ეკლესია მოეპოვება.

ქართველებს ეკუთვნით 14 ეკლესია, აქედან საკრებულო ტაძარს ეწოდება სიონ-საყდარი, ე. ი. სიმეონის ეკლესია. მასში გრძელი წარწერაა ქართულს ენაზე. ხარების ღვთისმშობელი წინად კათოლიკეებისა იყო. სომხებს 20 ეკლესია აქვთ, აქედან 12 ქალაქშია, ხოლო 8 —გარეუბნებში. სომეხ-კათოლიკეებს, რომელნიც სულ ოთხასი კაცისაგან შესდგებიან, მარტო ერთი ეკლესია აქვთ. თათარ-მაჰმადიანებს სამი მეჩეთი აქვთ[1].

---

[1] გიულდენშტედტს ამ ადგილას სრულად აქვს ჩამოთვლილი ტფილისის, როგორც ქართველთა, ისე სომეხთა, ეკლესიები. ჩვენ გამოცემაში ეს ადგილი აღნიშნულია [ ] და გადმოცემულია შემოკლებით. ამასთან დედნის არა სწორი ადგილები და შეცდომები შეგნებულად არ არის გასწორებული, რათა წყაროს ტექსტი არ დამახინჯებულიყო.

ქალაქის მცხოვრებნი თავს ირჩენენ, უმთავრესად, ვენახებით და ბაღებით, განსაკუთრებით ბევრს სთესენ ბამბას. მათ შორის ბევრი მისდევს ვაჭრობას, მაგრამ მეტ წილად წვრილმან ვაჭრობას; მათ დუქნებში ყოველთვის მოიპოვება ჩვეულებრივი მატერიები. წვრილმანი საგნები, სურსათ-სანოვაგე, სურნელოვანი სანელებლები და სხვ. სხვები მისდევენ ხელოსნობას; ბევრია მეტყავე, დამჩითავი, ფეიქარი და მჭედელი. მაგრამ ყველა ეს საქმეთაო მეტად წვრილმანია, ასრულებენ მას შემთხვევითი პირები, ხოლო ნამდვილი ხელოსანი აქ არ მოიპოვება.

მეფეს აქვს აქ ერთი მარილის გამოსახდელი და ზარაფხანა. ტფილისში არის აგრეთვე თოფის წამლის ფაბრიკა. ამ ფაბრიკაზე მიღებულია შემდეგი პროპორცია: 13 ლიტრი[1] გვარჯილა, 2 ლიტრი გოგირდი, 2 ლიტრი ტირიფის ან ნიგვზის ხის ნახშირი. ამ ნარევს მთელი დღის განმავლობაში ნაყვენ ნიგვზის ხისაგან გაკეთებულ და კონუსის ფორმის როდინში, რომელსაც წამწვეტებული თავი ქვემოთ აქვს მოქცეული; როდინის სიგანე 10 ფუტი იქნება, სიგრძე—12 ფუტი; სანაყავად ხმარობენ მაგარი ქვის ფილთაქვას, რომელსაც ასაწევად ტარი აქვს გაკეთებული. შემდეგ თოფის წამალს სცრიან ძირდახერეტილ სპილენძის ქვაბში, რომლის სიგანეც 1 ფუტს უდრის, ხოლო სიღრმე—2 დიუმს. ერთი ლიტრი თოფის წამალი რუსულ ფულზე ღირს 12-დან 15 კაპიკამდე (4-დან 5 გროშამდე).

ტფილისში 1772 წელს ბათმანი პური, ე. ი. ერთი გირვანქა, რუსულ ფულზე ღირდა 8 კაპიკად, ძროხის

---

[1] ლიტრი საწყაოა, რომელიც მე-XVIII საუკუნის დამლევისთვის დაახლოებით 8 გირვანქას უდრიდა.

ხორცი—25 კაპიკად, ცხვრის ხორცი—30 კაპიკად, ყველი—20 კაპიკად, მარილი—20 კაპიკად, ბრინჯი—20 კაპიკად, ერბო—80 კაპიკად, ლიტრი ადგილობრივი ღვინო —20 კაპიკად.

პურისა და ქერის ხორბალი აქ ტივებით მოაქვთ გორიდან და სურამიდან. თვით ამ ტივებს აქვე ყიდულობენ, როგორც საშენებელ ხე-ტყეს.

[გიულდენშტედტი. „Reisen durch Russland und im Caucasische Gebürge (St. Petersb. 1787). ნაწ. I. გიულდენშტედტი, იოან-ანტონი დაბად. 1745 წ., გარდაიცვალა 1781 წ., მე-XVIII საუკუნის მეცნიერი, რუსეთის სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი, მიწვეულ იქნა რუსეთში 1768 წელს. რუსეთსა და კავკასიაში მან იმოგზაურა 1768-75 წლებში. გიულდენშტედტის ნაწარმოები, მისი სიკვდილის შემდეგ, გამოიცა გერმანულ ენაზე, ხოლო 1809 წელს ამ ნაწარმოების ნაწილი, დამუშავებული ცნობილი სტატისტიკოსის კ. გერმანის მიერ, გაჩნდა რუსულ ენაზედაც შემდეგი სათაურით: „Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа“.]

ქართველ მეფეთა სასახლე ტფილისში მე-XVIII საუკუნის დამლევს

(იოსელიანი)

საკუთრად სასახლეს სიგრძე ჰქონდა 65 საჟენი. მისი საძირკველი ამოყვანილი იყო აგურის სქელი კედლებით მდ. მტკვრის კლდოვანი ნაპირიდან. პირველი, ბნელი სართული, კლდეზე დანდობილი, მთლად გადახურული იყო აგურის თაღით და წარმოადგენდა სარდაფებს და საყინულეებს სასახლისთვის. მეორე სართულიც მთლად თაღიანი იყო აღმოსავლეთისკენ მიქცეული და დიდი მღვიმეების მსგავსი მაღალი ფანჯრებით. ამ სართულის კედლები შემკული იყო ნიჟარებით, კენჭებით, სარკეებით, მხატვრულად გამოსახული ხის ტოტებით. მასში მოთავსებული იყო სასახლის სამდიდრე, ნოხები და სხ. მას სალარო ეწოდებოდა. მესამე სართული, უმთავრესი, წარმოადგენდა მეფის, დედოფლის და მათი შვილების სამყოფელს. იგი შეიცავდა 32 დიდ და პატარა დარბაზს და ოთახს. ერთ-ერთ დარბაზს ათბობდენ ღუმელით, რომელიც ააგო რუსმა ოსტატმა მეფე ერეკლე მეორის დროს. ამ დარბაზს რუსული სახელი ერქვა—„ფეჩის ოთახი". მტკვრისკენ მიქცეულ დარბაზებს მაღალი ფანჯრები ჰქონდათ, რომელთა აწევა და დაწევა შეიძლებოდა სითბოსა და სიგრილეს მიხედვით. ეს ფანჯრებიც „რუსულ" ფანჯრებად იწოდებოდენ, ალბათ, იმ რუსი ოსტატების გამო, რომელნიც მათზე მუშაობდენ. ამ შე-

ნობას იქითა და აქეთ ორი ფლიგელი ჰქონდა — ორ-ორ სართულიანი და სარდაფებიანი. თვითეული ოც-ოც ოთახს შეიცავდა, და მათში მოთავსებული იყო მეფისა და დედოფლის მამრობითი და მდედრობითი ამალა. მეფის სასჯინიბო ჩრდილოეთით ეკრა იმ კედელს, რომლის ძირიც მდინარის კლდოვან ნაპირს ებჯინებოდა.

მოედნის შუა ადგილს, სასახლის წინ, ამშვენებდა შადრევანი, აგებული მარმარილოს ფილაქნებისაგან. წყალი გამოყვანილი იყო წავკისის გორებიდან. მარმარილოს ორი ლომი პირიდან უშვებდა წყლის ნაკადულს, რომლითაც რწყავდენ სასახლის ბაღებს.

თვით ბაღში პატარა შენობა შეიცავდა აბანოს მინერალური წყლით. ეს წყალი თიხის მილებით იყო გამოყვანილი ტფილისის მინერალური წყლის საერთო საცავიდან. მილები გადებული იყო მთავარ ბაზარზე და სიონის ქუჩაზე. თითონ აბანოს იატაკი მოგებული იყო მარმარილოს ფილაქნებით. აბანოს დანგრევის შემდეგ, მარმარილოს ეს ფილაქნები, აგრეთვე შადრევნის ფილაქნები, თავად ციციანოვის[1] განკარგულებით, საეკლესიო უწყებას გადაეცა და ამ ფილაქნებით აგებულ იქნა ამბიონი თავისი საფეხურებით სიონის საკათედრო ტაძრის კანკელის წინ.

სასახლის სამხრეთით, რამდენიმე საჟენის მანძილზე, ზარაფხანა იყო, რომელსაც პირი მტკვრისკენ ჰქონდა მიქცეული. იგი მთლად თაღებით იყო გადავლებული და ამ თაღებს ზემოდან ხვრელები ჰქონდა სინათლისთვის. ზარაფხანა ეხლაც მთლიანად არის დაცული და მასში დღემდე მოთავსებული იყო საწონ-საზომის პალატა.

---

[1] თავადი პავლე დიმიტრისძე ციციანოვი — საქართველოს მთავარმართებელი 1802—1806 წლებში.

ზარაფხანის დასავლეთით ბრწყინავდა წმ. იოანე ნათლისმცემლის ძველი ეკლესია. ჩამოვარდნაზე მიმდგარი გუმბათი როსტომ მეფემ ჩამოიღო. ეს ეკლესია დანგრეულ იქნა 1824 წელს. მისი ადგილი დღეს უჭირავს იმ სახლის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც მოთავსებულია სინოდის კანტორა. ეკლესიის მახლობლად 10 ოთახში მოთავსებული იყო სტამბა, სადაც 1709 წლიდან ხუცური და მხედრული ასოებით ქართული საეკლესიო და ლიტერატურული თხზულებანი იბეჭდებოდა.

ამ ეკლესიის გვერდით არსებობდა სახელმწიფო დაწესებულება ანუ, ოსმალური სახელწოდებით, დივანხან, სადაც ხდებოდა გასამართლება და განკითხვა მეფის მითითებით და ძველი კანონების მიხედვით. ამ სამსჯავროს ნანგრევებზე 1802 წელს აგებულ იქნა ახალი შენობა, სადაც, გუბერნიის დაარსებიდან, მოეწყო საგუბერნიო სამმართველო, სახაზინო პალატა, სამაზრო სასამართლო და სხვა დაწესებულებანი.[1] 1848 წელს ეს სახლი

---

[1] „საქართველო-იმერეთის გუბერნია“ საგუბერნიო ქალაქით ტფილისითურთ დაარსდა 1840 წელს, როდესაც შემოღებულ იქნა „დებულება ამიერ-კავკასიის მართვა-გამგეობისთვის“ („Учреждение для управления Закавказским краем“). ეს „დებულება“, რომლის ავტორიც სენატორი განი იყო, წარმოადგენდა რუსული ბიუროკრატიის უბოროტეს ნაყოფს. ამ დებულების მიხედვით, მთელ ამიერ-კავკასიაში შემოღებულ იქნა წმინდა რუსული საოლქო მართვა-გამგეობა: ამიერ-კავკასია გაყოფილი იყო ორ ნაწილად—„საქართველო-იმერეთის გუბერნიად“ საგუბერნიო ქალაქით ტფილისით და „კასპიის ოლქად“ საოლქო ქალაქით შემახითი. ამ დებულებამ ისეთი საშინელი უკმაყოფილება გამოიწვია მცხოვრებთა შორის, რომ მალე თვით რუსის მთავრობა გახდა იძულებული გაეუქმებინა იგი. 1845 წელს დაარსდა კავკასიის სანამესტნიკო (ნამესტნიკი—თავ. მ. ვორონცოვი), ხოლო 1859 წლისთვის მთელი ამიერ-კავკასია გაყოფილ იქნა ხუთ გუბერნიად: ტფილისის, ქუთაისის, შემახიის, დერბენტის და ერევნის გუბერნიებად.

იყიდა სასულიერო უწყებამ, რომელმაც, ფრანგი ხუროთმოძღვრის რიპარდის მშვენიერი გეგმით, დაადგა მას ერთი სართული კიდევ, სადაც დღეს მოთავსებულია სინოდის კონტორა.

შემდეგ, სამხრეთით ამართული იყო მეფე ვახტანგ მეექვსის დიდებული სასახლე, შემკული მარმარილოს კედლებით, ოქროს ვარაყით, ლაჟვარდით და ფერად-ფერადი მინებით. იგი დაანგრიეს ოსმალებმა 1725 წელს, რათა წარეხოცათ შენობის სტილი და სპარსული ორნამენტები.

უფრო სამხრეთით, მდინარის პირადევე, იყო შენობები საზღვარ-გარეთიდან მოსულ სტუმართა მისაღებად და სხვა ნაგებობანი სამეურნეო საჭიროებისთვის. იქ, სადაც დღეს ორსართულიანი საეკლესიო სახლია, აგებულ იქნა მეჩეთი მაჰმადიან მეფეთათვის, რომელნიც ბაგით და არა გულით აღვიარებდენ ისლამს. მეორე მხარეს, ნაღარა-ხანის სახელწოდებით, ამართული იყო შენობა მეფის სამხედრო მემუსიკეთა გუნდისთვის, სადაც მოიპოვებოდა საბრძოლო ორკესტრისთვის საჭირო ყოველგვარი საკრავი. ამ ორ ნაწილს შორის გადაკიდული იყო თაღი კარისთვის, რომელიც ღამ-ღამობით ჰკეტავდა გასავალს მეფის მოედნიდან ბაზარში ან სიონის ქუჩაზე.

სასახლის წინ მოედანზე იდგა კვართხის სახელობის ეკლესია, განახლებული როდამ დედოფლის მიერ. იგი სასახლის კარის ეკლესია იყო და დანგრეულ იქნა 1804 წელს. მისი საძირკველი მოსჩანდა 1864 წლამდე, ვიდრე მთელ მოედანს რიყის ქვით მოაგებდენ.

ამრიგად, იმ ადგილის სიგრძე მტკვრის პირად, სადაც სასახლე და სხვა სამეურნეო შენობები იდგნენ, 160 საჟენი იქნებოდა.

[ვ. იოსელიანი. „Описание древностей города Тифлиса“. ტფ. 1866 წ. პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი, დაბად. დაახლ. 1810 წ., ხოლო გარდაცვ. დაახლოებით 1875 წ., საქართველოს ცნობილი ისტორიკოსია. მისი დასახელებული შრომა წარმოადგენს ქ. ტფილისის ძველი ნაშთების ერთ-ერთ პირველ მეცნიერულ გამოკვლევას, რომელსაც მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს. ამ შრომიდან ამოღებული და აქ მოთავსებული აღწერა საქართველოს მეფეთა ტფილისის სასახლისა, თვით იოსელიანის სიტყვით, „მეხსიერებაში შერჩათ იმ პირებს, რომელთაც სასახლე უნახავთ მაშინ, როდესაც იგი მრთელი იყო“, მაშასადამე, შეგვიძლია ეს ამონაწერი თანამედროვეთა მოწმობად ჩავთვალოთ. ამ პირებმა, ალბათ, უჩვენეს იოსელიანს ის ცვლილებანიც სასახლის რაიონში, რომლებიც შემდგომად მოხდა ძველი შენობების გადაკეთებისა და გადაქმნის დროს. შეიძლება ახალგაზრდობაში თვით იოსელიანიც იყო ამ გადაკეთება-გარდაქმნის მოწმე.]

ტფილისი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის წინა ხანებში

საქართველოს დედაქალაქი მთავრის გერაკლის რეზიდენცია არის ტფილისი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ თბილის-კაბარ-ს, ტფილი ქალაქი ახლო მდებარე ტფილი წყაროების გამო. როგორც ციხეში აღმოჩენილი ძველი წარწერიდან სჩანს, იგი დაარსებული უნდა იყოს ვინმე მთავრის ლივანგის მიერ 1063 წელს. თუმცა ირგვლივ ქალაქი ორ ინგლისურ მილს არ აღემატება, მაგრამ მასში მაინც ოცი ათასი მცხოვრებია, რომელთაგან ნახევარზე მეტს სომხები შეადგენენ. დანარჩენნი უმთავრესად ქართველები და თათრები არიან. ტფილისში სომხებს აქვთ ოცი, ხოლო ბერძნებს[1] თხუთმეტი ეკლესია; არის აგრეთვე სამი მეჩეთი. ქუჩების სიგანე იშვიათად აღემატება შვიდ ფუტს; ზოგი მათგანი იმდენად ვიწროა, რომ ცხენოსანი ძნელად გაივლის; ამიტომ ისინი ძალიან უსუფთაონი არიან. სახლებს აქვთ ბანები, რომლებზედაც კარგ ამინდში ქალები დასეირნობენ; სახლები კარგად არის აგებული, ოთახის კედლები აფიცრულია, ხოლო იატაკი დაფარულია ნოხებით. ტფილისში არის იარაღის ჩამოსასხმელი ქარხანა, სადაც ამზადებენ მცირე რაოდენობით ზარბაზნებს, მორტირებს და ყუმბარებს, მაგრამ ყველაფერი ეს თავისი ღირსებით ბევრად მდარეა იმაზე, რასაც ოსმალეთში ამზადებენ. თოფის წამალი ზარბაზნებისთვის, რომელსაც

[1] ე. ი. ბერძენთა სარწმუნოების: მართლმადიდებლების.

აქ ამზადებენ, ძალიან კარგია. სომხებმა დანერგეს ამ ქალაქში ყველა ის წარმოება, რითაც მათი თანამემამულენი განთქმულნი არიან სპარსეთში. განსაკუთრებით ჰყვავის აქ შეღებილი ქსოვილების წარმოება. საქართველოში ჩვეულებრივ ფულად მიღებულია აბაზი, რომელიც თხუთმეტ ინგლისურ სუ-ს[1] უდრის და სპილენძის წვრილი ფული, რომელსაც ტფილისში სჭრიან. ამას გარდა აქ ძალიან არის გავრცელებული ოქროს და ვერცხლის ფული, რომელსაც ღებულობენ სპარსეთიდან და ოსმალეთიდან, ნაცვლად აქედან გატანილი თაფლისა, კარაქისა, პირუტყვისა და ლურჯი ტილოსი.

[„ისტორიული და გეოგრაფიული ცნობები შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ქვეყნების შესახებ". ეს არის უსახელო ნაწარმოები, რომელიც გამოიცა ფრანგულ ენაზე პარიზში, რესპუბლიკის მე-V წელს (1797 წ.) ეს „ისტორიული და გეოგრაფიული ცნობები" ძალიან გავრცელებული იყო მე-XIX საუკუნის დასაწყისში, როგორც ცნობარი კავკასიის შესახებ. 1810 წ. დასახელებული „ცნობები" გადაითარგმნა რუსულ ენაზე შემდეგი სათაურით: „Историографические записки о странах, лежащих между морями черным и каспийским". აქედან ამოღებული ცნობები ტფილისის შესახებ ეკუთვნის, რა თქმა უნდა, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის წინა ხანებს.]

---

[1] ალბად „პენი"—ინგლისური ფული, რომელიც ამ შემთხვევაში გათანაბრებულია ფრანგულ „სუ"-სთან (უდრის ფრანკის $^1/_{20}$-ს)

ქალაქის მოურავის სარგო (დეპუტატის დაახლოებით 1784—1790 წლებში) *

I

ქ: ქალაქის მოურობის სარგო ეს არის, რომელიც ამას ქვემოდ სწერია.

1. ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა საშართლობდეს და სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე თან ახლდეს სამართლის ბჭობაში, და მოურავი თუნდა მელიქ-მამასახლისს და ნაცვალს სამართალში დაისწრებს და, თუ უნდა, არ დაისწრებს. ქედხუდები [1] ახლდებიან. ამაზე აქვს სარგო თუმანზე სამდივანბეგო ხუთი აბაზი მოურავს, და ამ სამდივანბეგოში ხელი არა აქვთ მელიქ-მამასახლისს, ნაცვალს და ქედხუდებს, ისრე უნდა ახლდნენ.

2. ქ. მოურავთან რომ მოჩივარი მოვა, თუ თითონ არ ინებებს სამართალს, თავის იასაულს გაატანს, ორი უნდათ თუ სამი მოქალაქე, იმათ დასმენ და სამართალს მოქალაქენი იქმონენ. მაგრამ იქიდამაცა თუმანზე ხუთი აბაზი მოურავისა არის, რადგანაც მოურავი გაგზავნის ამისათვის.

4. ნავროზზე [2] ზარბაზნები რომ გაცვივდება, სამი დღე ქალაქის მოურავისა არის ბაჟი, ქალაქის ექვსის კარისავე შემოსავალი.

---

* ზოგიერთი მუხლი, რომელიც ან ძნელი გასაგებია, ან ნაკლებად მნიშვნელოვანი აქ გამოტოვებულია.

[1] ვაჭართა მაღალი წრე.

[2] მაჰმადიანთა დღესასწაული გაზაფხულზე.

5. აბანოს კარზედ და განჯის კარზედ, თუ სხვას კარზედ, თუმანზედ ხუთი შაური ბაჟი ყოფილა, ოთხი შაური ბატონისა არის და ერთი შაური მოურავისა, მაგრამ ახლა მოურავს ოთხმოც თუმანს აძლევენ.

6. ქალაქში რაც ღვინო შემოვა, ურემზე ორი თუნგი მოურავისა არის და საპალნეზე ნახევარ თუნგი. ამას ჰქვიან ჭაშნიკი.

7. ზევით დიღმის კარზედ, კოჯრის კარზედ და წყლის კარზედ რაც შეშა შემოვა, ურემზე ორსა და სამ შეშას გამოართმევენ მოურავისათვის, აგრეთვე ნახშირზედ, აგრეთვე ფიჩხზედ.

9. მოქალაქე რომ უცხოს ქვეყნიდან მოვიდეს, პირველად მოურავი უნდა ნახოს, ფეშქაში უნდა მიართვას მოურავს, რომ ეს დებულება არის.

10. წმინდა აღდგომას მესანთლეებმა ორი ლიტრა სანთელი უნდა მიართვან მოურავს, ჩამოსხმული, როგორიც ეპრიანებოდეს, რომ ეს დებულება არის, და ასნაფმა[1] სამი, ორი და ერთი ბატკანი უნდა მიართვან, და ქედხუდებმა ან ექვსი ან ხუთი ბატკანი უნდა მიართვან, და ყასპებმა ორი ჭედილი უნდა მიართვან, კარგი და გამორჩეული.

12. ახალწელიწადს, რაც ასნაფი არის, ყოველმა ასნაფმა ორი და სამი შაქარი უნდა მოართვან, მაგრამ ბაზაზებმა ექვსი შაური უნდა მოართვან მოურავს, ქედხუდებ(მ)ა, ან სამის ხონჩით და ან ორის ხონჩით ნუღლი და შაქარი უნდა მოართვან.

13. ყველიერში ბაჰყლებმა კიდევ ერთი ცალი ბრინჯი მოურავს უნდა მოართვან თავისი ერბოთი.

---

[1] წვრილი ვაჭრების ან ხელოსნების ორგანიზაცია.

14. დიდმარხვა რომ დადგეს, ბაჰყლებმა მოურავს ორმოცდაათი ლიტრა სამარხო უნდა მიართვან, თავისის ნიგვზით.

15. ყასპებმა, რაც დუქანი არის, დუქანზე მოურავს სამ-სამი ლიტრა ქონი უნდა მიართვან, კარგი და გამორჩეული თხის ქონი.

16. ღორის ქონი, ერთ დაზგაზე რამდენიც ამხანაგნი არიან, კაცის თავზე სამ-სამი ლიტრა ქონი უნდა გამოერთვას მოურავისთვის, რომ ამით საპონი უნდა გაკეთდეს მოურავისათვის.

18. წელიწადში რამდენჯერაც ნიხრი მიეცემა მოურავისაგან ყასპებს და მოემატება, თითოს მომატებაზე და ყასპებმა საერთოდ ნიხრანა ორმოც და ათი ლიტრა ცხვრის ხორცი მოურავს უნდა მიართვან.

21. ქალაქში რომ გელაქნური შემოვიდეს, საპალნეზედ ორი გელაქნური მოურავს უნდა მიართვან და ამ გელაქნურის მომტანმა მოურავი უნდა ნახოს, ნიხრი მისცეს, და ამისათვის ნიხრანად ოცი და ან თხუთმეტი გელაქნური უნდა მიართვას.

22. ორაგული რამდენი საპალნეც შემოვა, საპალნეზედ ნახევარი ორაგული მოურავისა არის... ნიხრანად არც დიდი და არც პატარა, საშუალო ორაგული უნდა მიერთვას... ეს ორაგული განჯიდან რომ მოვა, იმისი არის.

23. აგრეთვე ზუთხი რომ შემოვიდეს, საპალნეზედ ერთი ზუთხი მოურავისა არის.

26. განჯიდამ რამდენიც საპალნე ყურძენი შემოვა, ნახევ(არი) ლიტრა საპალნეზედ მოურავს უნდა მიერთვას.

27. განჯიდამ ხმელი თევზი რომ მოვა, ურემზედ სამი შაური და ერთი გამორჩეული ან ზურგიელი და ან ერთი წყვილი დოში მოურავისა არის.

28. რამდენიც საპალნე ზეთისხილი შემოვა, საპალნეზე ერთი ჩარექი მოურავისა არის, და ნიხრისათვის ერთი ლანგარი ზეთისხილი უნდა მოერთვას.

29. ზეთი რომ შემოვიდეს, საპალნეზედ ორი შაური მოურავისა არის.

30. ახალციხიდამ და აწყვერიდამ ხილი რაც საპალნე შემოვიდეს, ლანგრით უნდა მიერთვას მოურავს ნიხრის მიცემისათვის.

32. ქალაქის მოურავს ქალაქის მებაღეებმა უნდა მოართვან: მოურავის კაცი უნდა წავიდეს* და საპალნეებით ხილი უნდა მოეკრიფოს და მოერთვას, ერთი ახალბალობას, რაც იმ დროს ხილი იქნება. ერთი ყურძნობას უნდა მოიკრიფოს საპალნებით, რაც იმ დროს არის, ყოვლის ნივთისაგან დაუკლებლად უნდა მოერთვას ყოვლის ბაღებიდამ: დარსიჭალიდამ, ორთაჭალიდამ, კრწანისიდამ, სეიდაბათიდამ, გარეთუბნის ბაღებიდამ და ვერიდამ და სხვა ყოვლის ბაღებიდამ.

33. წელიწადში ნავრუზზედ სამი დღე რომ მოურავისა არის, იმ სამს დღეს, რაც ტივი ჩამოვა, სალბაში[1] მოურავისა არის.

34. ჭურჭლის ქარხნიდამ, რამდენიც ქურა გამოვიდეს, ქურაზედ ორი ნაჭერი მოურავისა არის, რომელიც უნდა.

35. აგრეთვე ქაშანაურის ქურიდამ, რამდენჯერაც ქურა გამოვიდეს, ქურაზედ ორი ნაჭერი მოურავისა არის, რომელიც უნდა.

---

[1] ტივზე გადასაზიდი.

37. ბატონის ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრას, აღლს, საწყაოს და ყოველსავე საწონს და გასაზომს და თუნგს, და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეაჩნდეს, ჯარიმა უნდა წაერთვას.

42. მეკუპრავეებმა, რამდენჯერაც მოურავს ტიკები მოუნდეს, უნდა მოართვან და ხმარების უკან ისევ მეკუპრავებსვე უნდა მიეცეს.

43. მოურავს რომ მეწვრილმანე უნდა ჰყავდეს, მეწვრილმანეებში ისთარხანი [1] უნდა იყოს, გათარხნებული უსტაბაშისა და მეწვრილმანეებისაგან. აგრეთვე სირაჯი, აგრეთვე ბაჰყალი, აგრეთვე ბაზაზი და აგრეთვე მეპურე, აგრეთვე ყასაბი და კიდევ სხვა. რომელიმე ასნაფი ემსახურება ნოურავს.

44. ამას გარდა, რაც ბატონმა ქალაქს ან სთხოს, ან შეაწეროს ან სხვა რამე საქმე იყოს, ქალაქის სამოქალაქოსი ყოველივე მოურავს უნდა ეკითხოს.

45. ასასბაში და ასასები [2] მოურავს უნდა ახლდენ და იმას კარზედ უნდა იყვნენ, რომ ასასები მოურავის იასაულები არიან.

15. მოქალაქე(ე)ბი მოურავთან უნდა ჩავიდნენ, მოურავმა ქედხუდები უნდა დაისწროს და სამართალი ისე უნდა ქნას. თუმანზე ხუთი აბაზი მოურავისა(ა). სადივანბეგო, ვინც იას(ა)ული საიასაულოს აიღებს, ნახევარი საიას(ა)ულო ნაცვლისაა.

20. მოურავი რომ ქალაქში იყოს, მელიქი, მამასახლისი, ანუ ნაცვალი კაცს ვერ დაიჭერენ, მოურავმა უნდა

---

[1] თავისუფალი.

[2] ასასი—დარაჯი, ქალაქის პოლიციის მოხელე, ასასბაში—მათი უფროსი.

დაიჭიროს, ჯარიმა ბატონისა, ათისთავი—მოურავისა, თუ მოურავი ქალაქში არ იყოს, ამ სამმა მოხელემ და მოურავის ნაცვალმა უნდა დაიჭირონ. ჯარიმა ბატონს მიართვან და ათისთავი—მოურავის ნაცვალს მიაბარონ მოურავისათვის.

22. ასასები მოურავს უნდა ახლდნენ, ორი და სამი ასასი მაინც გამოულევლათ უნდა ახლდნენ. ქურდსა და ბოზს უნდა მოახსენებდენ ასასები მოურავს და მოურავი უნდა გარდა(ა)ხდევინებდეს.

24. ქალაქს მოურავმა სამს თვეში ერთხელ უნდა ნიხრი მისცეს. მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი და ქედხუდები უნდა დაისწრას და ისე უნდა მისცეს ნიხრი, ნიხრის მიცემის უკან, რომელმაც ასნაფმა დააშაოს, მოურავმა უნდა გარდა(ა)ხდევინოს.

[ტფილისის მოურავის (ქალაქის მმართველის) უფლებამოვალეობათა და „სარგოს“ ეს განრიგება საბოლოოდ დაკანონდა მე-XVIII საუკუნის დამლევს. ჩვენამდის მოაღწია სხვადასხვა რედაქციის ორმა საბუთმა, რომელნიც შეიცავენ ამ განრიგებას. ორივე ეს საბუთი დაბეჭდილია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემაში „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, გვ. 522—528 და 528—531; ტფილისი 1909 წ. აქ ეს საბუთები იბეჭდება შემოკლებით, განსაკუთრებით ბეორე, რომლის მრავალი მუხლი იმეორებს პირველის მუხლებს. ეს განრიგება, გარდა იმისა, რომ გვაცნობს საქართველოს დედა-ქალაქის მართვა-გამგეობას მე-XVIII საუკუნის დამლევს, შეიცავს მდიდარ მასალასაც იმ დროინდელი ტფილისის ეკონომიური და სოციალური წყობილების დასახასიათებლად.]

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა (ვატრენიშვილი თეიმურაზ)

1795 წ. ქ. შ., ქართული ქრონიკონით კი 483 წ., აუარებელი ჯარით, რომელიც 70.000 კაცისაგან შესდგებოდა, საქართველოს საზღვრებს მოადგა სპარსეთის დამპყრობელი აღა-მაჰმად-ხანი. საქართველოს საზღვრებში შემოსვლამდის, მან ერეკლე მეფეს ელჩები გამოუგზავნა და წინადადება მისცა—იცნოს იგი სპარსეთის კანონიერ მფლობელად და იცხოვროს მასთან მშვიდობიანად და თანხმობით. მეფემ, როგორც წინად, უარი შეუთვალა. მაშინ აღა-მაჰმად-ხანი სწრაფად გამოეშურა წინ, მან თავი მიანება თავის წინანდელ განზრახვას—აელო შუშის ციხე, სადაც იმყოფებოდა მეფე ერეკლეს ერთგული ყარაბახის ხანი იბრაგიმი, და გამოემართა ტფილისისაკენ.

მეფე ერეკლეს საომარი საშუალებანი იმ ხანად მეტად სამწუხარო მდგომარეობაში იყო. მან ძლივს შეაგროვა 2.700 კაცამდის, ამას გარდა, ტფილისში იყო დასახმარებლად ჩამოსული იმერეთის მეფე სოლომონ მე-II 2.000 მეომრით.

ერეკლემ გაიგო თუ არა აღა მაჰმად-ხანის გამოლაშქრება ტფილისისაკენ, გახიზნა დედოფალი, მთელი სამეფო კარი, აგრეთვე მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა არაგვის ხეობაში, მთიულეთში, ხოლო საკუთარი ოჯახის წევრებიდან თავისთან დაიტოვა ძე ვახტანგი და შვილიშვილები დავით და იოანნე.

აღა-მაჰმად-ხანი თავისი ჯარით დაბანაკდა სოლანლუღში, ტფილისიდან 7 ვერსის მანძილზე, და მოაწყო ბანაკის გარშემო თხრილები და სანგრები იმ შემთხვევისთვის, თუ მეფის ჯარი განიზრახავდა მასზე თავდასხმას.

ორშაბათს 10 სექტემბერს, მოხდა პირველი შეტაკება. ბატონიშვილი დავით მცირე რაზმით, რომელშიაც იმყოფებოდენ სარდლები: იმერეთის ჯარის წინამძღოლი თავადი ზურაბ წერეთელი, თავადი ოთარ ამილახვარი, ივანე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი და ზაქარია ანდრონიკაშვილი, კრწანისის ველზე შეებრძოლა აღა-მაჰმად-ხანის მოწინავე ჯარს. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, ქართლელები და იმერლები იმდენად მამაცად იბრძოდენ, რომ სპარსელები უკუგდებულ იქნენ დიდი ზიანით.

მეორე დღეს, სამშაბათს, 11 სექტემბერს, სპარსელების წინააღმდეგ გაილაშქრა თითონ ერეკლემ მთელი თავისი ჯარით, გაჰყო რა წინასწარ იგი ხუთ რაზმად. პირველ რაზმს, რომელმაც პოზიცია დაიჭირა სეიდაბადის ბაღის ბოლოში, იმ ადგილას, საიდანაც გზა ეშვება ტფილისისაკენ და უერთდება სოლოლაკისა და ტფილისის სამხრეთის გზებს, უფროსობდა ბატონიშვილი დავით, რომელსაც ჰქონდა 7 ზარბაზანისაგან შემდგარი არტილერია. მეორე, მოწინავე რაზმს, რომელიც დაბანაკებული იყო კრწანისის ველზე და რომელიც საუკეთესო მეომრებისაგან შესდგებოდა, წინამძღოლობდა ბატონიშვილი იოანე. მესამეს უფროსობდა ივანე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი, მეოთხეს—ბატონიშვილი ვახტანგ, ხოლო მეხუთეს—თავადი ოთარ ამილახვარი. ეს უკანასკნელი რაზმები მეფის ახლო იყვნენ და შეადგენდენ რეზერვს. იმერლებს სარდლობდა თავადი ზურაბ წერეთელი და ისინი იმყოფებოდენ ოდნავ მარჯვნივ მეფის სადგომიდან.

აღა-მაჰმად-ხანმა, შეამჩნია თუ არა ქართველთა ჯარის გადაჯგუფება, თავის მხრივაც დაიწყო ჯარი საბრძოლველად; მან დაიჭირა 14 პუნქტი სოღანლუღის, შავნაბადის, თელეთის, კრწანისის და მის ირგვლივ მდებარე კლდოვან მაღლობზე და დადგა მოხერხებულ ადგილებში ზარბაზნები და ზამბულაკები. ბრძოლის დაწყების წინ აღა-მაჰმად-ხანმა გადაარჩია 6.000 კაცი თავის დაქირავებულ ჯარიდან, რომლებიც შესდგებოდენ თურქმენებისაგან, დააყენა ისინი სპარსელთა ზურგში და სასტიკად უბრძანა—ესროლათ ყოველი სპარსელისთვის, რომელიც შეშინებული ბრძოლის ველიდან გაიქცეოდა. თურქმენებს, ზოგიერთი სარწმუნოებრივი განსხვავების გამო, არ უყვარდათ სპარსელები, ამიტომ მათ სიამოვნებით იკისრეს ამ ბრძანების შესრულება, და ბრძოლის დროს, მართლაც, ბევრი სპარსელი დაიღუპა მათი ხელით.

ბრძოლა დაიწყო 11 სექტემბერს 6 საათზე და პირველ ხანს ქართველების სასარგებლოთ მიმდინარეობდა. მოწინავე რაზმი მამაცად ეძგერა სპარსელებს; მას მიეშველა ბატონიშვილის ვახტანგის რაზმი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ—მაჩაბლის მეთაურობით ტფილისის მცხოვრებნი, რომელთაც მაჩაბელი ფანდურის კვრით მიუძღოდა; ამ მოწინავე რაზმმა გაიმარჯვა, ხელთ იგდო მტრის რამდენიმე დროშა და კინაღამ თვით აღა-მაჰმად-ხანის დროშამდისაც მიაღწია. გასწყვიტეს მრავალი სპარსელი მაგრამ ვითარება მალე შეიცვალა. როცა მტრის ბრბოებმა დაინახეს, რომ მათი თანამორწმუნენი დამარცხდენ გააფთრებულნი გამოეშურნენ წინ და, თუმცა ერეკლე მეფემ, მოწინავე ქართველი ჯარის საშიში მდგომარეობის გამო, მთელი თავისი ჯარი ბრძოლის ველისაკენ დასძრა, იგი ველარ გაუმკლავდა უამრავ მტერს, და ქარ-

თველები მრავლად იხოცებოდენ ბრძოლის ველზე. სიბნელე ჩამოწვა. ბრძოლამ გასტანა დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე. ერეკლეს ჯერ კიდევ ჰქონდა გამარჯვების იმედი და არაფრის გულისთვის არ უნდოდა უკან დახევა.

მთავარი ყურადღება აღა მაჰმად ხანმა მიაქცია ბატონიშვილის დავითის რაზმს, რომლის წინააღმდეგაც მან პირველად მიმართა 3.000 რჩეული მეომარი. ბატონიშვილმა სულ მცირე ხნის განმავლობაში უკუ აქცია ისინი. ამ დროს სპარსელთა მეორე რაზმმა ზურგიდან შემოუარა ბატონიშვილების ვახტანგისა და იოანნეს რაზმებს და კინაღამ ტყვეთ ჩაიგდო ისინი. მაგრამ მათ მამაცად გაარღვიეს მტრის ბრბო, ამასთან იოანემ თავისი საარაკო სიმამაცით იხსნა ერეკლე, რომელსაც გარს შემოერტყენ სპარსელი მეომრები და კინაღამ მოჰკლეს იგი.

მაშინ, ბოლოს, ერეკლემ იწყო უკან დახევა. აღა-მაჰმად-ხანი დასვენებული ჯარით დაედევნა მეფეს და, მიუხედავად გააფთრებული სროლისა მეტეხის ციხიდან, რომლის უფროსიც აღალუა დიდის ოსტატობით უშენდა ყუმბარებს სეიდაბადის გზით მომავალ სპარსელებს,—მტერი შემოიჭრა ტფილისში.

როგორც კი მტერმა ფეხი შემოდგა ქალაქში, ერეკლე მეფე ავლაბრის ხიდით გავიდა ქალაქიდან და გაეშურა არაგვის ხეობისაკენ. იმერეთის ჯარი დაუყონებლივ გასტუმრებულ იქნა იმერეთისკენ, მათთან ერთად წავიდა მეფე სოლომონიც. მაგრამ ამ ჯარის ნაწილმა ერთხანს კიდევ დაჰყო ტფილისის მიდამოებში, იგი სძარცავდა ტფილისიდან გაქცეულ მცხოვრებლებს.

ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა 8.000-ზე მეტი სპარსელი, მეფის ჯარში კი ერეკლეს ტფილისიდან გასვლის

დროს 150 კაცი-ღა იყო დარჩენილი. დაიღუპა ბევრი სარდალი, განთქმული თავისი სიმამაცით და ვაჟკაცობით, როგორც, მაგალითად, თავადი ივანე აბაშიძე, გიორგი გურამიშვილი, კუმელად წოდებული, და მრავალი სხვა.

ბატონიშვილი დავით, მაშინაც კი როცა ერეკლე ტფილისიდან გადიოდა, განაგრძობდა ერთ ადგილზე დგომას და წარმატებით იგერიებდა სპარსელების იერიშებს. როცა მთლად დაბნელდა და გაიგო, რომ ერეკლე ტფილისში აღარ არის, მანაც გადასწყვიტა, ბოლოს, დაეთმო ბრძოლის ველი მტრისთვის, ხოლო წინასწარ მან თავისი ზარბაზნები საგუბრის ხრამში ჩაფლა, რომ მტერს არ ჩავარდნოდა ისინი ხელში. ბატონიშვილი, თავის ჯარით ვიწრო ბილიკებით გაუდგა გზას და მესამე დღეს მშვიდობით მიაღწია თავის პაპა ერეკლესთან.

ტფილისში შემოსვლისთანავე აღა-მაჰმად-ხანი, პირველყოველისა, მეფის პალატებისაკენ გაეშურა. მას თან ახლდა განჯელი ჯავად-ხანი, გვარად ზიად-ოღლი, რომელიც ჩამომავლობით კაჯარი იყო. ყურადღებით დაათვალიერა მთელი შენობა, აგრეთვე მეფის სალარო, აირჩია თავისთვის რაც მოეწონა, ხოლო დანარჩენი თავის მეომრებს დაუთმო. მან ჯარს უფლება მისცა—გაეძარცვათ და დაეწვათ ეკლესიები, სასახლეები და კერძო სახლები, გაეწყვიტათ ან ტყვედ წაეყვანათ ორივე სქესის მცხოვრებნი, როგორც დიდები, ისე ბავშვები. მცხოვრებთაგანი ბევრნი თავიანთ სახლებში გამაგრდენ, დასდგეს ბარიკადები ქუჩებში, და მათი ხელით აუარებელი სპარსელი გამოესალმა წუთი სოფელს. ყველა ტყვეს სპარსელები ჰგზავნიდენ ქალაქ გარედ, თავიანთ ბანაკში სოფელ სოღანლუღის მახლობლად, მტკვრის პირად. ტყვეების რიც-

ხვმა 3.000 კაცამდე მიაღწია, მაგრამ მათ შორის თავადი, აზნაური და საჩინო მოქალაქე, ძალიან ცოტა იყო. მათ ადრევე მოასწრეს ქალაქიდან გასვლა.

აღა-მაჰმად-ხანმა მოინახულა მეფის აბანოც, რომელიც მას ძალიან მოეწონა, განსაკუთრებით მისი მარმალილოს და თლილი ქვის შენობები. მას ბევრი რამ გაეგონა მინერალური წყლების სამკურნალო თვისებათა შესახებ, რის გამოც რამდენჯერმე მიიღო აბაზანა, მაგრამ რაკი სნეულებისაგან ვერ განიკურნა, განრისხდა და ბრძანა— დაენგრიათ და მიწასთან გაესწორებინათ აბანოები. განსაკუთრებული ყურადღება სპარსეთის ბრძანებელმა მიაქცია მეფის იარაღის სახელოსნოებს, საარტილერიო საწყობებს, ზარბაზნების ჩამოსასხმელ მანქანებს და სხვას. მთელი საარტილერიო მოწყობილება მან თავის ბანაკში გაგზავნა, ხოლო შენობები უბრძანა დაენგრიათ. დაატყვევა საარტელერიო საქმის რამდენიმე ოსტატი, მაგრამ მათთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია, მხოლოდ გაგზავნა ისინი ჯერ თავის ბანაკში, რამდენიმე ხნის შემდეგ კი—თეირანში. იქვე გაისტუმრეს დატყვევებული მათი ოჯახები. საზოგადოდ, შაჰი მათ კარგად ეპყრობოდა, მიიღო ისინი თავის სამსახურში და კარგ ჯამაგირსაც აძლევდა.

სპარსეთის ჯარი ღამე ტფილისიდან ბანაკში მიდიოდა, ხოლო გათენებისას კვლავ უბრუნდებოდა ქალაქს, სადაც მისდევდა თავაშვებულ ძარცვა გლეჯას, ხმაროობდა არ გაგონილ ძალადობას მოსახლეობაზე, სწვავდა საუკეთესო შენობებს, თუმცა თითონაც დიდ ზიანს განიცდიდა. მცხოვრებლებმა სპარსელთაგანი ცოტანი არ გაწყვიტეს, ასე

რომ ბრძოლის დაწყებისას და ქალაქში შემოსვლის დროს რამდენიმე დღის შემდეგ სპარსეთის ჯარში მოკლული 13.000 კაცამდე აღმოჩნდა.

[ბატონიშვილი თეიმურაზი. „ტფილისის აღება აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1796 წელს“. საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მე-XIII ვაჟმა ბატონიშვილმა თეიმურაზმა დასწერა თავისი უფროსი ძმის დავითის სამხედრო მოქმედებათა და ლაშქრობათა მოკლე ისტორია. ეს ისტორია ხელნაწერიდან ფრანგულად გადასთარგმა მ. ბროსემ (შემდგომად აკადემიკოსმა) და ლიტოგრაფიული საშუალებით გამოსცა პარიზში 1833 წ. პარიზის ეს გამოცემა დღეს იშვიათ ბიბლიოგრაფიულ განძს წარმოადგენს. ამ გამოცემიდან ამოღებული ზემოდ მოყვანილი ნაწყვეტის რუსული თარგმანი გამოსცა კ. ნ. ბეგიჩევმა შემდეგი სათაურით: „Из записок царевича Теймураза. Взятие Тифлиса Ага-Магомет-Ханом в 1795 году“ (ტფილისი 1895 წ.].

ქალაქ ტფილისის აღწერილობა 1803 წლის იანვრის მცხოვრებთა, შენობათა და სიმაგრეთა რიცხვის აღნიშვნით

ქალაქ ტფილისის პირველ ნახევარს გარს შემოვლებული აქვს ქვითკირის კედელი, შიგნით მოთავსებულია ციხე ამნაირივე სიმაგრით.

ქალაქის მეორე ნახევარს ეწოდება ავლაბარი; გარს არტყია ქვითკირის კედელი, იქვეა განსაკუთრებული სიმაგრე მეტეხის სახელწოდებით.

ორივე ეს ნახევარი განიყოფება ოთხ ნაწილად, სახელდობრ: 1. მუხრანი, 2. წავკისი, 3. კლდის უბანი, 4. ავლაბარი. ტფილისში 3.000 სახლია; სხვადასხვა სარწმუნოების მცხოვრები 20.000 სულამდეა. ეკლესია არის: ქართული—15, სომხური—24, ბერძნული—1 და კათოლიკური—1; მეჩეთი—1. დუქანი: სამანუფაქტურო საქონლით—85, საწვრილმანო—63, სახელოსნო—310, სასურსათო—76 და ღვინის—40.

ეს აღწერილობა, თავის დროზე შედგენილი რუსს ხელისუფალთა განკარგულებით, დაიბეჭდა შემდეგ კრებულში: „Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией", ტ. II (ტფილისი, 1868 წ.) ამ „აქტებ"-ში (სულ 12 ტომია) თავმოყრილია აუარებელი მასალა, საზოგადოდ, კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ისტორიისათვის, მასალა უმთავრესად შეეხება მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარს.

ტფილისი 1807-1808 წლებში (კლაპროტი)

ტფილისი, საქართველოს დედა-ქალაქი, მდებარეობს სიგრძელის 42°42'25''-ზე და ჩრდილოეთის განივის 41°30'90''-ზე, მდინარე მტკვარზე, რომელიც ტფილისის პოლოში მომწყვდეულია კლდეებში და მიმდინარეობს ხმაურით. ამ ქალაქის ნამდვილი სახელწოდება ტფილისია (Tphilissi) ანუ ტფილისის ქალაქი (Tphilis-Kalaki), ე. ი. „თბილი ქალაქი". ეს სახელწოდება მიიღო მან მასში გამომდინარე მშვენიერი მინერალური წყაროებისაგან. საინტერესოა, რომ ბევრი ადგილი, სადაც ასეთივე წყაროებია, ამგვარ სახელწოდებას ატარებს. ძველად ნუმიდიაში არსებობდა ქალაქი ტიბილისი, განთქმული თავისი მინერალური წყლებით; უნებლიეთ გაგონდება ტეპლიცი ბოჰემიაში, რომლის სახელიც წარმოსდგება სლავიანური სიტყვის „тепло"-საგან, ხოლო ეს სიტყვა შეიცავს ისეთსავე ძირს, როგორსაც ლათინური tepidus-ი.

ტფილისი განიყოფება სამ ნაწილად: საკუთრივ ტფილისი ანუ ძველი ქალაქი, სადაც ცხელი აბანოებია, მტკვრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, უმნიშვნელო მცხოვრებთა რიცხვით; კალა ანუ ციხე, პირველი ნაწილის ჩრდილოეთით და მდინარის დასავლეთით, ქალაქის ყველაზე უფრო დასახლებული ნაწილი; და, ბოლოს, გარეუბანი ისნი, რომელსაც ორი პირველი ნაწილისაგან ჰყოფს ერთად-ერთი ხიდი მდინარე მტკვარზე.

პირველად ტფილისი უბრალო სოფელი იყო, მაგრამ 380 წელს ქ. შ., საქართველოს 27-ე მეფის ვარზა-ბაკურის მეფობის დროს, სპარსეთის პირველმა გუბერნატორმა აღაშენა ამ სოფლის მახლობლად სიმაგრე შურის-ციხე, ხოლო 469 წელს ბრწყინვალე მეფემ ვახტან გურგასლანმა (ვახტანგ მგელ-ლომმა) აღაშენა ქალაქი ტფილისი, რომელიც გაანადგურეს ხაზარებმა, კვლავ აღადგინა აგარიანთა ამირამ და, ბოლოს, მცხეთის დანგრევის შემდეგ ბაგრატიდების რეზიდენციად გადაიქცა.

ქალაქის ნაწილი მტკვრის დასავლეთით წარმოადგენს თითქმის სწორ ოხკუთხედს, რომლის ყველაზე უფრო გრძელ მხარეს მტკვარი ჩაუდის. დასავლეთით ამ ნაწილს ბაღები არტყია; სამხრეთ-აღმოსავლეთით იგი ეყრდნობა საკმაოდ მაღალს თიხანარევ ქვაკირიან მთას სოლოლანს, [1] რომელზედაც მტკვრის მხრით აღმართულია სიმაგრე ნარაკლეა. [2] ამ სიმაგრიდან მთის ქედს, ამ ჟამად დანგრეულ შარდახთის სიმაგრემდე, მიჰყვება კედელი სათოფურებით; კედელს სიგრძე 1 ვერსი აქვს, ხოლო სიმაღლე-ექვსი ფუტი; აქედან ეს კედელი ქალაქის დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრით ეშვება მტკვრამდე. კედელს შიგნით მოქცეულია თვალსაჩინო ნაწილი აღნიშნული მთისა, რომლის ფერდობიც სულ არ არის გაშენებული. მთის სამხრეთით, კედელს გარეთ წავკისის ღელეა, რომელსაც სათავე ამავე სახელწოდების სოფელში აქვს და რომელიც მომდინარეობს ღრმა, ციცაბო კლდეებით შემორტყმული გრილ და ჩრდილოვან ხევში, სადაც ამის გამო ხშირად დადის ხალხი ზაფხულის დიდ სიცხეებში.

---

[1] ე. ი. სოლოლაკს.

[2] ნარიყალა

ტფილისის კედელი, ოდესღაც დანგრეული, ხელახლა აღადგინა შაჰ აბასმა, რომელმაც გააგრძელა იგი სამხრეთისკენ, სოლოლაკის ქედით.

ტფილისის დასავლეთით აღმართულია ციცაბო მთა-იშიტურდუკი, რომლის კალთაზე მოსჩანს ამ ჟამად თავმინებებული მთაწმინდის მონასტერი (მთის ეკლესია), რომელზედაც მრავალ სასწაულს გადმოგვცემენ; იქ ხშირად დადიან სალოცავად მაისის დამლევს, განსაკუთრებით ქალები. მის მახლობლად მდებარეობს კათოლიკეთა სასაფლაო. ჩრდილოეთით მდებარე გარეთუბანი ნამდვილად წარმოადგენს ტფილისის ნაწილს, როგორც ავლაბარი ისნის ნაწილს.

ქალაქი ცუდად არის აშენებული; 1795 წლის სექტემბრის შემდეგ როცა იგი აღა-მაჰმად-ხანმა დაანგრია, მისი სიმაგრეების ნახევარი ნანგრევთა გროვას წარმოადგენს: აღდგენილია მხოლოდ ორი მესამედი (უკანასკნელი ცნობებით, რომლებიც მე ტფილისიდან მივიღე, ქალაქი ყოველდღიურად მშვენიერდება გენერალ ერმოლოვის[1] პატრიოტული გულმოდგინეობის წყალობით, რომელმაც იმდენი შესძლო, რომ ქართველებს ევროპიული ხუროთმოძღვრების გემოვნება ჩაუნერგა). ქუჩები იმდენად ვიწროა, რომ ურემს გავლა შეუძლია მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, რომლებიც შედარებით ფართოა. უფრო ვიწრო ქუჩებში ძლივს გაივლის ცხენოსანი, ხოლო მაშინ, როდესაც ეს ქუჩები ტალახით არის დაფარული, ორი ქვეითად მიმავალიც კი გზას ვერ აუქცევს ურთიერთს. სახლები ცუდად არის აგებული, ქართულ

[1] ა. პ. ერმოლოვი, გენერალი, საქართველოს მთავარმმართველი 1817 წლიდან 1827 წლამდე.

წესზე, ქვისა და აგურისაგან შეწებებული მიწით და კირით, ასეთი ნაგებობა თხუთმეტ წელზე მეტს ვერ გასძლებს. ტფილისში ექვსი მთავარი კარია: Kojiris-Kari—დასავლეთის კედელში; Djoua-Kari Tschilis-Kari—მტკვრის პირად; Avlabaris-Kari—ხიდის წინ; Abanos-Kari; როშელითაც აბანოებში შედიან, და Candjis-Kari, ძირს, ნარაკლეას სიმაგრესთან, საიდანაც გადის გზა განჯისკენ, სოლოლანის ხევით, მტკვრის მეორე მხარეს არის ახალი გარეუბანი ავლაბარი, რომელიც დასახლებულია მოსული ოსებით და ქურთებით, წინად ტფილისში ირიცხებოდა ბერძენთა სარწმუნოების 15 ეკლესია, სადაც ღვთის მსახურება ძველ ქართულ ენაზე სრულდებოდა, 20 სომხების და 2 კათოლიკების ეკლესია. ამ უკანასკნელთაგან ყველაზე ძველი ხარება, წმიდა იოსების სახელობის ეკლესია, მიწის ძვრის შემდეგ თანდათან ინგრევა; მეორე ეკლესია, რამდენიმე წლის წინად იმპერატორის[1] ხარჯით აგებული, ჯერ არ არის დამთავრებული, თუმცა წირვა-ლოცვა იქ უკვე სწარმოებს. ამ ეკლესიის მახლობლად არის მისიონერ-კაპუცინების[2] სახლი; ამ ჟამად აქ სულ სამი მისიონერი კაპუცინია. არის აგრეთვე ორი მეჩეთი: ერთი სპარსელ-შიიტებისათვის, მეორე—თათარ-სუნიტებისათვის. ეს უკანასკნელი დაანგრია აღა მაჰმადხანმა, მაგრამ მისი მშვენიერი მინარეთი მაინც გადარჩა; იგი აგებულია ოსმალეთის ჯარის მთავარსარდლის ისაკფაშის მიერ 1710 წელს. საქართველოს მმართველის (ჩემ დროს მმართველად იყო არტილერიის გენერალი თეო-

---

[1] ე. ი. იგულისხმება რუსეთის იმპერატორი.

[2] იხ. შენიშვნა 1-ლი ს.-28 გვერდზე.

დორე ისაიას ძე ახვერდოვი [1]) სახლი მდებარეობს მტკვრის პირად, იმ ადგილას, სადაც იყო როსტომ მეფის მიერ აზიურ სტილზე აგებული დიდებული სასახლე, რომლის აღწერაც შარდენმა დაგვიტოვა. იქვე დაიწყეს დიდი შენობის აგება მთავრობის დაწესებულებათათვის. საერთოდ მთელ ქალაქში არ მოიპოება არც ერთი დიდი ან არქიტექტურის მხრით შესანიშნავი სახლი: არის მხოლოდ საცოდავი, უსუფთაო ქოხები, რომლებიც, როგორც საერთო წესი, აგებულია ქვისაგან. თუმცა ქართველთა დიდკაცობიდან ზოგიერთები, რომელთაც შეითვისეს რუსული ჩვეულება, უკვე აგებენ თავიანთვის გალერეით შემოვლებულ ორსართულიან სახლებს. მხოლოდ ზოგიერთ სახლს აქვს ფანჯრები (შუშებით); ჩვეულებრივად კი სინათლე შედის სარკმელებიდან, რომლებსაც ყოველთვის არა აქვთ გადაკრული გასანთლული ქაღალდი.

ტფილისში ორი ბაზარია (basari) 704 დუქნით, რომლებიც ეკუთვნით უმთავრესად სომეხ, თათარ და ქართველ ვაჭრებს. რუსებიდან ძალიან ცოტას აქვს საკუთარი საწყობი სომხის ბაზარში. იქვე ბაზრებშივეა, როგორც საერთოდ აზიაში სჩვევიათ, სხვადასხვანაირი სახელოსნო: ერთი ქუჩა უჭირავთ მხოლოდ მეწუღეებს, მეორე—მექუდეებს, მჭედლებს, ზეინკლებს. ოქრომჭედლები, აბრეშუმის მქსოველები, მესაჭურვლენი,—ყველანი აქ ხალხის თვალწინ მუშაობენ, უცხოელისთვის ეს ისეთი საინტერესო სანახაობაა, რომ ბაზარში გასეირნება ყველაზე სასიამოვნო გასართობია ტფილისში.

---

[1] თ. ი. ახვერდოვი, გენერალ-მაიორი, საქართველოს მმართველი 1807-დან 1811 წლამდე.

ბაზრის დუქნებში მოიპოვება რუსული, გერმანული, თათრული და სპარსული საქონელი. მაგრამ ყველაფერი ძვირია. საყურადღებოა განსაკუთრებით, რომ აზიური ნაწარმოები, როგორც, მაგალითად, შალი და აბრეშუმის ქსოვილი, პეტერბურგსა და მოსკოვში უფრო იაფია, ვიდრე ტფილისში.

ტფილისში, რუსი მოხელეებისა და გარნიზონის გარდა, ირიცხება 18.000 მცხოვრები, აქედან ნახევარს სომხები შეადგენენ. ტფილისი, ისევე როგორც მთელ საქართველო, წინად მეტად ღარიბი იყო. მაგრამ სომხურმა მრეწველობამ, რუსეთიდან შემოსულმა საგრძნობლო ფულმა და გაცხოველებულმა ვაჭრობამ თათრებთან და სპარსელებთან ასწიეს მისი კეთილდღეობა. ოსმალეთის ვაჭრობა ახალციხესთან და მცირე აზიასთან ომის შემდეგ მთლად შესწყდა.

სახელგანთქმული ტფილისის აბანოები ოდესლაც დიდებულად იყო მოწყობილი. ეხლა ეს აბანოები დაქვეითებულია. მაგრამ დღესაც კი ბევრგან კედლები და იატაკი მარმარილოსია. მათი წყალი გოგირდის მცირე რაოდენობას შეიცავს. იგი მეტად მარგებელია. ადგილობრივი მცხოვრებნი, განსაკუთრებით ქალები, ამ აბანოებით მოჭარბებამდის სარგებლობენ, იქ ატარებენ მთელ დღეს და თითქმის იქვე სადილობენ. ტფილისში ყოფნის დროს მე კვირაში ორჯერ დავდიოდი აბანოში და ძალიან კარგადაც ვგრძნობდი თავს.

გარეუბნის ისნის, ანუ ავლაბრის სამხრეთ ნაწილში, მაღალ კლდეზე, ხიდთან არის „განხეთქილების“ ეკლესია, რომელსაც ქართველები მეტეხს უწოდებენ.

მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მთის ნაპირალებში, ერთ დროს ამუშავებდენ გოგირდს; მაგრამ ეხლა ეს საქ-

მე მიტოვებულია. გოგირდის მოპოება სწარმოებდა ქვის ქანებიდან, რომლებიც შეიცავენ რკინის ალმადანს. ამ ალმადანს დახურულ ღუმელში აწყობდენ და ხის ნახშირით ახურებდენ. მთის ერთერთი ნაპრალიდან გადმოდის წყალი, რომელიც შაბიამანს შეიცავს.

თაბორის მთაზე, ცხელი აბანოების მახლობლად, ერთ დროს ციხე იყო, იგი ამ ჟამად დანგრეულია. ეს იყო იმ სპარსელ სეიდთა უბანი, რომელნიც აქ შაჰ სეფიმ დაასახლა. ამის გამო ატარებს სიმაგრე სეიდაბადის [1] სახელს.

ტფილისის ქვემოდ, სამი ვერსის მანძილზე, მტკვრის კუნძულებზე ხილის ბაღებია, რომლებიც მშვენიერ ხილს იძლევიან. მაგრამ ტფილისში იშვიათად იშოვით მწიფე ხილს: გლეხები სიხარბით ნახევრად მკვახე ხილს ჰკრეფენ. ამის გამო ზაფხულში და შემოდგომაზე ხშირია დეზინტერია. ტფილისის გარშემო ბლომად არის ნუშის ხე, მაგრამ რადგან მკვახე ნუში არ იჭმევა, ამიტომ სპარსულ ნუშს ამჯობინებენ.

... ჩემ მიერ ტფილისის პოლიციიდან მიღებული ცნობების მიხედვით, ტფილსში ირიცხება: საქართველოს პატრიარქი (კათალიკოსი), ანტონი, მეფე ერეკლეს შვილი, 1 ქართველი მიტროპოლიტი, 55 ქართველი მღვდელი, 1 ბერძენთა ეპისკოპოსი, 3 ბერძენთა არქიმანდრიტი, 1 სომეხთა ეპისკოპოსი, 63 სომხის მღვდელი, 8 სომხის მღვდელმთავარი, 4 კათოლიკთა პატრი, 160 ქართველი აზნაური, * 216 ქართველი თავადი; 1.983 მოქალაქე, ანუ ქალაქის მცხოვრები, 251 გლეხი, 426 აზნაურთა გლეხი; 3.684 კერძო სახლი.

[1] იხ. შენიშვნა 1-ლი მე-51 გვერდზე.

* ორიგინალში ასეა „160 აზნაური on primus géorgiens; 216 თავადი ou gentishommes“ (Klaprotn (изд. 1823) II, стр. 11).

[კლაპროტი. „Reise in den Kaukasus und nach Georgien in den Jahren 1807 und 1808“. კლაპროტი, გენრიხ-იული, დაიბად. 1783 წ., გარდ. 1835 წ. აღმოსავლეთის მცოდნე, რუსეთის სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი, ბოლო ხანებში აღმოსავლეთის ენების პროფესორი პარიზში. 1807-1808 წლებში სამეცნიერო აკადემიამ მოავლინა კავკასიაში, რასაც შედეგად მოჰყვა აღნიშნული შრომა, რომელიც გამოვიდა გერმანულ ენაზე 1812-14 წლებში, ხოლო მისი ფრანგული თარგმანი—1823 წ.]

ტფილისი მე-XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში (ნეშრი და მაძგა)

I

ტფილისი რეზიდენციაა საქართველოს ოლქებისა და მათ ახლო მდებარე ქვეყნების[1] მთავარმართებლის. ეს ქალაქი მთის ძირას მდებარეობს. მტკვარი მას მთელ სიგრძეზე სჭრის. ტფილისში საღი ჰაერი და საუცხოო წყალია. მცხოვრებთა რიცხვი 20.000-ს აღემატება. ორი ათასი სახლიდან, რაც ამ ქალაქშია, 150 ან 200 თუ იქნება ქართველებისა; დანარჩენი სომხებს ეკუთვნით. ქალაქის ბაზარი შესდგება ათასზე მეტი ხის დუქნებისაგან; ეს არის სპარსული, ოსმალური, რუსული საქონლის და ადგილობრივი ნაწარმოების საწყობი. ყველაზე დიდი სავაჭრო ოპერაციები სომხების ხელშია; მხოლოდ მათ შორის შეხვდება კაცი უფრო შეძლებულებს.

სახლების კონსტრუქცია ისეთივეა, როგორც სპარსეთში. აქაური სახლი წარმოადგენს ცოტად თუ ბევრად მოზრდილ ოთხკუთხედს, რომელსაც რამდენიმე სარკმელი აქვს დატანებული; სარკმელი ფანჯრის მაგიერობას სწევს; შიგნით ბნელა. მეტ წილად სახლებში ერთი სართულია, რომელიც ამასთან მიწაშია ჩაფლული. შესავალი თითქმის ყველა სახლს ძალიან პატარა აქვს. სახლების სახურავი ბრტყელია და მიწით არის დაფარული.

[1] იმ ხანებში მთავარმართებლად იყო გენერალი ა. პ. ერმოლოვი.

სახურავი ამავე დროს წარმოადგენს ბანს, სადაც ქალები და კაცები დასეირნობენ ან სძინავთ ზაფხულის ღამეებში. სახლების უმრავლესობა თაღიანია, ხოლო თაღს შუაში დატანებული აქვს სარკმელი შენობის გასანათებლად. უფრო შეძლებულნი თავიანთ სახლებს ზემოდან ადგამენ „დარბაზ“-ებს, ე. ი. საკმაოდ ვრცელ თაღებს; ამ თაღებ ქვეშ მოქცეული ოთახები ყველაზე დიდი და საუკეთესოა მთელ სახლში. დღის სინათლე იქ ჩადის მხოლოდ მაღლიდან—სარკმლიდან (თაღში). ამგვარი სადგომი მართალია, ოდნავ ბნელი და ნაკლებად მიმზიდველია, მაგრამ ზაფხულის დიდ სიცხეებში ყველაზე გრილია. ტფილისის პირდაპირ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქოხები მიწაშია აგებული; ასეთი ქოხი იქ საკმაოთ ბლომად არის.

... ერთი მიტროპოლიტი ბერძნულ-რუსული სარწმუნოებისა, ერთი სომხის მთავარ ეპისკოპოსი და სამი კათოლიკე მღვდელი—ესენი არიან ქალაქში სხვადასხვა სარწმუნოების მეთაურნი. ტფილისში არის აგრეთვე მეჩეთი ალის მოძღვრების მაჰმადიანთათვის, რომელნიც ამ ქალაქში სცხოვრობენ [1]

მტკვარი, რომელიც ტფილისს ჩაუდის, ჰყოფს მას ორ ნაწილად; ეს მდინარე, რომელიც სწრაფად მიექანება და მდიდარია თევზით, მეტად უწყობს ხელს ჰაერის სისაღეს.

ქართველთა ტანისამოსი მცირედით განსხვავდება სპარსულისაგან. ქართველი ქალები თავიდან ფეხებამდის

---

[1] ალის მოძღვრების მაჰმადიანებმა შიიტებმა, ასეთი სახელწოდება მიიღეს მეოთხე ხალიფას ალისაგან, რომელმაც უარჰყო სუნა (იხ. ზემოთ შენიშვნა მე-2 გვერდზე).

თეთრ ტილოებში ეხვევიან და ამრიგად იფარავენ სახეს და მთელ ფიგურას. მათ სწორი სახე და საკმაოდ მკვეთრი გამომეტყველება აქვთ, მაგრამ თავს იუშნოებენ იმით, რომ სახეზე ფერუმარილს ისვამენ და წარბებს იღებავენ.

საქართველოს ჰავა ზომიერია, ზამთარი ძალიან რბილი და ხანმოკლე. საქართველოში ბევრი ხილი და სხვადასხვა ჯიშის ყურძენია, რომლიდანაც აყენებენ მეტად კარგ ღვინოს—წითელს და თეთრს.

[ალექსანდრე ნეგრი. „Дневник моего путешествия в Грузию и Персию, начиная с 20 декаб. 1816 г.“ ნეგრი მრჩეველი იყო იმ ხანებში სპარსეთში გაგზავნილ რუსეთის საელჩოსი; ამავე დროს იგი ამ საელჩოს დღიურს აწარმოებდა. ამ დღიურის ხელთნაწერი ფრანგულ ენაზე ინახება ოდესაში ის ტორიისა და სიძველეთა საზოგადოების წიგნთსაცავში. აქ მოყვანილი ნაწყვეტი ამ დღიურიდან, რუსულად გადათარგმნილი, დაბეჭდა ლ. მ. მელიქსეთ-ბეგმა თავის შრომაში: „Старый Тифлис по описаниям А. Негри (1817 г.) и М. Медичи (1824-30 г.г.), „რომელიც მოთავსებული იყო ჟურნალ „Ars“-ში (გამ. ტფილისში) 1918 წ., წიგნი II-III.]

ციტადელი ანუ მტკვარი ტფილისს ორ ნაწილად ჰყოფს. მარჯვენა ნაპირზე მდებარეობენ ძველი ქალაქი, გოგირდის აბანოები და ახალი ქალაქი; მარცხენაზე—გარე უბნები ავლაბარი და ისნი და სოფელი, სადაც გერმახელები სცხოვრობენ. ხიდს, რომელიც ორივე ნაპირს აერთებს, დანგრევა მოელოდა; სამი წლის წინად ააგეს სხვა, ხის ხიდი, აგურის ბურჯებზე, ამასთან იმდენად მკვიდრ ბურჯებზე, რომ ხიდისთვის სულ აღარ არის საშიში მდინარის სწრაფი დენა. ახალი ხიდი აგებულია ძველი ხიდისაგან დარჩენილ საძირკველზე.

1820 წელს, როდესაც მე ძველი ქალაქი ვნახე, თითქმის ყოველი მისი ქუჩა სავსე იყო ნანგრევებით, რაც სპარსელთა შემოსევის სამწუხარო მოგონებას წარმოადგენდა.[1] ამ ნანგრევებში დიდის გაჭირვებით შეიძლებოდა მიღწევა კარამდის, რომლის სიმაღლეც ოთხ ფუტს უდრიდა და რომლითაც შედიოდით სახლში, თითქმის ჯურღმულში; ასეთ ჯურღმულებში სცხოვრობდა მოსახლეობა. ზოგიერთი სახლის ბანი თითქმის უსწორდებოდა ვიწრო და უსწორმასწორო ქუჩის დონეს. საკმაო იყო სამი წელიწადი, რომ ამ ძველ ქალაქს, რომელიც მთელი თავისი ნანგრევებით მოწმობდა აზიური თვითნებობის დესპოტიურ რეჟიმს, მისცემოდა ევროპიული ქალაქის ელფერი.

ასეთი ძირითადი ცვლილების მოსახდენად, პოლიციის უფროსი ინჟენერისა და რამდენიმე მოსამსახურის თანხლებით თანდათან ნიშნავდა ქუჩების სიგანეს იმ ანგარიშით, რომ მათზე შესძლებოდა გავლა ურემს. ამასთან ყურადღება ექცეოდა სწორი ქუჩების გაყვანასაც. მცხოვრებთ ძალიან მცირე დრო ეძლეოდათ იმისთვის, რომ აეგოთ აგურისაგან თავიანთი სახლები, რომელთა სიმაღლეც ჩვეულებრივ 12-15 ფუტს არ აღემატება. სამუშაოების დაჩქარებისთვის გამოყოფილ იქნა მეტად დიდი ადგილი აგურის დასამზადებლად. ამ სამუშაოებზე მრავალ ჯარისკაცს ჰგზავნიდენ, სხვა ჯარისკაცები სჭრიდენ ტყეებში მუხის ხეებს და მტკვრით გორიდან ტფილისში ჰგზავნიდენ. ასეთ პირობებში ძველი ქალაქის აღდგენა წარმოუდგენელი სისწრაფით მიმდინარეობდა.

---

[1] იგულისხმება აღა-მაჰმად-ხანის მიერ ტფილისის აოხრება 1795 წელს.

თხრილებს, რომლებიც გარს ერტყა ძველ ქალაქს, თანდათან ავსებენ და ამგვარად რამდენიმე წლის შემდეგ ძველი ქალაქი ახალს შეუერთდება. ახალ ქალაქში, სადაც ბევრი თავისუფალი ადგილია, გაჰყავთ სამოცი ფუტის სიგანის ქუჩები. მშვენიერი მოედნები, ყაზარმები, რომლებიც დიდის დაკვირვებით ააგეს ნაწილი ცეცხლში გამომწვარისა და ნაწილიც მზეზე გამომშრალი აგურისაგან, სამხედრო საავადმყოფოების მთავრობის დაწესებულებათა შენობები,—ყველაფერი ეს ავსებს გენერალ ერმოლოვის[1] მიერ წარმოებულ საზოგადოებრივ სამუშაოთა მთლიან სურათს. გასაოცარია მისი ზრუნვა და ენერგია, მიმართული ქალაქის გამშენიერებისადმი, შეიძლება ითქვას მისადმი რწმუნებული კუთხის დედაქალაქის სრულ აღდგენისადმი. ცნობილია, თუ რა სიამოვნებას ჰგვრის მას ტფილისის გაფართოვება; და აი გენერლები, ადგილობრივი თავადები და მდიდარი სომხები ძალზე სცდილობდენ თავი ესახელათ თავიანთი სახლების სილამაზით.

დიდ სამუშაოთა ორგანიზატორებს შორის ყველაზე მეტად განირჩევა სომხის ეპისკოპოსი ტფილისში ნერსესი. ამ სახელოვანმა მწყემსმა ააგო ახალ ქალაქში ვეებერთელა ქარვასლა, რომელიც თითქოს წინასწარმეტყველებს ამ ქალაქის ვაჭრობის სიდიადეს.

ტფილისის მოსახლეობა დღითი-დღე იზრდება მოზღვავებული სომხებით, რომლებიც აქ ეძებენ თავშესაფარს ოსმალთა ძალადობისა და სპარსთა შევიწროებისაგან. 1820 წელს ტფილისში გადმოსახლებულმა ერთმა

---

[1] ა. პ. ერმოლოვი, გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი 1817 წლამდე.

სომეხმა ააგო აქ ვეებერთელა ქარვასლა. ამ შენობისათვის საჭირო მიწის ნაჭერში, რომელიც სიგანით 8 საჟენს, ხოლო სიგრძით 30-40 საჟენს არ აღემატებოდა, მან მისცა 81.000 მან. ასიგნაციით[1] (81.000 ფრანკი) და ამას გარდა, რათა დაეცვა თავისი მამული მტკვრის ადიდებისაგან, ააგო კედელი და განიერი ჯებირი. ეს ქარვასლა ბევრად ფართოა ძველ ქალაქშივე არსებულ ორ დანარჩენ ქარვასლაზე.

– ცხენები და აქლემები, რომლებიც განუწყვეტლივ ხან მოდიან ქალაქში, ხან კიდევ გადიან აქედან, სპარსელი ვაჭრების სიმკვირცხლე და ამის სრული კონტრასტიული სიდინჯე ოსმალებისა და სომხების, შორეული ქვეყნებიდან მოსული ნაირნაირი საქონლის ტრანსპორტი,— ყოველივე ეს განსაკუთრებულ დაღს ასვამს და ძალზე აცხოველებს ამ თავისებურ სასტუმროებს, სადაც ესოდენ განსხვავებული ენებისა და ქვეყნების ვაჭრები თითქოს ერთ ოჯახად სცხოვრობენო. სადგომში და საქონლის საწყობში აქ არავითარ ფასს არ იხდიან; ქარვასლის პატრონს ეძლევა მხოლოდ საკომისიო – ყოველი სავაჭრო გარიგებიდან ერთი პროცენტი.

სამი ქარვასლა მდებარეობს ბაზრის შუა ადგილას. ეს ბაზარი შესდგება სხვადასხვა მოედნისა და ქუჩისაგან, სადაც ყოველთვის აუარებელი ხალხი ირევა. ყოველ ხე-

---

[1] ასიგნაციები—რუსული ქაღალდის ფული, რომელიც შემოიღეს 1769 წ. და რომელმაც იარსება 1841 წლამდე, როცა იგი შესცვალეს „საკრედიტო ბილეთებით“. რადგან ასიგნაციები ბლომად იყო გამოშვებული, მათი ფასი ძალიან დაეცა: „მანეთი ასიგნაციებით“ ფასდებოდა უფრო იაფად, ვიდრე „ვერცხლის მანეთიანი“. მე-XIX საუკუნის ოციან წლებში ასიგნაციების მანეთი უდრიდა 25 კაპიკს ვერცხლით.

ლობას ბაზარში მიჩენილი აქვს ცალკე ადგილი. ქალაქში ორი ძველი ქარვასლაა; აქედან ერთ ქარვასლაში მხოლოდ სპარსელები სცხოვრობენ; ყარსიდან, არზრუმიდან და ოსმალეთიდან ჩამოსული სომხები კი ჩვეულებრივად მეორე ქარვასლაში ჩერდებიან.

ტფილისის მოსახლეობამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად იწყო ზრდა. 1820 წ. ტფილისში იყო დაახლოვებით 24.000 მცხოვრები. 1825 წ. მოსახლეობას, სულ ცოტა, 33.000-ს ანგარიშობდენ. მიმდინარე წელს, როგორც ქალაქში, ისე მის გარეუბნებში ითვლება: 2.500 სომხის, 1.500 ქართველის და 500 თათრისა და სპარსელის ოჯახი, ხოლო სულ 4.500 ოჯახი; ყოველი ოჯახი, სულ ცოტა, 6 სულისაგან შესდგება, რაც საერთოდ 27.000 სულს შეადგენს; ამას გარდა, გარნიზონის, მოხელეთა და უცხოელთა რიცხვი 6.000 სულს უდრის, ხოლო ერთად—33.000 სულს.

ტფილისზე გაელით უკანასკნელ ხანებში მრავალი ინგლისელი ბრუნდება ინდოეთიდან ევროპაში. ბომბეიდან გამოსული ისინი ზღვით 15-20 დღეში აღწევენ ბენდერბუშერის ნავთსადგურს სპარსეთის ყურეში. ამ ნავთსადგურში არის ინგლისის გენერალური კონსული, ინგლისელები აქ დიდ ვაჭრობას ეწევიან, ავრცელებენ აქედან მთელ სპარსეთში ინდოეთისა და თავიანთ სამშობლოს მანუფაქტურას. ბენდერ-ბუშერიდან ისინი ექვს კვირეში ადვილად აღწევენ ტფილისს, ქარავნებით.

აღნიშნულ გზას გადიან ექვსი კვირის განმავლობაში. ტფილისიდან ინგლისელები ევროპაში მიდიან ან ზღვით რედუტ-კალედან ადესისაკენ, ან ხმელეთით კავკასიით, რუსეთის პროვინციებით და ავსტრიით. ზოგჯერ ტფილისში ერთსა და იმავე დღეს მოდიან სოვდაგრები პარიზიდან,

შიკრიკები პეტერბურგიდან, ვაჭრები კონსტანტინეპოლიდან, ინგლისელები კალკუტასა და მადრახიდან, სომხები სმირნასა და ეზდიდან და უზბეკები ბუხარიდან, ასე რომ ეს ქალაქი შეიძლება ჩაითვალოს საკვანძო ადგილად ევროპასა და აზიას შორის. როდესაც ვაჭრობა სავსებით განვითარდება, სამარყანდიდან, ტიბეტიდან და ჩინეთის საზღვრებიდან მოსული ბუხარელები ტფილისის ბაზარზე შეხვდებიან ლაგორელსა და გუზურთელ ინდოელებს.

ევროპიდან ტფილისში ფოსტა მოდის რეგულიარულად კვირეში ერთხელ: პეტერბურგიდან და ადესიდან 25 დღის, ხოლო პარიზიდან 50-55 დღის შემდეგ.

უკანასკნელ ხანებში ქართველმა თავადებმა ხელი მიჰყვეს ბაღების გაშენებას. ერეკლეს საუცხოო ბაღი, განთქმული თავისი ჩრდილოვანი ვერხვებით და ალვის ხეებით, გამოყოფილია ქალაქის ახალი უბნის გასაშენებლად. 1820 წ. რუსის მთავრობამ გაჰყიდა იგი და აიღო სულ 5.000 ვერცხლის მანეთი (20.000 ფრანკი); 1823 წ. იგი ფასობდა 20.000—21.000 ვერცხლის მანეთად (84.000 ფრანკად). მშენებლობის ციებცხელებამ, რომელმაც თავი იჩინა სენის[1] ნაპირებზე, ციროსის ნაპირებზედაც ყველანი გაიტაცა.

ქალაქს გარეთ, სამხრეთის სერის კალთაზე, რომელიც ტფილისს მაღლიდან გადმოჰყურებს და საიდანაც საუცხოო სანახაობა იშლება, გენერალმა თავადმა ბებუთოვმა ააგო სახლი და გააშენა მასთან მშვენიერი ბაღი, რომელიც ტერასებით ეშვება. იმავე რაიონში გაიხსნა საზოგადოებისათვის ბაღი, რომელიც იმ სასახლეს აკრავს, სადაც მთავარმართებელი სცხოვრობს; ეს არის ვეებერ-

[1] ე. ი. პარიზში.

ელა ბაღი საუცხოო მცენარეულით, გემოზე დაგეგმი-
ი. ცოტა ზემოთ კათოლიკთა ახალი სასაფლაო ; იგი
ადაიქცა სასეირნო ადგილად, სადაც დადიან იმისთვის,
ომ დასტკბენ შირაზის [1] მშვენიერი ვარდებით, რომლე-
იც აქ გააშენეს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში.
ს ვარდები გამოგზავნა ლეიტენანტ პოლკოვნიკმა მონსის-
ა, ინგლისელმა სამხედრო ინჟენერმა, რომელიც ამბას-
ირზასთან იმყოფება და რომელსაც დიდხანს უცხოვრია
ნდოეთში, ძნელად შეხვდება კაცი ასეთ მოამაგე ადა-
ანს. კათოლიკეთა სასაფლაოს ერთ ბოლოში ღამაზი
ოსკია, რომლის ნაწილში მოწყობილია დასასვენებელი
დგილი საზოგადოებისათვის, ხოლო მეორეში—სამლო-
ველო.

ოცი წლის წინად ტფილისში გაბატონებული იყო
ზიური ჩვეულებები. მოგზაურებს, რომელნიც, საზოგა-
ოდ, იშვიათად ეწვეოდენ ხოლმე ამ ქალაქს, ადგილო-
რივი მცხოვრებნი დიდის სტუმართმოყვარეობით ეგე-
ებოდენ, ხოლო ვაჭრები ქარავასლებში ჩერდებოდენ. ამ
მად ამ დედა-ქალაქში რამდენიმე სასტუმროა, რომლე-
ც სომხებს ეკუთვნით, ერთი რესტორატორი და ორი
ბულკე ფრანგი.

გერმანელები სცხოვრობენ იმ სოფელში, რომელიც
ტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე გარეუბანს აკრავს.
თ ქალაქში შემოაქვთ მშვანილი, ერბო, ლორი და სხვა
ხვეული. ამ გერმანელთა მეტი წილი ვირტემბერგიდან
რის გადმოსული. გერმანელთა ამ ახალშენს, აგრეთვე

[1] შირაზი—სპარსეთის პროვინციის ფარსისტანის მთავარი
ალაქია, მდებარეობს 1.550 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან.
ყიერი ადგილია; შირაზის მიდამოები განთქმულია ბაღებით.

ტფილისიდან ხუთი ვერსის მანძილზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე მეორე ახალშენს უნდა უმადლოდეს საქართველო კარტოფილის გაშენებას. როდესაც 1820 წელს მე ტფილისში მოვედი, გირვანქა კარტოფილი იხდიდენ 10 სუ-ს [1]; ამ ჟამად კარტოფილის ფასი, ისევე როგორც დანარჩენი ბოსტნეულის ფასი, მეტად ზომიერია. გერმანელები, რომლის შესახებაც მე აქ ვლაპარაკობ, ეტყობა, ძალიან კმაყოფილნი არიან თავიანთი ბედით: აქ ყველაფერი ხელს უწყობს იმას, რომ მათი ცხოვრება აყვავდეს.

[გ ა მ ბ ა. „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, უმთავრესად, ამიერ-კავკასიის პროვინციებში 1820-1824 წწ." გამბამ, რომელიც 1820 წლიდან 1824 წლამდე საფრანგეთის კონსულად იყო ტფილისში, სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში ორჯელ იმოგზაურა: 1817-18 და 1819-24 წლებში. საფრანგეთში დაბრუნებისას მან 1826 წელს პარიზში გამოსცა თავისი მეორე მოგზაურობის აღწერა. ეს წიგნი დიდის პოპულიარობით სარგებლობდა და 1826-28 წ. ჟურნალ „Северный Архив"-ში უკვე დაიბეჭდა მისი თარგმანი (არა სრული) რუსულ ენაზე: „Путешествия в южную Россию и преимущественно в кавказские области".]

[1] იხ. ზემოთ შენიშვნა მე-78 გვერდზე.

პუშკინი ტფილისში (1829 წ.)

გავჩერდი ტრაქტირში[1], მეორე დღეს გავეშურე ტფილისის სახელოვან აბანოებისაკენ, ქალაქი მრავალმოსახლეობიანი მეჩვენა. აზიურმა შენობებმა და ბაზარმა კიშინიოვი მომაგონა. ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში კალათებ-გადაკიდებული სახედრები დაძუნძულებდენ; გზა გაჭედილი იყო ხარებ-შებმული ურმებით. სომხები, ქართველები, ჩერქეზები, სპარსელები უსწორმასწორო მოედანზე შეჯგუფულიყვენენ. მათ შორის დადიოდენ ყარაბახის ცხენებზე ამხედრებული ახალგაზრდა რუსი მოხელეები. აბანოს შესავალთან იჯდა აბანოს პატრონი, მოხუცი, სპარსელი... მან აბანოში შემიყვანა: ცხელი გოგირდის წყალი ჩქეფდა კლდეში გამოკვეთილ ღრმა აბაზანში. ჩემს დღეში არ მინახავს არც რუსეთში, არც ოსმალეთში ტფილისის აბანოებზე უმშვენიერესი, ავწერ მათ უფრო ვცლად.

აბანოს პატრონმა ჩემი თავი მექისე თათარს გადასცა – მას უნდა ეზრუნა ჩემთვის. ჰასანმა (ასე ეძახდენ ამ თათარს) დაიწყო იმით, რომ ქვის თლილ იატაკზე გამა-

---

[1] ეს ტრაქტირი-სასტუმრო იყო ერევნის მოედანზე (თავისუფლების მოედანი), იქ სადაც რამდენიმე ხნის წინად სასტუმრო „კავკასი“ იყო, ხოლო ამ ჟამად მოთავსებულია „Красный воин-“ის რედაქცია. სხვა ცნობებით, პუშკინი სცხოვრობდა ტფილისში (შეიძლება არზრუმიდან ჩაბრუნების შემდეგ) ცურინოვის სახლში, ეხლანდელ პუშკინის ქუჩაზე, იქ, სადაც დღეს პასაჟია.

წვინა, რის შემდეგაც შეუდგა ჩემი სხეულის ასოების მტვრევას, სახსრების დაჭიმვის, მუშტით ძლიერად ცემას, მე არა ვგრძნობდი მცირეოდენ ტკივილსაც კი, პირიქით, საოცარ შვებას განვიცდიდი. აზიელი მექისეები ზოგჯერ აღტაცებაში მოდიან, გახტებიან მხრებზე, დასრიალებენ ფეხებით თეძოებზე და ბუქნავენ ზურგზე, e Sempere bene.[1] ამის შემდეგ დიდხანს მხეხა მატყლის ქისით, გადამავლო თბილი წყალი და დამიწყო ბანა ტილოს აქაფებული ბუშტით, აუწერელი განცდაა: ცხელი საპონი ჰაერივით გეფრქვევა. მატყლის ქისისა და ტილოს ბუშტის შემოღება აუცილებლად საჭიროა რუსულ აბანოებში: საქმის მცოდნე ხალხი მადლიერი იქნება ამისთვის.

საპნის გადაფრქვევის შემდეგ ჰასანმა ჩამიშვა აბაზანაში და ამით გათავდა ცერემონია...

ტფილისში ორ კვირამდე დავყავი და იქაური საზოგადოება გავიცანი. სანკოვსკიმ, „Тифлиские Ведомости“-ს გამომცემელმა, ბევრი საყურადღებო რამ მიამბო ამ ქვეყანაზე, პ. ციციანოვზე[2], ა. პ. ერმოლოვზე[3] და სხვა. სანკოვსკის უყვარს საქართველო და ფიქრობს, რომ მას ბრწყინვალე მომავალი მოელის...

ტფილისი მდებარეობს მტკვრის პირად, კლდოვანი გორებით შემორტყმულ ხეობაში. ეს გორები იცავენ მას ყოველი მხრიდან ქარებისაგან და, მზის სხივებით გახურებულნი, კი არ ათბუნებენ, ადუღებენ გაქვავებულ ჰაერს. აი მიზეზი ტფილისში გამეფებული აუტანელი სიცხეებისა, თუმცა ქალაქი განივის მხოლოდ მე-41 გრადუს-

---

[1] „და ყოველთვის კარგად“ (იტალიურად).

[2] იხ. ზემოთ შენიშვნა მე-45 გვერდზე.

[3] იხ. ზემოთ შენიშვნა მე-77 გვერდზე.

ზე მდებარეობს. თითონ მისი სახელწოდება (ტფილიკალარ) „ცხელ ქალაქ“-ს ნიშნავს.

ქალაქის უდიდესი ნაწილი აშენებულია აზიურად: სახლები პატარაა, სახურავები ბრტყელი. ჩრდილოეთის ნაწილში ამართულია ევროპიული არქიტექტურის შენობები და მათ ირგვლივ ჩნდება სწორი მოედნები. ბაზარი რამდენსამე წყებად იყოფა; დუქნები სავსეა ოსმალური და სპარსული საქონლით, რომელიც საკმაოდ იაფია, თუ მივიღებთ მხედველობაში საყოველთაო სიძვირეს. ტფილისის იარაღი ძვირად ფასობს მთელს აღმოსავლეთში.

ტფილისში მცხოვრებთა მთავარ ნაწილს სომხები შეადგენენ: 1825 წელს მათი რიცხვი აქ ორი ათას ხუთას ოჯახამდე ადიოდა. ეხლანდელი ომების დროს ეს რიცხვი უფრო გადიდდა. ქართველთა ოჯახი ათას ხუთასამდე ითვლება. რუსობას თავისი თავი აქაურ მკვიდრად არ მიაჩნია. სამხედრო პირები მოვალეობის გამო სცხოვრობენ საქართველოში, იმიტომ რომ ასე აქვთ ნაბრძანები. ახალგაზრდა ტიტულიარნი სოვეტნიკები მოდიან აქ ასესორობის[1] მისაღებად. პირველთაც და მეორეთაც საქართველოში ყოფნა განძევებად მიაჩნიათ.

ტფილისის ჰავაზე ამბობენ, საღი არ არისო. აქაური ციებ-ცხელება საშინელებაა. მას ეჭიმობენ ვერცხლის წყლით, რომლის ხმარებაც სიცხეების გამო საზიანო არ

---

[1] ტიტულიარნი სოვეტნიკი და კოლეჟსკი ასესორი რევოლიუციამდე რუსეთში სამოქალაქო სამსახურის ხარისხი იყო. კოლეჟსკი ასესორობის მიღება, რომელთანაც დაკავშირებული იყო სხვადასხვა სოციალური უპირატესობა, უფრო სწორად შეიძლებოდა განაპირა კუთხეებში, რომელთა რიცხვში მოჭცეული იყო ამიერ-კავკასიაც, ვიდრე შიდა რუსეთში; არ იზიდავდა აქეთკენ ახალგაზრდა მოხელეებს.

არის... აქაური ციება ჩამოგავს ყირიმულსა და მოლდავურს და მათ ერთნაირად მკურნალობენ.


მცხოვრებნი სვამენ მტკვრის წყალს, მღვრიეს, მაგრამ საამოს. ყველა წყაროს და ჭის წყალს გოგირდის სუნი და გემო აქვს. თუმცა ღვინო აქ იმდენადაა გავრცელებული, რომ წყლის ნაკლებობას ვერ გრძნობ.

ტფილისში გამაკვირვა ფულის სიაფემ. გავიარე ეტლით ორი ქუჩა და ნახევარი საათის შემდეგ ჩამოვხტი, იძულებული გავხვდი გადამეხადა ორი მანეთი ვერცხლით, პირველად მეგონა, რომ მას უნდოდა ესარგებლა ახლად მოსულის უცოდინარობით, მაგრამ მითხრეს—სწორედ ამდენი ღირსო. სხვა ყველაფერიც ასევე ძვირია.

[პუშკინი. „Путешествие в Арзрум во время похода 1829 года." ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი გამოჩენილი რუსი პოეტი, დაბად. 1799 წ., გარდაც. 1837წ. 1824 წელს გაემგზავრა იმ ადგილებში, სადაც სწარმოებდა ომი ოსმალეთთან. ეს „მოგზაურობა არზრუმ"-ში ერთერთი უმესანიშნავესი მხატვრული აღწერაა კავკასიისა (საქართველოს სამხედრო გზა, ტფილისი, ამიერ-კავკასია, არარატი, ყარსი, არზრუმი) ახალ რუსულ ლიტერატურაში; „მოგზაურობი"-ს ენა რუსული პროზის სანიმუშო ენაა.]



მაიდანი ტფილისში. ზევით მოსჩანს მეტეხი (ტიმმის გამოცემა)
(საქართველოს თეატრალური მუზეუმიდან)



ჩერნეცოვი. ტფილისი ოცდაათიან წლებში.
(საქართველოს ეროვნული გალერეის სურათებიდან)

ოქრი რუსი მწერალი ტფილისის შესახებ მე-19-ან და 20-ან წლებში (გუზლოვი და მურავიოვი)

იმ დროიდან [1] ტფილისმა, რომელიც ამიერ-კავკასიაში რუსეთის მთავრობის მთავარ ქალაქად გადაიშალა, სწრაფად იწყო აღდგენა ნანგრევებიდან. ნაცვლად ძველი სიმაგრისა, რომელიც ჟამთა ვითარებისაგან ინგრეოდა, ააგეს მეორე ნაკლებად გოტიური [2] ფორმის სიმაგრე. მის პირდაპირ მეორე მხარეზე აგებულ იქნა მრავალი ლამაზი საზოგადო შენობა, რომელთა შორისაც საქართველოს მთავარმმართებლის სახელს სამართლიანად უჭირავს პირველი ადგილი; უცნაურ აზიურ შენობათა შორის გამოირჩევა აგრეთვე ევროპის ხუროთმოძღვრების წესზე აგებული მრავალი კერძო სახლი.

ტფილისი წარმოადგენს აზიურ და ევროპიულ შენობათა შერევის ორიგინალურ სურათს, რომელიც თვალს ანცვიფრებს... ტფილისი, როგორც ცენტრი ამიერკავკასიის ვაჭრობისა რუსეთთან, იზიდავს აზიისა და ევროპის სხვადასხვა კუთხის ვაჭრებს, რომელთა ტანისამოსი და გარეგნობა უცნაურ სიჭრელეს წარმოადგენს. ეროვნულ ტანისამოსში, მუნდირებსა და ფრაკებში გამოწყობილი ოსმალები, სპარსელები, ინდოელები, თათრები, გერმანელები, ინგლისელები, მთიელები, სომხები, ქარ-

---

[1] იგულისხმება აღა-მაჰმადხანის შემოსევა 1795 წ.

[2] „გოტიური“ აქ ნახმარია „მოძველებული“-ს აზრით,

თველები და სხვანი; ევროპიული ეტლები, გერმანული ფორშპანები [1], ქართული ურმები, საპალნიანი კამეჩები, ხარები, აქლემები, სახედრები,—ყოველივე ეს ყოველ წუთს განუწყვეტელ პანორამად იშლება თვალ წინ და ორიგინალურ სურათს იძლევა.

ტფილისი მდებარეობს ვიწრო ხეობაში, სამი მხრიდან მთები არტყია და მხოლოდ ჩრდილოეთით არის სრულებით ღია. ასეთი ადგილმდებარეობაა მიზეზი უძლიერესი ქარებისა, რაც ასე ხშირია ტფილისში. ეს ქარები, კავკასიის ხეობიდან თავის დაღწევის შემდეგ, მოჰქრიან საშინელი სისწრაფით; დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთის ყოველი ქარი ტფილისში უკვე ნამდვილი ქარიშხალია...

მდინარე მტკვარი, რომლის ნაპირებზედაც გაშენებულია ქალაქი, ბუნებრივად ჰყოფს მას ორ ნაწილად, აქედან საკუთრივ ქალაქი ეწოდება მარჯვენა ნაპირზე მდებარე შენობებს, ხოლო მარცხენა ნაპირზე არის გარეთუბანი, ავლაბარი, გერმანელების ახალშენი და ეგრედ წოდებული აბანოების ქარი და სეიდ-აბადი. ტფილისის მთავარი სიმშვენიერე აუარებელი ბაღები რომლებიც სავსეა ყველაფრით, რასაც მდიდარი აზია იძლევა, ხოლო ყველაზე უფრო შესანიშნავად უნდა ჩაითვალოს გოგირდის და რკინის მინერალური წყლები, რომლებიც საზოგადოებრივ აბანოებს წარმოადგენენ. ქართველ და სომეხ ქალებს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის აბანოში წასვლა და იქ დარჩენა განუწყვეტლივ ათ საათს და მეტ ხანსაც, იქ სადილობენ, იცვამენ ყველაზე ძვირფას ტანისამოსს, საუბრობენ ნაცნობებთან—ერთის სი-

[1] გერმანელთა ურმები ახალშენიდან.

ტყვით აბანო მათთვის იგივეა, რაც ჩვენთვის საჯაროთ შეკრება; ასეთი შეკრება კი აქეთ არ იციან. დიდი ხანი არ არის, რაც ზოგიერთი მაღალი წოდების ქალი დიდი განათლებით, რომლებიც ცოლად ჰყავთ რუსს მოხელეებს, ატარებენ ევროპიულ ტანისამოსს, გამოდიან სასეირნოდ და ესწრებიან მთავარმმართებლის და სხვების მიერ გამართულ ბალებს; მაგრამ უმრავლესობა ჯერ კიდევ თავის ეროვნულ ტანისამოსს იცვამს, ემალება მამაკაცებს, არ სადილობს ქმრებთან; მათ განსაკუთრებული ოთახები აქვთ, სადაც ქმრისა, ქალებისა და მახლობელი ნათესავების გარდა, არავის შესვლა არ შეუძლია. სახლიდან გამოსვლისას იცვამენ ჩადრად წოდებულ თეთრ საბურველს და ეხვევიან მასში ისე, რომ მოსჩანს მხოლოდ სახე, ხოლო ისინი, ვინც უფრო მტკიცედ იცავს აზიურ ჩვეულებებს, მარტო თვალებს აჩენენ.

ვაჭრობა ტფილისში მთლად სომხების ხელშია.

[პლატონ ზუბოვი. „Шесть писем о Грузии и Кавказе, писанные в 1833 году. москва 1834 г. ზუბოვი მე-XIX საუკუნის დასაწყისის მწერალი იყო, ხაზინურ-პატრიოტული მიმართულებისა; იგი ძალიან ბევრს სწერდა ნაირ-ნაირ თემებზე, სხვათა შორის კავკასიაზედაც, მაგრამ მოკლებული იყო ნამდვილ ნიჭს და თავის აღწერებში ხშირად ღალატობდა სინამდვილეს.]

II

სევდას მგვრიდა ის პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მე ტფილისისაგან მივიღე: შევდიოდი ჩემთვის უცნობ ქალაქში, რომელიც პირველი შეხედვით ბევრს არაფერს მპირდებოდა და, გარდა ამისა, მთლად დაცარიელებული იყო, რადგან ყველა ჩემი ნაცნობი ჩეჩენთა

რაზმში იმყოფებოდა. საბედნიეროდ, ის, ვისი ნახვაც ყველაზე მეტად მწყუროდა, ტფილისში დამხვდა და მომქანცავი გზის შემდეგ მასთან მეგობრულ საუბარში ვპოვე შვება. მეორე დღეს აივანზე გამოვედი ქალაქისთვის თვალის გადასავლებად, და ბაზრის მხრიდან, რომლის იქითაც წამწვეტებული გუმბათები მოსჩანდა, უსიამოვნოთ გამაოცა დაბალმა სახლებმა თიხიანი ბანებით სახურავების ნაცვლად. უფრო მეტ სევდას მგვრიდა მზისაგან გადამწვარი და მცენარეულობას მოკლებული გარშემო მდებარე გორები, რომელთა შორისაც გზა გაუკვლევია ქვიან მტკვარს. სამაგიეროდ მახლობელი მთის წვერს მხატვრულად აგვირგვინებდა ტფილისის ძველი კოშკი, რომელიც თავისი კბილებიანი გალავნით და ნანგრევთა სილამაზით გავიწყებდა ადგილის უდაბურობას. ვთხოვე მეგობარს—წავეყვანე სიონის ტაძარში, რათა თაყვანი მეცა საქართველოს უპირველეს სიწმინდესთვის, წმ. ნინოს ვაზის ჯვრისთვის. სომხის ბაზრის ვიწრო ქუჩებით, რომელთაც ცოცხლად წარმომიდგინეს თავლწინ კონსტანტინეპოლისა და ქაირის, თუმცა უფრო პატარა ზომის, აღმოსავლური სავაჭროები, მივაღწიეთ ძველ სალოცავს, ტფილისის წინანდელი მიტროპოლიტების და ეხლანდელი ეგსარქოსების კათედრას.

საუკუნეთა სიმძიმეს ტაძარი მიწაში ჩაუზიდია, ვიდრე მისი აღმშენებელი, ჯერ კიდევ მე-V საუკუნეში, სახელოვანი მეფე ვახტანგ გურგასლანი იყო; ძველი დროების ბეჭედი აზის კლდის ყვითელი ქვისაგან აგებულ მის მძიმე მასას. ასეთმავე ღვთაებრივმა წარსულმა დამკროლა მაშინ, როცა შევედი მის მოღუშულ სიღრმეში; მას ჩვენი ძველი ტაძრებივით ვიწროდ სინათლის ნაკლებად შემომშვები ფანჯრები აქვს, სამაგიეროდ მისი გუმბათი,

როგორც ქართველებს უყვართ და სჩვევიათ, წამწვეტებულია. ჩუქურთმიანი, თითქოს სპილოს ძვლიდან ჩამოსხმული, კანკელი აგებულია წარსული საუკუნის დამლევს, ტფილისის სამწუხარო აკლების შემდეგ; იგი შეეხამება მთელი შენობის ხასიათს და დიდი ბედნიერებაა, რომ ახლით არ შეუცვლიათ...

ტაძრის ნახვის შემდეგ მინდოდა შემეხედნა ეგზარქოსის უბრალო ბინაში; ეგზარქოსი ტფილისში არ იმყოფებოდა, იგი წასულიყო თავის შორეულ საწყმოს დასათვალიერებლად ახალციხის მთებში.

გამაოცა ტფილისის მიტროპოლიტების ამ ძველი სახლის სივიწროვემ; იგი შესდგება სამი პატარა სენაკისაგან, სადაც ძლივს ეტევა ეხლანდელი ეგზარქოსი. მაგრამ წარმტაცია თითონ ადგილი: ხის ტერასა, რომელიც შესავალს ან დერეფანს წარმოადგენს, მდინარეს გადაჰყურებს და მთლად დაფარულია ყურძნის მტევნებით; მის ქვეშ მრისხანეთ მოჰქუხს მტკვარი, ვიწრო კლდოვან ნაპირებში მომწყვდეული, რომლებზედაც გაბედულად გადაკიდულია ხიდი; პირდაპირ კი ამფითეატრივით შეფენილია გარეუბანი ავლაბარი და პრეობრაჟენსკის სავანე, ყოფილი სასახლე ერეკლე მეფის ქვრივისა, ხოლო კლდის ნაპრალზე ამართულია მეტეხის კოშკი წამებული დედოფლის სუსანის ძველი ეკლესიით.

ა. ნ. მ უ რ ა ვ ი ო ვ ი. „Грузия и Армения," ნაწ. I, პეტერ. 1848 წ. ანდრია ნიკოლოზის ძე მურავიოვი; დაბად. 1806 წ. გარდ. 1874 წ., იყო მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის რუსი მეცნიერი და მწერალი, რომელმაც ბევრი იმოგზაურა საქრისტიანო აღმოსავლეთში და გამოსცა

თავისი მოგზაურობის აღწერა. ასეთ აღწერას წარმოადგენს მისი „საქართველო და სომხეთი“-ც. თუმცა მურავიოვს მოგზაურობის დროს უფრო აინტერესებდა ეგრედ წოდებული „წმინდა ადგილები“, მისი აღწერები მაინც ძვირფას მასალას შეიცავენ ამ ქვეყნების წარსულის შესასწავლად.]

გურჭუაგიული ტფილისი მე-XIX საუკუნის შუახანებში

(დუნკელ-ველინგი)

ყოველწლიურად ტფილისი უფრო და უფრო ევროპიულ სახეს ღებულობს; წინანდელი ნანგრევების ნაცვლად აღმართულია მშვენიერი შენობები, რომელნიც თანდათან აძევებენ ბრტყელ სახურავებიან ძველ შენობებს. თეატრის შენობა, რომელმაც ყოფილი ერევნის მოედანი დაიჭირა, წმინდა ევროპიულ შენობათა რიცხვს ეკუთვნის; მას შეეფერება ერთის მხრით, მთავარი შტაბის ძალუმი შენობა, ხოლო მეორეს მხრით, ქალაქის პოლიციის ჩინებული და ვეებერთელა სადგომი. მაგრამ მარტო ცენტრში არა ხდება ცვლილება; ტფილისის ყოველ კუთხეში სდუღს მშენებლობა. ვეებერთელა ხიდს მტკვარზე უკვე ამთავრებენ. მისი პირველი კამარა, გაბედულად გადაკიდული მტკვრის სწრაფად მომდინარე ტოტზე, როგორც ჯავშანში, ისე ჩაჭედილი გრანიტში და მტკვრის სწრაფი და მოუსვენარი ტალღები უძლური ღვარძლით ეხეთქებიან მას. გოლოვინის პროსპექტი, მთელ სიგრძეზე შემოსილი ხეივნით და განათებული გაზის სანათურებით, საღამოობით იზიდავს საზოგადოებას, რომელიც სეირნობაში ისვენებს დღის სიცხისაგან. ვის და რას არ იხილავ ტფილისის ამ შესაკრებელ ადგილზე? აქ მიდის მსუბუქი ნაბიჯით საუცხოო ტანისამოსში გამოწყობილი და იარაღში ჩამჯდარი ჩერქეზი. ბეწვიანი ფაფახი ლამაზ იერს აძლევს მის მრისხანე სახეს, ხოლო თვა-


ლები თითქოს გაოცებით შეჰყურებენ ამ სიჯრელეს, რომელიც ასე ეწინააღმდეგება მისი მშობლიური მთების და ხეობების სიმყუდროვეს. აი მის გვერდით მაღალი სპარსელი, განიერ აბუში გახვეული, ფრთხილად ადგამს თავის ქოშებს. აგერ უდარდელმა ქართველმა მხიარული და უზრუნველი სახით უკან გადაიგდო თავისი კაბის ოქროქედით მორთული ყურთმაჯები. აგერ ულამაზესი, სინაზითა და გრაციით აღსავსე ქართველი ქალი კეთილშობილი და მსუბუქი მოძრაობით, რაც ამტკიცებს მის ჩამომავლობას უმშვენიერესი ტომისაგან, თავისუფლად და ძალდაუტანებლად მიცურავს ფილაქანზე, ხოლო გამჭვირვალე ლეჩაქი მხიარულად ეხვევა მის კეკლუცა თავს. წინ მოსჩანან მოსახვევები და ქუდები ჩვენი ძვირფასი თანამემამულე ქალებისა,[1] რომელნიც უკვე შეეჩვივნენ სამხრეთის მადლიან ცას და რომელთაც აღარა სწყდებათ გული ჩრდილოეთის შორეულ სამშობლოზე.

მაგრამ დავტოვოთ ხეივანი და მიმოვიხედოთ ირგვლივ. მაღალი მთის ფერდობზე კიბეებად შეფენილია ერთი-ერთმანეთზე დადგმული ქოხები და სახლები. ქვითკირის შენობათა ამ მასას აქა-იქ მაღალი ვერხვებით დამშვენებულს, აგვირგვინებს პატარა თეთრი შენობა—მამა დავითის მონასტერი. ძირს, მთავარი ჰაუპტვახტის წინ, ქარი აფრიალებს გამარჯვების დროშის ნაფლეთებს... ქვემოთ, კვალად კიბეებადვე მიყრილია შენობები მტკვრის ნაპირამდის, ხოლო მდინარის მეორე ნაპირზე, ერთ მხარეს ბაღებში იკარგება გერმანელთა ახალშენი, მეორეს მხრით კი მოსჩანს ქალაქის ცალკე ნაწილი, ავლაბარი, რომელსაც ზემოდან დაჰყურებენ მეტეხის ციხე და

[1] ე. ი. რუსი ქალების.



მთავარი შტაბის შენობა და ყოფ. სასახლის ქუჩა XIX საუკ. ნახევარში.
(ფოტოგრაფია ეკუთვნის ვ. ბერიძეს)



მდ. მტკვარი და ვორონცოვის ხიდი XIX საუკ. ნახევარში.
(ფოტოგრაფია ეკუთვნის ვ. ბერიძეს)

პოკროვსკის ყაზარმები. გაიხედეთ პირდაპირ და კვლავ დაინახავთ მთას, სადაც მდუმარე სიდიადით ამართულან ძველი ციხის ნანგრევები, რომელნიც თავიანთი სიმაღლიდან თითქოს სჭვრეტენ განახლებულ ტფილისს.

ჩამოვიდეთ ხეივნიდან და შევიდეთ იმ მჭიდრო და ეიწრო ქუჩების და მოსახვევების ლაბირინტში, რომელნიც გარს არტყიან სომხის ბაზარს—ამ ტფილისის ბირჟას. ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით რაიმე საოცრებას. ერთი ქუჩა შეუმჩნეველი მოსახვევით მიგიყვანთ ახალ ნანგრევთან, რომელზედაც ყოვლის აღმგველ დროს ღრმა ნაპრალების ქსოვილი მოუქარგავს; შემდეგი მოსახვევი ებჯინება ახალი არქიტექტურის საუცხოო ჩუქურთმიან სახლს, აღმოსავლეთის გემოზე აგებულს. ერთ ადგილას გადაგეღობებათ ქარავანი, შემდგარი მრავალი აქლემისაგან, რომელთაც, მწყობრი ქანაობით და აუარებელი ზარის ჟღარუნით, თავიანთი კუზებით მიაქვთ სპარსეთის ჭრელი ხალიჩები და ქირმანის[1] მდიდარი შალები. მეორე ადგილას თავს ვერ დააღწევთ ევროპისა და ახალშენების ნაწარმოებით დატვირთულ მძიმე ურმებს, რომლებსაც ზანტი კამეჩები მიეზიდებიან.

ამ ქუჩებით, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე ვხვდებით ხელოსნებს, მომუშავეებს არა სახელოსნოებში, არამედ ღია ცის ქვეშ, მზეზე, რომელიც თავისი სხივებით ახურებს სახლებისა და ქოხების ქვებს, ბოლოს, გავდივართ მუდამ მოსაქმე და მოფუსფუსე სომხის ბაზარში. მრეწველ სომხებს აქ, ამ თავიანთ ცენტრალურ სავაჭროზე, მოუყრიათ თავი ყველაფრისთვის: აქ არის ყოვე-

---

[1] ქირმანი ქალაქია სპარსეთში, რომელიც განთქმულია მატყლისა და აბრეშუმის ქსოვილის წარმოებით.

ლივე საუკეთესო, რასაც ამზადებს აღმოსავლეთი; აქ შევხვდებით მთიელთა იარაღსაც, მათ მიერ დამზადებულ შალებსაც, ღვედებსა და ნაბდებსაც—ამ ბუნების შვილთა ღარიბი მრეწველობის ერთად-ერთ ნაწარმოებს. ამ უხეში ნაწარმოების გვერდით მრავალად აწყვია სპარსული აბრეშუმის ქსოვილები, მოქარგული ნოხები და აღმოსავლეთის სხვა საუცხოო ქსოვილები. ევროპასთან ვაჭრობამ გააჩინა აქ განათლებულ ხალხთა სახმარი საგნები და ახალშენთა ნაწარმოებნი, რომელნიც უკვე გადაიქცნენ ტფილისის მცხოვრებთა აუცილებელ საჭიროებად. როგორც ყველგან, აქაც ნახავთ აზიის მჭიდრო დაახლოებას ევროპასთან და ამ უკანასკნელის უპირატესობას.

დავეშვათ ერევნის მოედნიდან ქვევით, ამ ხალხით გაჭედილ ბაზრისკენ. ზოგიერთი დუქანი მთლად ევროპიულად არის მოწყობილი, აჭრელებულია აბრებით, რომლებზედაც გამოხატულია ბევრი ისეთი საქონელი, რასაც თვითონ დუქანში ვერ ნახავთ. მათ შორის აქა-იქ მოსჩანს ხან ფურნე ვეებერთელა ღუმელით, რომელშიაც აცხობენ ჩვეულებრივ და ქართულ პურს, ხან სასადილო დუქანი, სადაც წვნიანის ადგილას გაბატონებულია ეროვნული ჩიხირთმა, ხოლო მოხრაკულის ადგილას—ქებული მწვადი. შეეუხვიოთ ოქრომჭედელთა ვიწრო ქუჩაში. ლითონის ნაჭრები აქ ხელად იქცევიან აზარფეშებად, კულებად, ღვინის თასებად ან და ქამრების ძვირფას სამკაულებად. აქვე მრავალ ოსტატთან დაინახავთ საუცხოო, ეგრედ წოდებულ „ძველი ქარხნი“-ს ფირუზს და ვეებერთელა ზურმუხტებს, პირველყოფილი სახით, რომელთაც შეუნარჩუნებიათ სიდიდე, მაგრამ რომელნიც უნახნაგობით ჰკარგავენ შნოს და ღაზათს. უკან დაბრუნებისას, ამ მიწის წიაღში ნაპოვნი სიმდიდრის ნახვის შემდეგ, გვე-

სალმება მიწის ზედაპირზე მოპოებული ბუნების სიმდიდრე. ეუახლოვდებით ხილის დუქნებს, რომლებსაც აქ საბაყლოებს უწოდებენ. შემდეგ, კარგა დიდ მანძილზე გაჰიმულია ჭურჭლის დუქნები, სადაც თვალისთვის გამოფენილია ბრჭყვიალა შუშის ნივთები და ქაშანაურის ნაწარმოების ყოველივე საკვირველება, დაწყებული ვეება სასმისით, რომელშიაც ერთი ბოთლი ჩავა და რომელსაც გოლიათის წაქცევა შეუძლია, და გათავებული კიბოს ან კომბოსტოს თავის მსგავსად გაკეთებული საკარაქეთი. ყველაფერი ეს მოაქვთ ჩვენი რუსული ფაბრიკებიდან. ამ დუქნების გაგრძელებას წარმოადგენენ თამბაქოს სავაჭროები. თამბაქოც ერთგვარი ხელოვნებით არის გამოფენილი მყიდველთა წინ: ლურჯი ფერი ქაღალდისა, რომლითაც მყიდველს თამბაქოს მიართმევენ ხოლმე, აძლევს ამ თამბაქოს მშვენიერ ყვითელ იერს, რომელიც ქამელეონივით იცვლება თქვენს ოთახში. ამ დუქნებს შორის თვალში გეცემათ ჭრელი ჭნაჭრები, ძველი ჩუნდირები, ჩაჩქნები და ათასი რამ გამოკიდული იმ დუქნებში, სადაც ხურდა-მურდა იყიდება; აქ ნახავთ ძველ ჯავშანს, ტყულის თოფს, დამტვრეულ სამოვარს და ბევრ სხვა რამეს, როგორც იშვიათ ნივთს, ისე ნაყარ-ნუყარს.

გაბრუებული ამ ფუსფუსით, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ჰაიკანელთა [1] ვაჭრობას, დაბრმავებული საქონლის სიჭრელით, სახეებისა და ტანისამოსის სხვადასხვაობით, ეუახლოვდებით ტაძარს, რომელიც აღმართულია ამ ახმაურებული შესაკრებელის ადგილას და რომელიც თავისი აქ ყოფნით თითქოს აკურთხებს მრავალ ტომიან ხალხთა გაერთიანებას; ეს სიონის ტაძარია, უძვე-

[1] ჰაიკანელი—სომეხი.

ლესი სალოცავი, საქართველოს მართლმადიდებლობის მოწმე. გავცდებით თუ არა სიონის ტაძარს, შევდივართ ქარვასლაში, აზიური გემოვნების მშვენიერ მასიურ შენობაში; ამ შენობის შიგნით ეზოა, ხოლო ეზოს შუაში— აუზი..

ქარვასლიდან, სადაც ტფილისის ყველაზე მდიდარი საქონელია, რუსული ნაწარმოებით სავსე დახურული ბაზრით გავდივართ თათრის მოედანზე, რომელიც აგრეთვე დამახასიათებელ იერს ატარებს. ეს მოედანი წარმოადგენს სურსათ-სანოვაგის საწყობს, რომელსაც მიდამოები უხვად აწვდიან ტფილისს. აქვე დაეხეტებიან მთიელნი, შეშურვილნი ძველი იარაღით, მათრახებით და სხვ. ხშირად შეხვდებით აგრეთვე ადგილობრივ ბუკინისტს, პირამიდასაით დაწყობილი და მაგრა ღვედ-გადაკრული წიგნების ხროვით. რუსი ჯარისკაცი, თითქო უცაბედათ, შემოგთავაზებთ მაგარსა და მძიმე წყვილ ჩექმას, მას სცხვენია გაჰყიდოს თავისი საქონელი თათრის მოიდანზე, რადგან მისი ადგილი საკვირაო ბაზარზეა, სადაც რუსები ბლომად იკრიბებიან.

შეხვდებით აქ აუარებელ მუშას (ტვირთის მზიდველს), რომელიც მზად არიან უმნიშვნელო სასყიდელით წაიღონ ტვირთი ქალაქის შორეული უბნისაკენ. მათ თავიანთი ამქარი აქვთ და ჰყავთ უსტაბაში რომელიც მკაცრად ადევნებენ თვალყურს, რომ სამუშაოზე ერთმანეთს არ შეიცილონ. ვერც ერთი ტფილისელი ვერ უსაყვედურებს მათ და ვერ იტყვის, რომ მუშას დანიშნულ ადგილას არ მიეტანოს ის, რის წაღებაც მისთვის დაუკალებიათ. ეს საცოდავნი უპატიოსნესი ხალხია. თათრის მოედანი წარმოადგენს აგრეთვე „ბინა"-ს, მუშების თავმოსაყრელ ადგილს დილაობით; აქ შეგიძლიათ დაიქი-



ლ ა გ ო რ ი ო. ძველი ტფილისი XIX საუკ. ნახევარში.
(საქართველოს ეროვნული გალერეის სურათებიდან)



ახალი ტფილისი XIX საუკ. ნახევარში.
(ფოტოგრაფია ეკუთვნის ვ. ბერიძეს)

რაოთ მუშები, როგორც მთელი დღით, ისე მთელი კვირაობით. სადილობის შემდეგ მოედანი თანდათან ცარიელდება.

გასცდებით თუ არა მყვირალა მოედანს, დაგვხდებათ ხის ძველი ხიდი. ხიდი გადებულია მტკვრის ორივე ნაპირზე აგებულ ქვითკირის უზარმაზარ შენობებს შორის. დაქანებული ალმართი აგიყვანთ მეტეხის ციხის სიმაგრეებით დაგვირგვინებულ გორაზე; მეტეხის თავზე ფრიალებს რუსეთის დროშა. აქედან მომხიბლავი სანახავია ტფილისი. მიატოვებთ ავლაბარს, ქალაქის ახლად აგებულ ნაწილს, ვეშვებით კვლავ მტკვრისკენ, გადავდივართ მას ახალი ლამაზი ამერიკული ხიდით და შევდივართ მცენარეთა სამეფოში. ეს არის ორთაჭალის ბაღები—ქართველთა საქეიფო ადგილი, თავშესაფარი ზაფხულის პაპანების დროს. თუ გზას განვაგრძობთ იმ მთის ძირით, რომელზედაც ციხის ნანგრევებია და რომელიც გოლოვინის პროსპექტის ხეივნიდან დავინახეთ, ჩავარა მივაღწევთ სოლოლაკს, მდიდარი მცენარეულით შემოსილსა და საგრილობელ ადგილს, ხოლო იქიდან—ნამესტნიკის სახლს, და ამრიგად კვლავ გოლოვინის პროსპექტზე გავჩნდებით.

[დ უ ნ კ ე ლ - ვ ე ლ ი ნ გ ი. „Письма к Петербургскому знакомому". წ. ლ. დუნკელ-ველინგი რომელიც დიდხანს მსახურებდა კავკასიაში, იყო მეცხრამეტე საუკუნის 50-იან წლების საკმაოდ ცნობილი ადგილობრივი ჟურნალისტი. იგი მუდმივი თანამშრომელი იყო გაზ. „кавказ"-ისა, სადაც, განსაკუთრებით იმ ხანებში, გვხდება მდიდარი მასალა კავკასიის ისტორიისა, ეტნოგრაფიასა და გეოგრაფიის შესახებ. 1853 წელს ამ გაზეთში დაიბეჭდა დუნკელ-ველინგის აღნიშნული „წერილი", რომელსაც ვათავსებთ აქ მცირედი შემოკლებით და ცალკე აბზაცების გადასხმით, მაგრამ ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

პროფ. გ. ნათაძე. ტფილისის მხარეთმცოდნეობისათვის VI

პროფ. პოლიევკტოვი საუკუნეთა ცვლა ძველი ტფილისის აღწერებში XVII

ლიტერატურა ძველ ტფილისზე 1

ტფილისი მე-X საუკუნის არაბ გეოგრაფოსის აღწერით (ხაუკალი) 5

საქართველო და ტფილისი მარკო პოლოს აღწერით (მე-XIII საუკ.) 9

მე-XV საუკუნის ვენეციელი დიპლომატი ტფილისის შესახებ (კონტარინი) 11

მე-XVII საუკუნის რუსი მოგზაური ტფილისის შესახებ (ვასილი გაგარა) 14

ტფილისი XVII საუკუნის მეორე ნახევარში (შარდენი). 26

ტფილისი XVIII საუკუნის დასაწყისში (ტურნეფორი) 33

ტფილისი XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფოსის აღწერით (ვახუშტი) 39

ტფილისი მე-XVIII საუკუნის რუსი აკადემიკოსის აღწერით (გიულდენშტედტი) 44

ქართველ მეფეთა სასახლე ტფილისში მე-XVIII საუკუნის დამლევს (იოსელიანი) . . . . .

ტფილისი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის წინა ხანებში. 49
ქალაქის მოურავის სარგო (ეკუთვნის დაახლოვებით 1784—1790 წლებს) 51
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა (ბატონიშვილი თეიმურაზ) 57
ქალაქ ტფილისის აღწერილობა 1803 წლის იანვრის მცხოვრებთა, შენობათა სიმაგრეთა რიცხვის აღნიშვნით 64
ტფილისი მე-XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში (ნეგრი და გამბა) 73
პუშკინი ტფილისში (1829 წ.) 83
ორი რუსი მწერალი ტფილისის შესახებ მე-30-ან და 40-ან წლებში (ზუბოვი მურავიოვი) . . 87
ბურჟუაზიული ტფილისი მე-XIX საუკუნის შუახანებში (დუნკელი-ველინგი) . . . . . .

501/1